დანართი №3

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტატუსის მოპოვების თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: მაია თოიძე
წევრები:
ელენე კაკაბაძე
ლელა მაისურაძე
ზურაბ მესხიძე

ავტორზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: თენექსი

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

საიდენტიფიკაციო კოდი: 405650549

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

დაწესებულების ავტორიზაცია

■ დაწესებულების ავტორიზაცია (პირველადი)

☐ დაწესებულების ავტორიზაცია (განმეორებითი)

ავტორზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

,,პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და შპს "თენექსში" ვიზიტის შესახებ“ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრს დირექტორის 2024 წლის 27 ივნისის №MES 1 24 0000764535 ბრძანების შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა შემდეგი შემადგენლობით: მაია თოიძე (ჯგუფის თავმჯდომარე) და წევრები: ელენე კაკაბაძე (პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი), ლელა მაისურაძე და ზურაბ მესხიძე (დარგის ექსპერტები), განახორციელა შპს ,,თენექსი“ - ს საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება.

ვიზიტი (მის: ქ. ბათუმი, მახინჯაური, თამარ მეფის გამზირი N38) განხორციელდა 2024 წლის 19, 20 და 21 ივლისს. მათ შორის, ,,გრაფიკული დიზაინი“ -ს პროგრამის ფარგლებში დარგის ექსპერტი ვიზიტზე იმყოფებოდა 2024 წლის 20 ივლისს, ხოლო ,,Front-end დეველოპმენტი“-ს პროგრამის შესაფასებლად დარგის ექსპერტი ვიზიტზე იმყოფებოდა 2024 წლის 21 ივლისს.

ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ 2024 წლის 20 ივნისის №10/25 და 2024 წლის 25 ივნისის №10/26 კორესპონდენციებით წარმოდგენილი თვითშეფასება და თანდართული მტკიცებულებები.

ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფმა წარმოდგენილი თვითშეფასებისა და მტკიცებულებების ანალიზის საფუძველზე შეაჯერა თავისი პოზიციები და შეიმუშავა დღის წესრიგი (დანართი №1), რომლის მიხედვითაც ვიზიტისას განახორციელა თავისი საქმიანობა. ავტორიზაციის სტანდარტების/კომპონენტების/შესაბამისი ინდიკატორების სრულყოფილად შეფასების მიზნით გამოთხოვილი და შესწავლილი იქნა დამატებითი მტკიცებულებები; დათვალიერებული იქნა კოლეჯის მატერიალურ - ტექნიკური ბაზა, როგორც ავტორიზაციის მე-5 სტანდარტის შეფასების, ასევე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების: ,,გრაფიკული დიზაინი“ და ,,Front-end დეველოპმენტი“ მატერიალური რესურსის შეფასების მიზნით. ჩატარდა არაერთი ინტერვიუ დაწესებულების დამფუძნებლებთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან. ინტერვიუთა ნაწილი განხორციელდა დისტანციური საკომუნიკაციო პლატფორმების გამოყენებით.

ავტორზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვიზიტის ყოველი დღის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფმა გასცა უკუკავშირი ავტორიზაციის სტანდარტების შეფასების შედეგებთან მიმართებაში. ადმინისტრაციული წარმოების პროცესი იყო თანამშრომლობითი. წარმოების ფარგლებში, ხარვეზი არ გამოვლენილა.

ექსპერტთა საბოლოო შეფასებები წარმოდგენილია ავტორიზაციის პირველ, მე-3, მე-4 და მე-5 სტანდარტებთან შესაბამისობისა (III ნაწილი) და პროგრამების: ,,გრაფიკული დიზაინი" და ,,Front-end დეველოპმენტი" მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის (X ნაწილი) ცხრილების სახით.

III. ინფორმაცია იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების შესახებ, რომლის განხორციელების უფლების მოპოვებაც სურს დაწესებულებას საავტორიზაციო განაცხადით

პროგრამის სახელწოდება	პროგრამა ინტეგრირებული ზოგადი მოდულებით/ პროგრამა არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით	პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	პროგრამის განხორციელების ადგილი
გრაფიკული დიზაინი	პროგრამა არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით	იმიტირებულ სამუშაო გარემოში	-	ქ. ბათუმი, მახინჯაური, თამარ მეფის გამზირი N38

ავტორზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

Front-end დეველოპმენტი	პროგრამა არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით	იმიტირებულ სამუშაო გარემოში		ქ. ბათუმი, მახინჯაური, თამარ მეფის გამზირი N38

IV. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველადი ავტორიზაციის შემთხვევაში. ინფორმაცია ივსება მხოლოდ მიმდინარე პროგრამების მიხედვით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა	აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშ ეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშ ეწყვეტილი პროფესიული სტუდენტების რაოდენობა

ავტორზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

V. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

ნაწილი II: სტანდარტებთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. ავტორიზაციის პირველ, მე-3, მე-4 და მე-5 სტანდარტებთან შესაბამისობის ცხრილი

ავტორზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი/კომპონენტი	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
1) კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
1.1) პსდ-ს მისია	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
1.2) პსდ-ს სტრატეგიული განვითარება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
3) პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდამჭერი ღონისძიებები	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	☐ არ შეესაბამება	☐ არ შეესაბამება
3.1) პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
3.2) პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4) ადამიანური რესურსები	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.1) პერსონალის და პროცესების მართვა	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.2) პერსონალის განვითარება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
5.1) მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
5.2) საინფორმაციო რესურსები	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
5.3) ფინანსური რესურსები	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დასახელება	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
გრაფიკული დიზაინი	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
Front-end დეველოპმენტი	☒ **შეესაბამება** ☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. პროგრამის/პროგრამების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ავტორზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ხარვეზი არ გამოვლენილა

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

შესაბამისობის რეკომენდაცია არ არის გაცემული

V. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

განმავითარებელი რეკომენდაცია არ არის გაცემული

VI. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

დაწესებულება დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტს.

ავტორზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება

1. კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება

1.1 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მისია

1.1.1 პსდ-ს გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში

1. პსდ-ს მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს;
2. მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა პსდ-სგან;
3. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები;
4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. პსდ-ს მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს

დაწესებულების მისია დამტკიცებულია დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით და ის შესაბამისობაშია პროფესიული განათლების მიზნებთან, კერძოდ, თავისი შინაარსით მისია ეხმიანება პროფესიული განათლების ყველა მიზანს: მასში ასახულია ინდივიდის პიროვნული და პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, პროფესიული განათლებისა და მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის მხარდაჭერა, ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან დაახლოებას დაწესებულება ხედავს ტექნოლოგიების დარგისა და მისი სხვადასხვა სფეროებში ინტეგრირების შესახებ ცოდნისა და უნარების განვითარებით, რაც უმნიშვნელოვანესია ციფრული ტექნოლოგიების საუკუნისთვის და ზოგადად პროფესიული განათლების სფეროში საქმიანობით დაწესებულება ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას.

<u>დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნებთან სრულად შესაბამისობა.</u>

ავტორზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 2. მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა პსდ-სგან

დაწესებულების მისიით განსაზღვრულია საქმიანობის ძირითადი პროფილი - პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობა ციფრული ტექნოლოგიების სფეროს მიმართულებით. ამასთან, დაწესებულების მიზანია საზოგადოებისთვის არა მხოლოდ შესაბამისი პროფესიული პროგრამების შეთავაზება, არამედ ციფრული ტექნოლოგიების სხვას ფეროებთან ინტეგრირების შესახებ ცოდნისა და უნარების განვითარების მხარდაჭერა. სწორედ აღნიშნულით განსხვავდება და გამოირჩევა დაწესებულება რეგიონში მოქმედი სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებისგან და ეს მისი პლიუსია.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნებთან სრულად შესაბამისობა.

ინდიკატორი 3. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები

დაწესებულება გეგმავს სტრატეგიული განვითარების პერიოდში აჭარის რეგიონში ჩამოყალიბდეს ციფრული ტექნოლოგიების ჰაბად. მიზნები უკავშირდება არა მხოლოდ პროფესიულ საგანმანათლებლო საქმიანობას არამედ ასევე, კომპანიის მენეჯმენტში ციფრული ტექნოლოგიების დანერგვას და აღნიშნული გამოცდილების დაინტერესებულ პირთათვის გაზიარებას, უახლესი ტექნოლოგიური მიღწევების თაობაზე საზოგადოების ინფორმირებას, პროფესიული სტუდენტების, მსმენელებისა და კურსდამთავრებულების ჩართულობით ციფრული პროდუქტების შექმნას, ციფრული ტექნოლოგიების მიმართულებით პროფესიული და ზრდასრულთა განათლების პროგრამების მიწოდებით რეგიონებში დასაქმებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას.

დაწესებულების ღირებულებებია: გუნდურობა - ორგანიზაციაში ურთიერთთანამშრომლობითი და გუნდური პრინციპით მუშაობა. წვლილის შეტანა - ქვეყნის რეგიონ(ებ)ში კულტურულ-სოციალური და გარემოსდაცვითი ღონისძიებების მხარდაჭერა. პროფესიონალიზმი - ცოდნისა და ინფორმაციის მუდმივი განახლება და საჯაროდ გაზიარება.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნებთან სრულად შესაბამისობა.

ავტორზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაწესებულების წარმომადგენელთა მიერ, ისინი იცნობენ მას და ჩართული იყვნენ მისი შემუშავების პროცესში. აღნიშნული დადასტურებულია მათთან ინტერვიუს გზით. დაწესებულების მარეგულირებელი დოკუმენტებითაც განსაზღვრულია დაინტერესებულ პირთათვის, მათ შორის, პროფესიული სტუდენტებისთვის, მსმენელებისთვის, ახალი თანამშრომლებისთვის დამსაქმებლებისთვის მისიისა და ხედვის გაზიარების გზები საშუალებები (პირისპირ შეხვედრა, საჯარო შეხვედრა, ინტერნეტ სივრცე და სხვ.) რაც დაინერგება საქმიანობის დაწყების პროცესში.

მისია, ხედვა და ღირებულებები ფართო საზოგადოებისთვის გაზიარებისა და უკუკავშირის მიღების მიზნით განთავსებული იყო დაწესებულების გვერდზე. წარმოდგენილია დირექტორის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის 2024 წლის 03 ივნისის სამსახურებრივი ბარათი, მისია, ხედვისა და ღირებულებების პროექტში, მიღებული უკუკავშირიდან გამომდინარე, განსახორციელებელი ცვლილებების თაობაზე.

მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი, როგორც დაწესებულებაში, ასევე, დაწესებულების ოფიციალურ ვებ გვერდზე.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნებთან სრულად შესაბამისობა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- შპს ,,თენექსის“ დირექტორის 2024 წლის 4 ივნისის N46/23 ბრძანება (დანართი №2 - მისია, ხედვა და ღირებულებები)
- ,, შპს - „თენექსი“-ში სამუშაო ჯგუფის შექმნისა და მათ მიერ შესასრულებელი ამოცანების თაობაზე“ დაწესებულების დირექტორის 2024 წლის 22 მაისის N 45/23 ბრძანება;
- ვებ გვერდი - https://10x.edu.ge

ავტორზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგი

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2 პსდ-ს სტრატეგიული განვითარება

1.2.1 პსდ-ში დანერგილია დაგეგმვის პრაქტიკა

1. პსდ განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას;
2. სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს;
3. დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 1. პსდ განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას

დაწესებულების დირექტორის 2024 წლის 04 ივნისის N 47/23 ბრძანებით დამტკიცებულია ,,შპს „თენექსის“ ინსტიტუციური განვითარების მიზნით სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავება-განვითარების მეთოდოლოგია. მეთოდოლოგიით განსაზღვრულია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავებისა და ცვლილებების პროცედურა, სტრატეგიისა და სამოქმედო გეგების შინაარსისადმი წაყენებული სავალდებულო მოთხოვნები (წარმოდგენილია დანართების სახით), სტრატეგიის შემუშავებისთვის რეკომენდებული მეთოდოლოგიები (Swot Analysis, Pestle, ე.წ. „Stakeholders' Analysis, Gap ანალიზი), გათვალისწინებულია მონიტორინგისა და შეფასების წესი და პროცედურა, სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმების ანგარიშგების საკითხები. მეთოდოლოგიით განსაზღვრულია, რომ როგორც სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავება, ასევე, მათი შესრულების შეფასება ხორციელდება სამუშაო ჯგუფების ფარგლებში. მეთოდოლოგიის ფარგლებში გათვალისწინებულია ყოველწლიური ანგარიშგების (ყოველკვარტალური და წლიური) ფორმები და დამტკიცებულია ანგარიშგების ფორმა.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნებთან სრულად შესაბამისობა.

ინდიკატორი 2. სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს

დაწესებულების ინსტიტუციური განვითარების მიზნით სტრატეგიული და სამოქმედო გეგმარების შემუშავება-განვითარების მეთოდოლოგია ითვალისწინებს დაგეგმარების პროცესში დამსაქმებლების, პარტნიორი ორგანიზაციების, დაწესებულების პერსონალის, პროფესიული სტუდენტების/მსმენელების, ჩართულობას, უკუკავშირის სისტემის დანერგვას, შედეგების შეფასებასა და შესაბამისი, შემდგომი ნაბიჯების განსაზღვრას. სტრატეგიული გეგმის პროექტზე მუშაობა თანამონაწილეობითი პროცესია, მის საბოლოო სახეზე, სამუშაო ჯგუფი თანხმდება კონსესუსის წესით, წინააღმდეგ შემთხვევაში ტარდება კენჭისყრა და გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უბრალო უმრავლესობით.

ავტორზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებამ მოთხოვნად პროფესიათა იდენტიფიცირების მიზნით ჩაატარა შრომის ბაზრის სეგმენტური კვლევა, შესწავლილია უნარებზე მოთხოვნა და იდენტიფიცირებულია ციფრული ტექნოლოგიების სფეროში შრომით ბაზარზე მოთხოვნადი პოზიციები, შესწავლილია ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ბოლო წლების კვლევები შრომის ბაზარზე მოთხოვნად პროფესიებთან მიმართებით, მათ შორის, აჭარის რეგიონში. დაგეგმარებისას გამოყენებულია SWOT მეთოდოლოგია.

დაწესებულებისთვის მნიშვნელოვანია, ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტების გათვალისწინება. აღნიშნული მიზნებისთვის გაფორმებულია თანამშრომლობის მემორანდუმი აჭარის ა/რ დასაქმების სააგენტოსთან. ასევე, სსიპ საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოსთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით გათვალისწინებულია თანამშრომლობა ქვეყანაში ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარების მხარდაჭერის მიმართულებით.

დაწესებულების სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით, მეთოდოლოგია ამოქმედდება კომპანიის მიერ საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების უფლების მოპოვების დღიდან. რეალურად კი სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები შემუშავებულია სამუშაო ჯგუფის ფარგლებში მეთოდოლოგიის გათვალისწინებით, იმ გამონაკლისით რომ სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა ობიექტური გარემოებიდან გამომდინარე არ იყო (და ვერც იქნებოდა) ისეთი წარმომადგენლობითი როგორიც გათვალისწინებულია მეთოდოლოგიით (პროფესიული სტუდენტი, მსმენელი, პარტნიორი საწარმო). დაწესებულების მიერ წარმოდგენილია სამუშაო ჯგუფის მიერ განხორციელებული აქტივობების მტკიცებულებები(მათ შორის, შეხვედრის, ელექტრონული მიმოწერის, უკუკავშირის მტკიცებულებები). რეალურად დაწესებულებამ უკვე განახორციელა მის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიის პილოტირება და სამუშაო ჯგუფის ფარგლებში დადებულია საკმაოდ საინტერესო პროდუქტები.

სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების პროექტების ფართო საზოგადოებისათვის გაცნობისა და უკუკავშირის მიღების მიზნით, დოკუმენტები გამოქვეყნებული იყო ვებ გვერდზე. წარმოდგენილია სამუშაო ჯგუფის 2024 წლის 03 ივნისის სამსახურებრივი ბარათი, სტრატეგიული გეგმის პროექტში, მიღებული უკუკავშირიდან გამომდინარე, განსახორციელებელი ცვლილებების თაობაზე.

ავტორზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნებთან სრულად შესაბამისობა.

ინდიკატორი 3. დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს.

დაწესებულების სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავება-განვითარების მეთოდოლოგიის დანართების სახით დამტკიცებულია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების სტრუქტურა. სტრუქტურების ფორმატი შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან. დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს.

,,შპს - „თენექსის" 2025 - 2032 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმის თანახმად, დაწესებულებას გააჩნია 6 ძირითადი მიზანი: საქართველოს რეგიონ(ებ)ში თანამედროვე სწავლება-სწავლის სივრცის შეთავაზება-განვითარება, როგორც პროფესიული განათლებით, ასევე მოკლევადიანი პროგრამებით; საერთაშორისო დონეზე ტექნოლოგიებისა და მისი სხვა სფეროებში ინტეგრირების სიახლეების საზოგადოებაში პოპულარიზაცია; ზრდასრულთათვის ახალი ცოდნის მიღების ან/და არსებულის განვითარების მხარდაჭერა; საქართველოს რეგიონ(ებ)ში საზოგადოების განვითარებაში წვლილის შეტანა; საერთაშორისო პარტნიორობის განვითარება; ორგანიზაციული განვითარება. განსაზღვრულია შესაბამისი ამოცანები, განხორციელების სავარაუდო პერიოდი და შეფასებადი ინდიკატორები (რაოდენობრივად ან თვისებრივად).

დაწესებულების თვითშეფასებით წარმოდგენილია ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც ამ ეტაპზე მოიცავს 2024 წლის მეოთხე კვარტალსა და 2025 წელს. სტრატეგიული გეგმისგან განსხვავებით, სამოქმედო გეგმით დამატებით განსაზღვრულია: პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული/პირი; დამხმარე სტრუქტურული ერთეული/პირი, რისკები, მატერიალური რესურსი, დაფინანსების წყარო.

ავტორზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სამოქმედო გეგმა გაანალიზდა სტრუქტურული ერთეულების ფუნქციებსა და თანამშრომელთა მოვალეობებთან მიმართებაში და დადასტურებულია, რომ პასუხისმგებელი და დამხმარე სტრუქტურული ერთეულები/პირები განსაზღვრულია მათი ფუნქცია- მოვალეობების გათვალისწინებით და ადგილი არ აქვს ინტერესთა კონფლიქტს.

სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები განთავსებულია დაწესებულების ვებ. გვერდზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნებთან სრულად შესაბამისობა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ,,შპს „თენექსის“ ინსტიტუციური განვითარების მიზნით სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავება-განვითარების მეთოდოლოგიის“ დამტკიცება“ შპს „თენექსის“ დირექტორის 2024 წლის 04 ივნისის N 47/23 ბრძანება;
- ,,შპს - „თენექსის” 2025 2032 წლების შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის დამტკიცება“ შპს „თენექსის“ დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის N 71/23 ბრძანება;
- ,, შპს - „თენექსის” ერთწლიანი სამოქმედო გეგმის დამტკიცება“ შპს „თენექსის“ დირექტორის 2024 წლის 20 ივნისის N 80/23 ბრძანება;
- სამუშაო ჯგუფის შეხვედრების, ელექტრონული მიმოწერის, უკუკავშირის მტკიცებულებები;
- ,, შპს - „თენექსი“-ში სამუშაო ჯგუფის შექმნისა და მათ მიერ შესასრულებელი ამოცანების თაობაზე“ დაწესებულების დირექტორის 2024 წლის 22 მაისის N 45/23 ბრძანება;
- სამუშაო ჯგუფის 2024 წლის 03 ივნისის სამსახურებრივი ბარათი დაინტერესებული მხარეების უკუკავშირისა და განსახორციელებელი ცვლილებების თაობაზე;
- ვებ გვერდი - https://10x.edu.ge
- დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგი

ავტორზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1.2.2 პსდ-ში მოქმედებს გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. პსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
2. პსდ სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე;
3. სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. პსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით

შპს - „თენექსის“ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმარების შემუშავება, მონიტორინგისა და განვითარების მეთოდოლოგიის მე- 7 მუხლი განსაზღვრავს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის საკითხებს.

მეთოდოლოგიის დანართის სახით დამტკიცებულია პერსონალის ანგარიშგების ფორმა, პერსონალი ყოველკვარტალურ და ყოველწლიურ ანგარიშებში ასახავს შესაბამის ინფორმაციას, ეს გახლავთ თვითშეფასებისა და აქტივობების შესრულების შეფასების მექანიზმი, ხოლო მეორე მხრივ, დაწესებულება მონიტორინგის მიზნებისთვის ქნის გარე შეფასების ჯგუფს. მეთოდოლოგიით განსაზღვრულია აღნიშნულ პროცესებზე პასუხისმგებელი პირები. მეთოდოლოგიით გათვალისწინებულია სამ წელიწადში ერთხელ სტრატეგიული გეგმის შესრულების შუალედური შეფასება.

შეფასება გულისხმობს, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შედეგების ანალიზს, რომელსაც ხარისხის მენეჯერი, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში წერილობით წარადგენს დირექტორის წინაშე, ხოლო პერსონალის მართვის კოორდინატორი, დამოუკიდებლად, შეიმუშავებს პერსონალის ყოველწლიური ანგარიშების ანალიზის დოკუმენტს და წერილობით წარადგენს დირექტორის წინაშე. სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების/მონიტორინგის ანგარიში უნდა მოიცავდეს შემაჯამებელ შეფასებას: ა) მიზნის შესაბამისი ამოცანები/აქტივობები განხორციელებულია

ავტორზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სრულად, რაც დასტურდება შესაბამისი მტკიცებულებებით (მატერიალურად დოკუმენტირებული) - შესრულებულია; ბ) მიზნის შესაბამისი ამოცანები/აქტივობები განხორციელებულია ნაწილობრივ, რაც დასტურდება შესაბამისი მტკიცებულებებით (მატერიალურად დოკუმენტირებული) - ნაწილობრივ შესრულებულია; გ) მიზნის შესაბამისი ამოცანები, აქტივობები ვერ განხორციელდა, რაც დასტურდება შესაბამისი მტკიცებულებებით (მატერიალურად დოკუმენტირებული) - შეუსრულებელია.

დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუთი დადასტურებულია, რომ მათ გააზრებული აქვთ მათ მიერვე შემუშავებული მეთოდოლოგიით განსახორციელებელი აქტივობები. ამასთან, მიაჩნიათ რომ უნდა იყვნენ მოქნილები და თუკი მათ მიერ შემუშავებული რომელიმე მექანიზმი ვერ იმუშავებს აქვთ მზაობა შეაფასონ და განავითარონ ის.

დაწესებულებას აქვს მზაობა ავტორიზაციის მოპოვების შემდეგ საქმიანობა წარმართოს შემუშავებული რეგულაციების შესაბამისად.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნებთან სრულად შესაბამისობა.

ინდიკატორი 2. პსდ სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე

შპს - „თენექსის“ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავება, მონიტორინგისა და განვითარების მეთოდოლოგიის მე- 9 მუხლი აწესრიგებს შეფასების შედეგებზე რეაგირების საკითხებს. შეფასების ანგარიშში ასახული შედეგები შესაძლოა გახდეს პერსონალის მიმართ წახალისების ან დისციპლინური სასჯელის გამოცხადების საფუძველი.

ამ ეტაპზე შეფასებისა და შეფასების შედეგებზე უკუკავშირის პრაქტიკა ვერ ფასდება, თუმცა შესაბამისი მექანიზმი არსებობით დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნის დაკმაყოფილება.

დაწესებულების მექანიზმის შეფასებით დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნებთან სრულად შესაბამისობა.

ავტორზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 3. სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია.

შპს - „თენექსის“ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავება, მონიტორინგისა და განვითარების მეთოდოლოგიით განსაზღვრულია თუ რა ინფორმაციას უნდა მოიცავდეს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების ანგარიში. მეთოდოლოგიის დანართის სახით დამტკიცებულია ფორმა რომლითაც დასაქმებული წარადგენს საკუთარ ანგარიშს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულებისა და შესრულების ინდიკატორების თაობაზე. ყოველკვარტალური და ყოველწლიური ანგარიშები, წარედგინება კომპანიის პერსონალის მართვის კოორდინატორს. იგი წარდგენილ ანგარიშებს შეისწავლის, ადგენს პერსონალის ფუნქცია-მოვალეობების შესრულებასთან შესაბამისობას (აღნიშნული საკითხი განსაზღვრულია პერსონალის მართვა-განვითარების დოკუმენტში) და ახდენს დირექტორის წინაშე წერილობით ანგარიშგებას სამოქმედო გეგმის შესრულების თაობაზე. სამოქმედო გეგმის ანგარიში განთავსდება დაწესებულების ვებ გვერდზე. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია ვებ გვერდის ოფიციალური ვებგვერდის შეფასების კრიტერიუმები, რომლის თანახმად, ვებ გვერდზე ანგარიშის განთავსება განსაზღვრულია როგორც სავალდებულო.

დაწესებულების მექანიზმების შეფასებით დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნებთან სრულად შესაბამისობა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- „შპს „თენექსის“ ინსტიტუციური განვითარების მიზნით სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავება-განვითარების მეთოდოლოგიის“ დამტკიცება“ შპს „თენექსის“ დირექტორის 2024 წლის 04 ივნისის N 47/23 ბრძანება;
- ოფიციალური ვებგვერდის შეფასების კრიტერიუმები და ვებ გვერდის შეფასების შედეგი
- ინტერვიუს შედეგი

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

3.1 პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა

3.1.1 პროფესიული სტუდენტების უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. პსდ-ს შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს;
3. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით;
4. პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა;
5. პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. პსდ-ს შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა

ავტორზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების დირექტორის 2024 წლის 11 ივნისის №66/23 ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიული სტუდენტისა და შპს - „თენექსის“ თანამშრომლობის ფარგლებში განსაზღვრული მხარეთა უფლება-მოვალეობები. აღნიშნული წესი მოიცავს პროფესიული სტუდენტის უფლებებს, როგორცაა: მიიღოს ხარისხიანი განათლება სათანადო გარემოსა და პირობებში; ისარგებლოს კომპანიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, ბიბლიოთეკით/სასწავლო რესურსებით, არსებული სერვისებით; დააფუძნოს სტუდენტური ორგანიზაციები ან შექმნას სხვადასხვა სახის კლუბები; ისარგებლოს მობილობით როგორც საქართველოში არსებულ, ასევე უცხოეთის პროგრამაზე სწავლის გაგრძელების მიზნით; მოითხოვოს მობილობით სარგებლობისთვის საჭირო დოკუმენტები, პროგრამაზე ჩარიცხვის, გავლილი სასწავლო კომპონენტებისა და შეფასების შესახებ ინფორმაცია და სხვა; პროგრამის წარმატებით დასრულების შედეგად მოითხოვოს დიპლომი, დადგენილი ფორმითა და ვადებში; საჭიროებებიდან გამომდინარე, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად მოითხოვოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სწავლება, მიიღოს მონაწილეობა მის ფორმირებაში; თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი და დამოკიდებულება ეთიკის წესების დაცვით; მონაწილეობა მიიღოს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების პროცესში, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში; კომპანიის სტრუქტურული ერთეულებისგან გონივრულ ვადებში მიიღოს მასთან დაკავშირებული ამომწურავი ინფორმაცია, მონაწილეობა მიიღოს სასწავლებლის მიერ დაგეგმილ კურიკულუმს მიღმა აქტივობებში; მოითხოვოს ინკლუზიური განათლება, რომელიც გულისხმობს თანაბრად ხელმისაწვდომ საგანმანათლებლო პროცესს, რომლის ფარგლებშიც უზრუნველყოფილია განათლების ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შესაძლებლობის გათვალისწინება კომპანიის მომსახურებასთან, სწავლება-სწავლის პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე; საჭიროების შემთხვევაში, ისარგებლოს გასაჩივრების უფლებით; სმენის დარღვევის მქონე პროფესიული სტუდენტი შემთხვევაში მოითხოვოს ქართული ჟესტური ენა; მხედველობის დარღვევის მქონე პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში მოითხოვოს ბრაილის სისტემა; მოითხოვოს კომპანიასა და მას შორის გაფორმებული სასწავლო ხელშეკრულების ფარგლებში გაწერილი მოვალეობების შესრულება; მიიღოს კონსულტაცია პროფორიენტაციასა და კარიერულ დაგეგმვაზე; მოითხოვოს პირადი ინფორმაციის დაცვა.

ზემოაღნიშნული უფლებების დაცვის მიზნით დაწესებულებას შემუშავებული აქვს: სასწავლო პროცესის მართვის, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის, პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის, შეჩერების, მობილობის, მიღებული განათლების აღიარებისა და შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის წესები და

ავტორზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროცედურები, პროფესიული სტუდენტის შეფასებისა და შეფასების გასაჩივრების წესი; დამტკიცებულია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის მიზნით წარმოსადგენი განაცხადის ფორმა, რომლითაც განსაზღვრულია ჩარიცხვისთვის სავალდებულო დოკუმენტების ნუსხა, შემუშავებულია კურიკულუმს მიღმა აქტივობების განხორციელება-შეფასების მექანიზმები და სხვ.

ექსპერტთა მიერ გაანალიზდა პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფის მიზნით დაწესებულების მიერ შემუშავებული რეგულაციები და დადასტურებულია მათი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულებამ თვითშეფასებით განაცხადი წარმოადგინა 2024 წლის 20 ივნისს, ხოლო საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 24 ივნისის No110/ნ ბრძანებით ცვლილებები განხორციელდა ,,პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 02 ივლისის №42/ნ ბრძანებაში. შესაბამისად, ვიზიტის პროცესში დაწესებულებამ წარმოადგინა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის განახლებული წესი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნებთან სრულად შესაბამისობა.

ინდიკატორი 2. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს

დაწესებულების დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმები, რომლითაც, სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, განსაზღვრულია პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირების საკითხები მათ უფლებებთან და მოვალეობებთან მიმართებით. გათვალისწინებულია სწავლის დაწყებამდე, ყოველი ახალი პროფესიულ სტუდენტების ჯგუფისთვის საინფორმაციო ტიპის შეხვედრების ორგანიზება. ინფორმაცია პროფესიულ სტუდენტთა უფლებებისა და მოვალეობების თაობაზე ასახულია პროფესიული სტუდენტის ხელშეკრულების ნიმუშში, რომელიც დამტკიცებულია დაწესებულების დირექტორის ბრძანებით.

ავტორზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუთი დადასტურებულია მათი მზაობა საგანმანათლებლო საქმიანობაში დანერგონ მათ მიერ შემუშავებული რეგულაციები.

დაწესებულების მექანიზმების შეფასებით დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნებთან სრულად შესაბამისობა.

ინდიკატორი 3. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით

დაწესებულების დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია: „პროფესიული სტუდენტის შეფასების წესი“, „პროფესიული სტუდენტის შეფასების პროცესი და ქცევის წესები“. აღნიშნული დოკუმენტები, შესაბამისი მიზნებიდან გამომდინარე, განსაზღვრავენ შეფასების მიდგომებსა და პრინციპებს. შეფასების წესით განსაზღვრულია შეფასების შედეგების გაცნობისა და საჭიროების შემთხვევაში, გასაჩივრების წესი და პროცედურა. შეფასების შედეგების გაცნობასთან მიმართებით გათვალისწინებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხები, იდენტიფიცირებულია ინფორმირების საშუალებები და ინფორმირებაზე პასუხისმგებელი პირები. დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით, დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო საქმიანობის უფლების მოპოვების შემდგომ ყველა შესაბამისი საკითხი და მექანიზმი ხელმისაწვდომი იქნება პროფესიულ სტუდენტთათვის. რეგულაციები უკვე განთავსებულია დაწესებულების ვებგვერდზე, ასევე, მათ მიაწოდებენ პროფესიულ სტუდენტებს ელექტრონული ფოსტის მისამართზე. დაწესებულება გეგმავს პროფესიულ სტუდენტთა ელექტრონული პირადი კაბინეტის დანერგვას, რომლითაც მარტივად იქნება უზრუნველყოფილი შეფასების შედეგების თაობაზე მათი ინფორმირება.

დაწესებულების მექანიზმების შეფასებით დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნებთან სრულად შესაბამისობა.

ინდიკატორი 4. პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა

ავტორზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიულ სტუდენტთან გასაფორმებელი სასწავლო ხელშეკრულების ნიმუში, რომელიც მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: ხელშეკრულების საგანი, მხარეთა უფლებები და მოვალეობები, სწავლის საფასური და გადახდის წესი, ხელშეკრულების მოქმედების ვადა, ფორს-მაჟორი, დავის გადაწყვეტის წესი, სხვა პირობები და დასკვნითი დებულებები, მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერა. ბრძანებით განსაზღვრულია, რომ დამტკიცებული შაბლონების ცალკეული პუნქტები, ხელშეკრულების გაფორმების მომენტისთვის, საჭიროების დადგომის შემთხვევაში, ექვემდებარება ცვლილებებს. აღნიშნულ ჩანაწერთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა გააკეთა განმარტება, რომ საგანმანათლებლო საქმიანობის უფლების მოპოვების შემდეგ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკიდან და სწავლის საფასურთან დაკავშირებული საკითხების გათვალისწინებით, ხელშეკრულებაშია აისახება უფრო დეტალური ინფორმაცია.

დაწესებულებას დამტკიცებული აქვს არასრულწლოვანთან ხელშეკრულების დადების შემთხვევაში მისი კანონიერი წარმომადგენლის მიერ წარმოსადგენი განაცხადის ფორმა. ასევე, დაწესებულების დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის წესით გათვალისწინებულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტებთან ხელშეკრულების გაფორმების საკითხები. ხელშეკრულება ფორმდება აპლიკანტთან ან მის კანონიერ წარმომადგენელთან.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულების მექანიზმების შეფასებით დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნებთან სრულად შესაბამისობა.

ინდიკატორი 5. პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა (შემდგომში - „ისგ“) არის დოკუმენტი, რომელშიც პროფესიული სტუდენტის საჭიროებიდან და ინტერესებიდან გამომდინარე, შპს - თენექსი განსაზღვრავს ამავე პროფესიული სტუდენტის სწავლა-

ავტორზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სწავლებასთან დაკავშირებულ ინფორმაციას, საბოლოოდ კვალიფიკაციის (დიპლომის, სერტიფიკატის) ან სწავლის შედეგის მიღწევის/მიუღწევლობის შესახებ ცნობის გაცემის მიზნით.

დაწესებულების რეგულაციის მიხედვით, ისგ-ს შემუშავება შესაძლებელია შემდეგი შემთხვევების შემთხვევაში: პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენისას; პროფესიული სტუდენტის შიდა ან გარე მობილობისას; მიღებული ფორმალური განათლების აღიარების შემდგომ სწავლის გაგრძელებისას; არაფორმალური განათლების აღიარების შემდგომ სწავლის გაგრძელებისას; სსსმ და შშმ პირთა სასწავლებისას.

დაწესებულებისთვის პრიორიტეტულია პროფესიული სტუდენტისთვის ისგ-ს შემუშავებისას პროფესიული სტუდენტის ინტერესების გათვალისწინება. რეგულაციით განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისა და დამტკიცების პროცედურა. ისგ ფორმირდება პროგრამის ხელმძღვანელის კოორდინირებით, პროგრამის კოორდინატორის ჩართულობით პროფესიულ სტუდენტთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან თანამშრომლობის შედეგად და ფორმდება შესაბამისი შეთანხმება, რომელიც მხარეების მიერ ხელმოწერით დასტურდება. ისგ ფორმირებისას საჭიროების შემთხვევაში, მონაწილეობს პროფესიული განათლების მასწავლებლ(ებ)ის/დარგის სპეციალისტ(ებ)ი. პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალური საჭიროებების შემთხვევებში, ისგ-ს შემუშავებაში მონაწილეობს სსსმ/შშმ პირის მხარდაჭერის სპეციალისტი. ყოველი კონკრეტული შემთხვევის არსებობისას, დაგეგმილია ასეთი პირის მოწვევა. სსსმ/შშმ პირის სასწავლო პროცესში ჩართვა, სწავლებისა და შეფასების პროცესის ადმინისტრირება წარმოებს სპეციალისტისა და შესაბამისი კომპეტენციის/უფლებამოსილების მქონე პირთა ჩართულობით. ისგ-ს პროექტი, პროფესიულ სტუდენტთან/კანონიერ წარმომადგენელთან შეთანხმების მტკიცებულებასთან ერთად, დასამტკიცებლად წარედგინება დაწესებულების დირექტორს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულების მიერ შემუშავებული მექანიზმის შეფასებით დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნებთან სრულად შესაბამისობა.

ავტორზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

- შპს - „თენექსი“-ს პროფესიული სტუდენტის, მსმენელისა და შპს - „თენექსის“ თანამშრომლობისას განსაზღვრული მხარეთა უფლება-მოვალეობების“ ცვლილების დამტკიცება“ შპს „თენექსი“-ს დირექტორის 2024 წლის 11 ივნისის № 66/23 ბრძანება;
- შპს ,,თენექსი”-ს საქმიანობისას გამოსაყენებელი მარეგულირებელი აქტების - ,,ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება”, ,,სასწავლო პროცესის მართვა” და ,,პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესის” დამტკიცების შესახებ“ შპს „თენექსი“-ს დირექტორის 2023 წლის 20 დეკემბრის N B/25 ბრძანება;
- ,,შპს - „თენექსის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ შპს „თენექსი“-ს დირექტორის 2024 წლის 21 ივლისის № N 103/23 ბრძანება;
- შპს “თენექსი”-ს ,,პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სტატუსის შეწყვეტა, შეჩერება წესის დამტკიცების შესახებ“ შპს „თენექსი“-ს დირექტორის 2023 წლის 27 დეკემბრის N B/29 ბრძანება;
- შპს - „თენექსი“- ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის მიზნით
  წარმოსადგენი განაცხადის ფორმა;
- შპს - „თენექსი“- ს ,,ინდივიდუალური სასწავლო გეგმის“ დამტკიცების შესახებ N 98/23 ბრძანება;
- ,,პროფესიული სტუდენტის შეფასების წესი“ შპს „თენექსი“-ს დირექტორის N100 /23 ბრძანება;
- ,, მობილობა და სწავლის შედეგების აღიარების შესაძლებლობები“ შპს „თენექსი“-ს დირექტორის 2023 წლის 21 დეკემბრის N B/26 ბრძანება
- შპს “თენექსი”- ში საგანმანათლებლო საქმიანობისას გამოსაყენებელი ხელშეკრულებების შაბლონების დამტკიცების შესახებ“ დირექტორის 2024 წლის 17 მაისის N 43/23 ბრძანება;
- ,,შპს-„თენექსი“-ს „კურიკულუმს მიღმა აქტივობების შეფასება განხორციელების მექანიზმებისა“ და „პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა მხარდაჭერის მექანიზმების“ დამტკიცების შესახებ“ შპს „თენექსი“-ს დირექტორის 2023 წლის 03 ნოემბრის № B/12 ბრძანება;

პროფესიული სტუდენტის, მსმენელის წახალისებისა და დისციპლინური სასჯელის მექანიზმი შპს „თენექსი“-ს დირექტორის 2024 წლის 10 ივნისის N 61/23 ბრძანება;

ავტორზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენელთა ინტერვიუს შედეგი

შეფასება:

☒ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3.2 პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები

3.2.1 პსდ-ში ფუნქციონირებს პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის მომსახურება

1. პროფესიული სტუდენტი პსდ-სგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
2. პსდ სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. პსდ პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას;
4. პსდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას;
5. პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. პროფესიული სტუდენტი პსდ-სგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად

პროფესიულ სტუდენტთა აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად კონსულტირებისა და მხარდაჭერის საკითხები განსაზღვრულია დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სამართლებრივი აქტებით: ,,სასწავლო პროცესის მართვა"; პროფესიული სტუდენტის, მსმენელისა და შპს - „თენექსის“ თანამშრომლობისას განსაზღვრული მხარეთა უფლება-მოვალეობები“, ,,პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა მხარდაჭერის მექანიზმი“.

სასწავლო პროცესის მართვის დოკუმენტი ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტებთან სხვადასხვა სახის შეხვედრებს სწავლების მთელი პერიოდის განმავლობაში, საჭიროებისამებრ ინდივიდუალურ კონსულტაციებს პროგრამის ხელმძღვანელთან ან პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პერსონალთან. რეგულაციის თანახმად, პროფესიულ სტუდენტს ან სტუდენტთა ჯგუფს უფლება აქვს ისარგებლოს ინდივიდუალური კონსულტაციის, სწავლაში

ავტორზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მხარდაჭერის მომსახურებით განსაზღვრულ პერიოდსა და დროის მონაკვეთში. ინდივიდუალური მეცადინეობის ორგანიზებასა და ადმინისტრაციულ მხარდაჭერას უზრუნველყოფს პროგრამის კოორდინატორი. დაწესებულების მიერ ინდივიდუალური სწავლის მხარდაჭერის/მეცადინეობის მომსახურება გათვალისწინებულია შემდეგი გარემოების შემთხვევაში: პროფესიული სტუდენტი შუალედური შეფასების/საკვალიფიკაციო გამოცდის წინ საჭიროებს ინდივიდუალურ მეცადინეობას/კონსულტაციას; პროფესიული სტუდენტი განმეორებით განმსაზღვრელი შეფასების/შუალედური შეფასების /საკვალიფიკაციო გამოცდის წინ საჭიროებს ინდივიდუალურ მეცადინეობას/კონსულტირებას; პროფესიულ სტუდენტს მასალის დასაძლევად სჭირდება დამატებითი კონსულტაცია; პროფესიულ სტუდენტს დასაბუთებული გაცდენების გამო ესაჭიროება სწავლაში მხარდაჭერა.

სასწავლო პროცესის მართვის დოკუმენტი ითვალისწინებს სასწავლო პროცესში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე/სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტთა სწავლებისა და მხარდაჭერის ღონისძიებებს.

დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუთი დადასტურებულია, რომ მათ გააზრებული აქვთ პროფესიული სტუდენტების აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად მათი სათანადო კონსულტირებისა და მხარდაჭერის მნიშვნელოვნება და აქვთ მზაობა პრაქტიკაში დანერგონ მათ მიერვე შემუშავებული რეგულაციები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნებთან სრულად შესაბამისობა.

ინდიკატორი 2. პსდ სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან

დაწესებულების პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმით განსაზღვრულია პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის საკითხი. კომპანია, პროფესიულ სტუდენტთა ყოველი ახალი ჯგუფისთვის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის მიზნით, გეგმავს და განახორციელებს გაცნობით შეხვედრებს სწავლის დაწყებამდე. ადაპტაციის მექანიზმი გულისხმობს პროფესიული სტუდენტების ინფორმირებას მათ საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე, ინფორმირებას მათი უფლებებისა და მოვალეობების თაობაზე; სასწავლო გარემოს ავტორზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გაცნობას; კომპანიის ტერიტორიაზე უსაფრთხოდ გადაადგილების, უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სხვა მექანიზმების გაცნობას და ა.შ.. რეგულაციით განსაზღვრულია ადაპტაციის პროცესზე პასუხისმგებელი და პროცესში ჩართული მხარეები.

პროგრამის კოორდინატორთან ინტერვიუთი დადასტურებულია, რომ მას ძალიან კარგად გააზრებული აქვს საკუთარი მოვალეობები პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის პროცესში, არის მოტივირებული ახალგაზრდა და აქვს მზაობა მართოს ზემოაღნიშნული პროცესი.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნებთან სრულად შესაბამისობა.

ინდიკატორი 3. პსდ პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას

დაწესებულების დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია: პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა მხარდაჭერის მექანიზმი და პროფესიული სტუდენტისა და შპს - „თენექსის“ თანამშრომლობისას განსაზღვრული მხარეთა უფლება-მოვალეობები. აღნიშნული დოკუმენტებით გათვალისწინებულია, რომ დაწესებულება იღებს ვალდებულებას გაუწიოს პროფესიულ სტუდენტებს მხარდაჭერა სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის, კომპანია ვალდებულია შექმნას პირობა, რათა პროფესიულმა სტუდენტებმა გონივრულ ვადებში მიიღონ საჭირო ინფორმაცია კომპანიის სტრუქტურული ერთეულებისგან. ამ ეტაპზე დანერგვის პრაქტიკა არ არსებობს, თუმცა დაწესებულების თანამშრომლებს აქვთ მზაობა საკუთარი კომპეტენციების ფარგლებში უზრუნველყონ პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერა. აღსანიშნავია, რომ სასწავლო პროცესის მართვის დოკუმენტის მიხედვით, სასწავლო წლის დასაწყისში გაცნობით შეხვედრებზე პერსონალი ვალდებულია წარსდგეს პროფესიულ სტუდენტთა წინაშე და მიაწოდოს მათ ინფორმაცია საკუთარი მოვალეობების თაობაზე. ასეთი ტიპის ღონისძიებებით პროფესიული სტუდენტები იქნებიან სწორად ინფორმირებულნი თუ რომელი სტრუქტურული ერთეულის თანამშრომელს უნდა მიმართონ კონკრეტული საკითხის მოგვარების მიზნით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულების მიერ შემუშავებული რეგულაციების შეფასებით დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნებთან სრულად შესაბამისობა.

ავტორზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 4. პსდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას

დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია კურიკულუმს მიღმა აქტივობების განხორციელება-შეფასების მექანიზმები, რომლითაც გაწერილია, რომ პროფესიულ სტუდენტებს აქვს საშუალება წარადგინონ ინიციატივა სასურველი ღონისძიების ჩატარების მიზნით. კურიკულუმს მიღმა აქტივობის ინიცირება შესაძლებელია, როგორც ინდივიდუალურად ერთი პირის, ასევე, ჯგუფის მიერ. პროფესიულ სტუდენტთა მხრიდან წარმოდგენილი ინიციატივა შესაძლოა გულისხმობდეს კულტურულ, შემეცნებით, სპორტულ, საექსკურსიო, საგანმანათლებლო თუ სხვა სახის სასარგებლო აქტივობას. ინიცირებით განსაზღვრული აქტივობის განხორციელებაზე გადაწყვეტილება მიიღება წერილობითი ინიცირების წარმოდგენიდან, 10 სამუშაო დღის ვადაში. კურიკულუმს მიღმა აქტივობების განხორციელებასა და მის შესახებ ინფორმაციის გავრცელებაზე პასუხისმგებელი პირია საზოგადოებასთან ურთიერთობის კოორდინატორი.

დაწესებულებაში წახალისებულია დამატებითი/არაფორმალური აქტივობები და პროფესიულ სტუდენტთა ინიციატივები. ,,პროფესიული სტუდენტის, მსმენელის წახალისების მექანიზმებში" აღნიშნულია, რომ კომპანია „თენექსი" პროფესიულ სტუდენტს წაახალისებს შემდეგი გარემოებების შემთხვევაში: პროფესიული სტუდენტის მიერ საზოგადოებრივ საქმეში წვლილის შეტანა; პროფესიული სტუდენტის მიერ კომპანიის გარე აქტივობებში რაიმე სახის წარმატება - შეჯიბრში ან კონკურსში მონაწილეობისას; კურიკულუმს მიღმა აქტივობებისას პროფესიული სტუდენტის მიერ შემუშავებული პროექტის წარმატებით განხორციელება; პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მიერ ახალი იდეის ინიცირება, რომლის შედეგად განხორციელდა კონკრეტული აქტივობა/აქტივობები და სხვა.

ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ წარმოდგენილი რეგულაცია იძლევა სრულყოფილ ინფორმაციას იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა განხორციელდეს სტუდენტთა მიერ საკითხის ინიცირება და როგორ წარიმართება გადაწყვეტილების მიღების და შემდეგ უკვე ინიცირებული ღონისძიებების დანერგვისა და დანერგვის შეფასების, მონიტორინგის პროცესი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულების მიერ შემუშავებული რეგულაციის შეფასებით დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნებთან სრულად შესაბამისობა.

ავტორზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 5. პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას

დაწესებულების სტრუქტურით გათვალისწინებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. ხარისხის შიდა შეფასების მექანიზმები ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტის მომსახურების შეფასება-გაუმჯობესებას „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“ ციკლის მიხედვით. კომპანია გეგმავს, რომ პროფესიული სტუდენტების, მსმენელებისა და კურსდამთავრებულების საჭიროებებს გამოიკვლიოს არამხოლოდ პროგრამის კონტენტთან მიმართებაში, არამედ კომპანიის მიერ გაწეულ სერვისებში, მათ შორის როგორიცაა: კურიკულუმს მიღმა აქტივობები, მხარდაჭერის მექანიზმები, გარემოსთან ადაპტაცია, დასაქმება, კარიერული ზრდის მხარდაჭერა, LLL - პროგრამები, ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინება, კონსულტირება და სხვა.

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმით დაგეგმილია ხარისხის მენეჯერის ხელმძღვანელობით ყოველწლიური კვლევების ჩატარება და ასევე სამ წელიწადში ერთხელ - კომპლექსური კვლევის ჩატარება, კონკრეტულად პროფესიული სტუდენტების, მსმენელებისა და კურსდამთავრებულების საჭიროებების, მოლოდინების, სურვილების შესახებ, რომლის ანგარიში წარდგენილი იქნება ფართო საზოგადოების წინაშე. აღნიშნული კვლევის ჩატარებისთვის შემუშავებულია შესაბამისი კითხვარები და მეთოდოლოგია. შედეგები განთავსდება კომპანიის ვებგვერდზე.

დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით, სწორედ ეს მიდგომა, დაეხმარება კომპანიას გამოკვეთოს პროფესიული სტუდენტების, მსმენელებისა და კურსდამთავრებულების კმაყოფილება, სურვილები და საჭიროებები. მიღებული შედეგების საფუძველზე კი კომპანია დაგეგმავს თავის სამომავლო საქმიანობას და გააუმჯობესებს საქმიანობას გამოკვეთილი საჭიროებების გათვალისწინებით. წარმოდგენილია დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ხარისხის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმა (გაწერილია 2024 წლის მეოთხე კვარტალსა და 2025 წელს განსახორციელებელი აქტივობები). გეგმით გათვალისწინებულია სამუშაო ჯგუფის შექმნა და რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევების ჩატარება სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის, გათვალისწინებულია პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებებით უზრუნველყოფის შეფასება.

ავტორზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულების მიერ შემუშავებული რეგულაციის შეფასებით დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნებთან სრულად შესაბამისობა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- შპს - „თენექსი“-ს პროფესიული სტუდენტის, მსმენელისა და შპს - „თენექსის“ თანამშრომლობისას განსაზღვრული მხარეთა უფლება-მოვალეობების“ ცვლილების დამტკიცება“ შპს „თენექსი“-ს დირექტორის 2024 წლის 11 ივნისის № 66/23 ბრძანება;
- შპს ,,თენექსი”-ს საქმიანობისას გამოსაყენებელი მარეგულირებელი აქტების - ,,ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება”, ,,სასწავლო პროცესის მართვა” და ,,პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესის” დამტკიცების შესახებ“ შპს „თენექსი“-ს დირექტორის 2023 წლის 20 დეკემბრის N B/25 ბრძანება;
- ,,შპს-„თენექსი“-ს „კურიკულუმს მიღმა აქტივობების შეფასება განხორციელების მექანიზმებისა“ და „პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა მხარდაჭერის მექანიზმების“ დამტკიცების შესახებ“ შპს „თენექსი“-ს დირექტორის 2023 წლის 03 ნოემბრის № B/12 ბრძანება;
- ,,შპს - „თენექსი“-ს “ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების“ დამტკიცება“ შპს „თენექსი“-ს დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის N 72/23 ბრძანება
- ხარისხის უზრუნველყოფის სამუშაო გეგმა (2024-2025)
- პერსონალის სამუშაო აღწერილობები;
- პერსონალთან ინტერვიუს შედეგი.

ავტორზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3.2.2 პსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის მომსახურება

1. კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის;
2. პსდ მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. პსდ პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით;
4. კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის

დაწესებულებას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს კარიერული მხარდაჭერის პოლიტიკის დოკუმენტი. კომპანიის კარიერული მხარდაჭერის პოლიტიკა ეყრდნობა პროფორიენტაციის, მიღებული ცოდნისა და გამომუშავებული უნარების რეალიზების, თვითშეფასებისა და პროფესიული განვითარების მნიშვნელობის გაცნობიერებას, არსებული შესაძლებლობების იდენტიფიცირების ხელშეწყობის პრინციპებს.

კარიერული მხარდაჭერის ღონისძიებები ითვალისწინებს სხვადასხვა მიმართულებით აქტივობების დაგეგმვა-განვითარებასა და განხორციელებას. მისი ეფექტურობა იზომება კონკრეტული შედეგებით. კომპანიაში კარიერული მხარდაჭერის ღონისძიებებია: ინდივიდუალური მენტორობა (იგულისხმება - კომპანიის მიერ პროფესიული სტუდენტებისთვის, მსმენელებისთვის გაწეული მენტორობა მოწვეული პირის ან კარიერული მხარდაჭერის კოორდინატორის მიერ, რომელიც ეხება კარიერასთან დაკავშირებული უნარების განვითარებას, სამუშაოს ძიების

ავტორზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საშუალებებს, რეზიუმეს შექმნას, LinkedIn პროფილის ფორმირება-მართვას, სამოტივაციო წერილის წერასა და ა.შ; დამსაქმებლის მიერ კონკრეტული პროფესიული სტუდენტით/მსმენელით დაინტერესებასა და ამ პროცესში, კომპანიის ჩართულობას, საჭიროების შემთხვევაში, მხარეებისთვის შესაბამისი რეკომენდაციის/ინფორმაციის მიწოდება-გაცვლას); კარიერული მხარდაჭერის შეხვედრა, პროფესიაში რეალიზება - ტრენინგი/სემინარის ორგანიზება, კომუნიკაციის გაფართოება (მაგ. ბიზნეს ტურის ორგანიზება), სტაჟირება და დასაქმების შესაძლებლობებზე ინფორმირება, კურსდამთავრებულთა ბაზის ფორმირება-მართვა, პროფორიენტაცია, კარიერული შესაძლებლობების შესახებ კვლევა.

დაწესებულების სტრუქტურით გათვალისწინებულია კარიერული მხარდაჭერის კოორდინატორის საშტატო ერთეული. დებულებითა და მისი სამუშაო აღწერილობით განსაზღვრულია მისი ფუნქცია - მოვალეობები, რაც ცალსახად უკავშირდება არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის კარიერული მხარდაჭერის მომსახურებას . კარიერული მხარდაჭერის კოორდინატორთან ინტერვიუთი დადასტურებულია, რომ საკმაოდ კარგად აქვს გააზრებული საკუთარი მოვალეობები და აქვს საინტერესო ხედვები თავის საქმიანობასთან დაკავშირებით. პროფორიენტაციის ნაწილში აქტიურად ითანამშრომლებს საზოგადოებასთან ურთიერთობის კოორდინატორთან. კოორდინატორს აქვს HR პოზიციაზე მუშაობის გამოცდილება და თვლის რომ აღნიშნული გამოცდილება მას დაეხმარება როგორც ბიზნესთან კომუნიკაციაში, ასევე, პროფესიული სტუდენტების, კურსდამთავრებულების კარიერული განვითარების დაგეგმვაში.

კარიერული მხარდაჭერის კოორდინატორი კურსდამთავრებულთა ბაზის შექმნის“ ღონისძიებას განახორციელებს კარიერული მხარდაჭერის კოორდინატორი და ამ პროცესში მონაწილეობს პროგრამის კოორდინატორი. კარიერული მხარდაჭერის კოორდინატორი წელიწადში ერთხელ ახდენს კომპანიის პერსონალის წინაშე კურსდამთავრებულთა ბაზის სტატისტიკური მონაცემების ანალიზისა და შედეგების პრეზენტირებას.

წარმოდგენილი ერთწლიანი სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულია კარიერული მხარდამჭერი ღონისძიებების ჩატარება და სერვისების განვითარება. გაწერილია კონკრეტული აქტივობები: პროფესიული სტუდენტებისთვის/მსმენელებისთვის კარიერული მხარდაჭერის შეხვედრა; პროფესიული სტუდენტებისთვის/მსმენელებისთვის ტრენინგი/სემინარი თემაზე "პროფესიაში რეალიზება"; პროფესიული სტუდენტებისთვის/მსმენელებისთვის ბიზნეს ტურის ჩატარება; სტაჟირებასა და დასაქმების შესაძლებლობებზე ინფორმირება; კურსდამთავრებულთა ბაზის ფორმირება; შეხვედრა თემაზე პროფორიენტაცია;

ავტორზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კარიერული შესაძლებლობების შესახებ კვლევა; თითოეულ აქტივობაზე ინფორმაციის კომპანიის სოციალურ პლატფორმებზე განთავსება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე,, დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნებთან სრულად შესაბამისობა.

ინდიკატორი 2. პსდ მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით

კარიერული მხარდაჭერის პოლიტიკის დოკუმენტით გათვალისწინებულია პროფესიული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების სტაჟირება და დასაქმების შესაძლებლობებზე ინფორმირება. დაგეგმილია მიმდინარე სტაჟირებისა და ვაკანსიების შესახებ პროფესიული სტუდენტებისთვის განახლებული ინფორმაციის ელ-ფოსტაზე პერიოდული მიწოდება, საჭიროებისამებრ ინდივიდუალური კონსულტაცია. კომპანიის პარტნიორი ორგანიზაციებისთვის კურსდამთავრებულთა შესახებ ინფორმაციის ელ-ფოსტით მიწოდება, ინფორმაციის მიმოცვლა (პერსონალური მონაცემების დაცვის გათვალისწინებით).

კარიერული მხარდაჭერის კოორდინატორის სამუშაო აღწერილობის თანახმად მისი მოვალეობებია: პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა მნიშვნელოვანი ინფორმაციით (დასაქმების ვაკანსიები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები, სამუშაო აღწერილობები, სხვ.) უზრუნველყოფა, ელექტრონულ ფოსტაზე გაგზავნით; პროფესიული სტუდენტებისთვის/მსმენელებისთვის ინდივიდუალური დახმარება ვაკანსიების მოძიება, სტაჟირების გავლასთან დაკავშირებით; მონაცემების შეგროვება კურსდამთავრებულთა დასაქმების და კარიერის განვითარების შესახებ, დასაქმებულ კურსდამთავრებულთა ბაზის შექმნა, კურსდამთავრებულებთან კავშირის დამყარება კარიერული წინსვლის ხელშეწყობის მიზნით, მათი მოლოდინების/საჭიროებების შესწავლა. კოორდინატორთან ინტერვიუთი დადასტურებულია, რომ ის კარგად იცნობს საკუთარ მოვალეობებს და აქვს მზაობა დანერგოს პრაქტიკაში დაწესებულების მიერ შემუშავებული კარიერული მხარდაჭერის მექანიზმები.

ავტორზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნებთან სრულად შესაბამისობა.

ინდიკატორი 3. პსდ პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით

კარიერული მხარდაჭერის პოლიტიკის დოკუმენტით გათვალისწინებულია პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით კვლევების ჩატარება. კარიერული მხარდაჭერის კოორდინატორის სამუშაო აღწერილობის მიხედვით, მონაცემების შეგროვება კურსდამთავრებულთა დასაქმების და კარიერის განვითარების შესახებ, დასაქმებულ კურსდამთავრებულთა ბაზის შექმნა. კვლევები ჩატარდება დაწესებულების მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიის შესაბამისად.

კარიერული მხარდაჭერის კოორდინატორთან ინტერვიუთი დადასტურებულია, რომ ის კარგად იცნობს საკუთარ მოვალეობებს და აქვს მზაობა დანერგოს პრაქტიკაში დაწესებულების მიერ შემუშავებული კარიერული მხარდაჭერის მექანიზმები, მათ შორის, ჩაატარებს კვლევებს პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით და აწარმოებს კურსდამთავრებულთა ბაზას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნებთან სრულად შესაბამისობა.

ინდიკატორი 4. კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს

კარიერული მხარდაჭერის პოლიტიკის დოკუმენტის თანახმად, კომპანია, პერიოდულად (მეთოდოლოგიის შესაბამისად), ატარებს კვლევას, რომლის მიზანია დადგინდეს კომპანიის კარიერული მხარდაჭერის აქტივობების დაგეგმვა-განხორციელებისას მიღწეული შედეგების რელევანტურობა, დაინტერესებულ პირთა კმაყოფილება, არსებული გამოწვევები და გამოიკვეთოს ამ პროცესების გაუმჯობესებისათვის გადასადგმელი ნაბიჯები. ასევე, ხორციელდება კურსდამთავრებულთა შესახებ კვლევა. აღნიშნული პროცესი გულისხმობს მასში შესაბამის რესპონდენტთა

ავტორზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გამოკითხვას, ანალიზსა და შედეგების გამოკვეთას. კვლევა შესაძლო ჩატარდეს როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისებრივი ან სამაგიდო ანალიტიკური მეთოდით. კვლევის ჩატარებისას მკვლევარ(ებ)ი უფლებამოსილია გამოიყენოს კომპანიის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული კვლევის მეთოდოლოგია, რომელიც საჭიროებისამებრ განახლდება.

კარიერული მხარდაჭერის ღონისძიებების შეფასებით მიღებული შედეგები განიხილება კომპანიის ფარგლებში პერსონალის მონაწილეობით. განხილვის მიზანია გუნდურად გადაწყდეს გასაუმჯობესებელი მიდგომები. კვლევების შედეგების საფუძველზე დაწესებულება გააუმჯობესებს საკუთარ საქმიანობას.

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმით დაგეგმილია ხარისხის მენეჯერის ხელმძღვანელობით ყოველწლიური კვლევების ჩატარება. დაწესებულებაში თითოეული პროცესი ექვემდებარება ხარისხის სამსახურის მიერ შეფასებას, მათ Sორის, კარიერული მომსახურების მხარდაჭერა. შეფასების საფუძველზე გაცემული რეკომენდაციები გამოყენებული იქნება შემდგომი განვითარებისთვის.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნებთან სრულად შესაბამისობა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ,,კარიერული მხარდაჭერა“ შპს ,,თენექსი“-ს დირექტორის 2024 წლის 10 ივნისის 58/23 ბრძანება;
- კარიერული მხარდაჭერის კოორდინატორის სამუშაო აღწერილობა
- დაწესებულების ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- ,,შპს - „თენექსი“-ს “ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების“ დამტკიცება“ შპს „თენექსი“-ს დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის N 72/23 ბრძანება
- პერსონალთან ინტერვიუს შედეგი;

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. ადამიანური რესურსები

4.1 პერსონალის და პროცესების მართვა

4.1.1 პსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;
3. პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული

დაწესებულების ორგანიზაციული მოწყობის საკითხები დარეგულირებულია დირექტორის მიერ დამტკიცებული ორი ძირითადი აქტით: ,, შპს - „თენექსი“- ს ბიზნეს პროცესის უწყვეტობა“; ,,შპს - „თენექსი“-ს საქმიანობის მარეგულირებელი დებულება და თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობების დოკუმენტი“.

კომპანიის მმართველი რგოლი/სუბიექტებია: პარტნიორთა კრება, დირექტორი, ხარისხის მენეჯერი და პროგრამის ხელმძღვანელი. ამათგან, იერარქიულად უმაღლესი რგოლია პარტნიორთა კრება, რომელიც ნიშნავს და ათავისუფლებს დირექტორს. პარტნიორთა კრებისა და დირექტორის უფლებამოსილებები, განსაზღვრულია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონმდებლობითა და სამეწარმეო რეესტრში რეგისტრირებული სადამფუძნებლო შეთანხმებით. კომპანიაში ორი ძირითადი სტრუქტურული ერთეულია - „პროგრამების მართვის დეპარტამენტი“ და „ხარისხის მართვის დეპარტამენტი და ერთი დამხმარე სტრუქტურული ერთეული - „ადმინისტრაცია“. ხარისხის მართვის დეპარტამენტის ძირითად ფუნქციას წარმოადგენს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დანერგვა, განხორციელება, ანგარიშგება, რეკომენდაციების განსაზღვრა. პროგრამების მართვის დეპარტამენტის ძირითად ფუნქციას წარმოადგენს სწავლება-სწავლის

ავტორზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროცესების შინაარსობრივი მართვა-განვითარება, საბიბლიოთეკო საქმიანობის, საგანმანათლებლო პროგრამებს მიღმა აქტივობების დაგეგმვა-განხორციელება, პროფესიული სტუდენტების/მსმენელების კარიერული მხარდაჭერა. ადმინისტრაციის ძირითადი სფეროა მატერიალურ-ტექნიკურ-ფინანსური-სამართლებრივი ადმინისტრირება, კომპანიაში სასწავლო თუ სხვა ნებისმიერი პროცესების ადმინისტრაციულ-ტექნიკური- IT უზრუნველყოფა, საზოგადოებასთან ურთიერთობა, უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნა, წესრიგის დაცვა, პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმების დანერგვა, შრომის უსაფრთხოების დაცვა.

კომპანიის თითოეული სტრუქტურული ერთეულის ფუნქციებიდან გამომდინარე, განსაზღვრულია შესაბამისი საშტატო ერთეულები. ხარისხის მართვის დეპარტამენტს ხელმძღვანელობს დირექტორის ბრძანებით დანიშნული ხარისხის მენეჯერი და მისი პერსონალიც უშუალოდ ექვემდებარება და ანგარიშვალდებულია ხარისხის მენეჯერის წინაშე. პროგრამების მართვის დეპარტამენტს ხელმძღვანელობს დირექტორის ბრძანებით დანიშნული კომპანიის ერთ-ერთი პროგრამის ხელმძღვანელი, რომელიც იცვლება ორ წელიწადში ერთხელ, როტაციის გზით. ადმინისტრაციის პერსონალი უშუალოდ ექვემდებარება და ანგარიშვალდებულია დირექტორის წინაშე. რეგულაციის მიხედვით დასაშვებია ადმინისტრაციული ფუნქციების აუთსორსზე გატანა ან მათი უზრუნველყოფა ალტერნატიული გზით (მოცემულ შემთხვევაში უზრუნველყოფილია ქირავნობის ხელშეკრულებით).

სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის საერთო მიზანს წარმოადგენს კომპანიის მისიის, მიზნების მიღწევა, ურთიერთთანამშრომლობა, ინფორმაციის გაცვლა, გუნდური მუშაობა, პროფესიული და პიროვნული განვითარება, განმავითარებელი აქტივობების ინიცირება, კომპეტენციის ფარგლებში სტრატეგიასა და გეგმების შემუშავება-განხორციელება-შეფასების პროცესში, მონაწილეობა/თანამონაწილეობა, ანგარიშგება. მიმდინარე პერიოდში, კომპანიის საქმიანობა არის მცირე მასშტაბის. ის ფუნქციონირებს მხოლოდ ორი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში. შესაბამისად, ექსპერტები თვლიან, რომ განსაზღვრული სტრუქტურა, საშტატო ერთეულები უზრუნველყოფს კომპანიის ეფექტიან მართვას.

ბიზნეს პროცესის უწყვეტობის დოკუმენტით განსაზღვრულია: სტრუქტურული ერთეული, სტრუქტურულ ერთეულში შემავალი პოზიციები, მათი დაქვემდებარებისა და ანგარიშვალდებულების საკითხები, უფლება-მოვალეობის დროებით შემსრულებელი. სტრუქტურულ ერთეულთა ფუნქციები, ერთეულსი შემავალი პოზიციები და მათ

ავტორზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მიმართ წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები დამტკიცებულია „თენექსი“-ს საქმიანობის მარეგულირებელი დებულებით. დაწესებულების დირექტორის ბრძანებით ასევე დამტკიცებულია პერსონალის სამუშაო აღწერილობა, რომელიც მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: სტრუქტურული ერთეულის დასახლება, ანგარიშვალდებულება, საშტატო ერთეულის დასახელება, შემცვლელი პირი/საშტატო ერთეული (საჭიროების შესაბამისად), დატვირთვის ფორმა, სამუშაო დღის ხანგრძლივობა (დაწყება, დამთავრება, შესვენება) და სპეციფიკური პირობები, სამუშაო აღწერილობა (მოვალეობები). ამასთან, ზემოაღნიშნული ორი დოკუმენტის შედარებით დაფიქსირდა რამდენიმე ტექნიკური უზუსტობა, რომლითაც ეს ორი დოკუმენტი არ იყო შესაბამისობაში ერთმანეთთან (მაგალითად, დაქვემდებარების საკითხი, სტრუქტურული ერთეულის დასახელება, მოვალეობა და სხვ). შესაბამისად, ვიზიტის პროცესში დაწესებულებას განემარტა, რომ მიეცემოდათ რეკომენდაცია აღნიშნული უზუსტობების გასწორებასთან დაკავშირებით. თუმცა დაწესებულებამ ვიზიტის პერიოდშივე შეიტანა რეგულაციებში ცვლილება (მტკიცებულებებში მითითებულია ბრძანებების დამტკიცების ორი რეკვიზიტი).

შპს - „თენექსი“- ს ბიზნეს პროცესის უწყვეტობისა და ,,შპს - „თენექსი“-ს საქმიანობის მარეგულირებელი დებულება და თანამშრომელთა სამუშაოა აღწერილობების დოკუმენტების ანალიზით გამოიკვეთა, რომ დაწესებულებამ თავისი ორგანიზაციული მოწყობით, სტრუქტურული ერთეულების ფუნქციებით და პერსონალის სამუშაო აღწერილობით დაფარა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ, ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად, განსახორციელებელი ყველა ძირითადი და დამხმარე პროცესი და შესაბამისი ფუნქცია- მოვალეობის შემსრულებლად განსაზღვრულია შესაბამისი სტრუქტურული ერთეული/სუბიექტი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნებთან სრულად შესაბამისობა, რომ დაწესებულებაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული.

ავტორზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 2. პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება დარეგულირებულია დირექტორის მიერ დამტკიცებული ორი ძირითადი აქტით: ,, შპს - „თენექსი"- ს ბიზნეს პროცესის უწყვეტობა"; ,,შპს - „თენექსი"-ს საქმიანობის მარეგულირებელი დებულება და თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობების დოკუმენტი".

დაწესებულების სტრუქტურით განსაზღვრულია სამი სტრუქტურული ერთეული: „პროგრამების მართვის დეპარტამენტი", „ხარისხის მართვის დეპარტამენტი და „ადმინისტრაცია". დებულების ფარგლებში დამტკიცებულია სტრუქტურულ ერთეულთა ფუნქციები და მათი შინაარსობრივი ანალიზით დადასტურებულია, რომ სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციები და პასუხისმგებლობების სწორადაა გადანაწილებული, რამაც უნდა უზრუნველყოს დაწესებულების ხარისხზე ორიენტირებული საქმიანობა. პერსონალთან ინტერვიუს გზით ასევე დადასტურებულია, რომ ისინი იცნობებენ საკუთარ სამუშაო აღწერილობებს და აქვთ მზაობა საქმიანობა წარმართონ სამუშაო აღწერილობებით განსაზღვრული მოვალეობების შესაბამისად ან უკვე ახორციელებენ მათ.

დაწესებულებას ,,პროგრამების მართვის დეპარტამენტისა" და ,,ხარისხის მართვის დეპარტამენტისთვის" უკვე ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის კადრები. ადმინისტრაციის სტრუქტურული ერთეულით განსაზღვრული ფუნქციების ნაწილი კი გატანილია აუთსორსზე, მომსახურების ხელშეკრულებისა და ქირავნობის ხელშეკრულებების ფარგლებში. კერძოდ, მომსახურების ხელშეკრულებებია გაფორმებულია შრომის უსაფრთხოებისა და პერსონალური მონაცემების დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე, ხოლო წესრიგის დაცვა, პირველადი გადაუდებელი დახმარება და IT მომსახურება უზრუნველყოფილია დაწესებულების ფართის ქირავნობის ხელშეკრულების ფარგლებში.

ექსპერტთა მიერ განხორციელდა თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შედარებითი ანალიზი და დადასტურებულია მათი შესაბამისობა. გეგმით დასახული ამოცანების, აქტივობების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირები განსაზღვრულია მათი ფუნქცია- მოვალეობების გათვალისწინებით.

<u>ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნებთან სრულად შესაბამისობა., რომ პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას</u>

ავტორზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 3. პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს

დაწესებულების სტრუქტურით განსაზღვრულია სტრუქტურული ერთეული - ხარისხის მართვის დეპარტამენტი, რომელიც ექვემდებარება დირექტორს. დებულების მიხედვით, ხარისხის მართვის დეპარტამენტს ხელმძღვანელობს ხარისხის მენეჯერი, რომელსაც ნიშნავს და ათავისუფლებს კომპანიის დირექტორი. ხარისხის მართვის დეპარტამენტი კომპანიის ძირითადი სტრუქტურული ერთეულია, რომლის ფუნქციებია: შიდა ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ძირითადი და დამხმარე პროცესების იდენტიფიცირება, პროცესების დაგეგმვა, მართვა, კოორდინირება; ხარისხის სისტემის, პროცესისა და პროცედურის დაგეგმვა-დანერგვა და პერიოდული განახლება; ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებთან კომპანიის ორგანიზაციული სტრუქტურისა და პერსონალის მართვის, პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის სერვისების შეფასება, განმავითარებელი რეკომენდაციების განსაზღვრა; პერიოდული მონიტორინგი, სხვადასხვა აქტორ-რესპონდენტების გამოკითხვა, ანგარიშგება; ხარისხის მექანიზმებისა თუ სასწავლო პროცესების განვითარების შესახებ რეკომენდაციების შემუშავება და დირექტორის წინაშე ინიცირება; პროფესიული სტუდენტების/მსმენელების კანონიერი ინტერესებისა და სოციალური ინიციატივების, პროექტების, პრაქტიკების მხარდამჭერი ღონისძიებების შეფასება-ანგარიშგება; კომპანიის საქმიანობის გაუმჯობესების რეკომენდაციების შემუშავება.

ხარისხის მართვის დეპარტამენტი თავისი საქმიანობის განხორციელებისას ეყრდნობა დაწესებულების დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულ დოკუმენტს - შპს ,,თენექსის“ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი“. დაწესებულების სტრატეგიული გეგმის მიხედვით, მე-6 მიზნის (ორგანიზაციული განვითარება) მისაღწევად გათვალისწინებულია დაწესებულებაში ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დანერგვა.

ექსპერტთა მიერ ხარისხის მართვის დეპარტამენტისა და სხვა სტრუქტურული ერთეულების ფუნქციების, დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის, ერთწლიანი სამოქმედო გეგმისა და ხარისხის უზრუნველყოფის გეგმის ანალიზით დადასტურებულია, რომ დაწესებულებაში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

<u>დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნებთან სრულად შესაბამისობა</u>

ავტორზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სადამფუძნებლო შეთანხმება;
- ,,შპს - „თენექსი“-ს დებულების, სამუშაო აღწერილობების დამტკიცებისა და ელექტრონული საქმისწარმოების შესახებ“ შპს ,თენექსის“ დირექტორის 2023 წლის 11 ოქტომბრის №B/4 ბრძანება;
- ,,შპს - „თენექსი“- ს ბიზნეს პროცესის უწყვეტობის დამტკიცება“ შპს ,თენექსის“ დირექტორის 2024 წლის 05 ივნისის N 52/23 ბრძანება;
- შპს ,თენექსის“ დირექტორის 2024 წლის 20 ივლისის N 95/23 ბრძანება;
- შპს ,,თენექსი“ და შპს ,,ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი“ შორის გაფორმებული ქირავნობის ხელშეკრულება (საჯარო რეესტრში რეგისტრაციის თარიღი და გადაწყვეტილების ნომერი - № 882024823246-03; 1 2.06.2024);
- ,,შპს - „თენექსის” 2025წ-2032 წ. შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის დამტკიცება“ შპს ,თენექსის“ დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის N 71/23 ბრძანება;
- დამტკიცება,,შპს - „თენექსის” ერთწლიანი სამოქმედო გეგმის დამტკიცება“ შპს ,თენექსის“ დირექტორის 2024 წლის 20 ივნისის N 80/23 ბრძანება;
- შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთან (ნ.ღ) გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულება- 20 მაისი, 2024 წ;
- პერსონალური მონაცემების დაცვასთან დაკავშირებით ფიზიკურ პირთან (მ.მ) გაფორმებული 2024 წლის 19 ივნისის №45/2 მომსახურების ხელშეკრულება;
- ,,შპს - „თენექსი“-ს “ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების“ დამტკიცება“ შპს „თენექსი“-ს დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის N 72/23 ბრძანება;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამუშაო გეგმა (2024-2025)
- ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, მოდულის, ქართული ენის პროგრამის, ქართული ენის მოდულის, მომზადების/გადამზადების პროგრამის, კურსის განმახორციელებელი პირების მართვა - განვითარება“ დაწესებულების დირექტორის 2024 წლის 10 ივნისის 65/23 ბრძანება;
- პერსონალთან ინტერვიუს შედეგი.

ავტორზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4.1.2 პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციის განვითარებას

1. პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.
2. პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;
3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
4. პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.

შპს ,,თენექსის“ პერსონალის მართვა-განვითარების დოკუმენტი არის დაწესებულების განაცხადი პერსონალის მართვის პოლიტიკასთან დაკავშირებით. კერძოდ, დაწესებულება გეგმავს პერსონალის მართვის პროცესში დაეყრდნოს შემდეგ პროცესებს: პერსონალის გამჭვირვალე კრიტერიუმებით შერჩევა; პერსონალის ინტეგრაცია; პერსონალის შეფასება და თვითშეფასება; პერსონალის განვითარება; პერსონალის შენარჩუნება; სოციალური პოლიტიკის გატარება. ორგანიზაციის კულტურის - ეთიკის პრინციპების დანერგვა-დაცვა. მართვის პოლიტიკის დოკუმენტით გაწერილია აღნიშნული პროცესების დანერგვის წესი და პროცედურები.

დაწესებულების პერსონალის ძირითადი ფუნქციები დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით, თუმცა სპეციფიკური ამოცანა-მოვალეობები ასევე განსაზღვრულია კომპანიის სხვადასხვა სამართლებრივ აქტებში. შრომით ურთიერთობასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება დაწესებულების შინაგანაწესით, რომელიც მოიცავს შემდეგ საკითხებს: კომპანიისა და დასაქმებულის ზოგადი უფლება-მოვალეობები, შრომითი ხელშეკრულების დადება, სამუშაო დრო,

ავტორზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ზეგანაკვეთური, უქმე დღეები, არანორმირებული სამუშაო დრო, შვებულება, დროებით შრომისუუნარობა, მივლინება, შრომის ანაზღაურების წესი, შრომითი პირობები და უსაფრთხოება, დავის გადაწყვეტის წესი, შრომითი ურთიერთობის შეჩერება და შეწყვეტა, წახალისების ფორმები და დისციპლინური სასჯელი, პრემია ფულადი დახმარება და სხვა დებულებები.

დაწესებულების დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია პერსონალთან, პროგრამების განმახორციელებლებთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ნიმუშები (მომსახურების, შრომითი). შრომითი ხელშეკრულება მოიცავს შრომის კოდექსით გათვალისწინებულ ყველა ძირითად ინფორმაციას. კერძოდ, ხელშეკრულებით დარეგულირებულია შემდეგი საკითხები: ხელშეკრულების საგანი, სამუშაოს შესრულების ადგილი, განცხადებები და გარანტიები, მხარეთა უფლება-მოვალეობები (მათ შორის შვებულებების საკითხი), შრომის ანაზღაურების პირობები (მათ შორის, ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი), სამუშაო დრო და დასვენების დრო, ხელშეკრულების მოქმედების ვადა, მხარეთა პასუხისმგებლობა, კონფიდენციალობა, მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავების გადაწყვეტის წესი, ფორს-მაჟორი, მხარეთა რეკვიზიტები. შრომის შინაგანაწესისა და ხელშეკრულბების შედარებით დადასტურებულია კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან მათი შესაბამისობა და ასევე მათი ერთმანეთთან შესაბამისობა.

დაწესებულების სტრუქტურით გათვალისწინებულია პერსონალის მართვის კოორდინატორის პოზიცია, რომელიც პასუხისმგებელია პერსონალთან შრომითი ურთიერთობების კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების უზრუნველყოფის პროცესზე.

<u>ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნებთან სრულად შესაბამისობა.</u>

ინდიკატორი 2. პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით

პერსონალის შერჩევის პრინციპები განსაზღვრულია პერსონალის მართვა-განვითარების დოკუმენტში, რომელიც მოიცავს კადრების შერჩევის პოლიტიკას - კადრების მიმართ ტრანსფერული უნარების მოთხოვნას, დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით, რეგიონში ახალგაზრდა კადრების დასაქმებას და მათთვის

ავტორზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განვითარების პირობების შექმნას, თუნდაც კონკრეტულ სფეროში სამუშაო გამოცდილების გარეშე. შესაბამისად, კომპანია ვაკანსიის გამოცხადებისას მთავარ მოთხოვნად ადგენს ტრანსფერულ უნარებს. ამ უკანასკნელის გათვალისწინებით, კომპანია შერჩეულ კადრს უქმნის სათანადო პირობებს იმისათვის, რომ გაერკვეს ფუნქცია-მოვალეობების შესრულებაში, განივითაროს ცოდნა და უნარები, გახდეს წარმატებული კადრი. თანამშრომლობა გამოსაცდელი ვადით, როგორც კომპანიისთვის, ასევე პერსონალისთვის უზრუნველყოფს ნათელი გახადოს რამდენად წარმატებულია მათი თანამშრომლობა და მომავალში მისი გაგრძელების შესაძლებლობა.

კომპანია პერსონალის მოზიდვის მექანიზმად იყენებს ვაკანსიების საჯაროდ გამოცხადებას, კომპანიის დასაქმებულად შეიძლება მიღებულ იქნეს ნებისმიერი ფიზიკური პირი, რომელმაც მიაღწია 18 წლის ასაკს და აკმაყოფილებს კომპანიის მოთხოვნებს. განათლების ან/სამუშაო გამოცდილებისადმი წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები დამტკიცებულია დაწესებულების დებულებით, თუმცა დირექტორის ბრძანებით ვაკანსიის გამოცხადებისას საკვალიფიკაციო მოთხოვნა მეტად დეტალიზდება (მაგ: ტრასფერული უნარები, საკანონმდებლო აქტების ცოდნა და სხვ.).

დაწესებულების მიერ არსებულ ვაკანსიებზე პირები შეირჩა საჯარო კონკურსის გზით. დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით საჯაროდ გამოცხადებული კონკურსების გამოცდილებამ აჩვენა, რომ რეგიონში კადრების დეფიციტია, რაც ართულებს კანდიდატების მოძიება-შერჩევის პროცესს. აღნიშნულიდან გამომდინარე, კომპანიას კანდიდატის შერჩევის მექანიზმად დამატებით განსაზღვრა წერილობითი რეკომენდაციით მიღებაც. კომპანიამ პერსონალის ძირითადი ნაწილი შეარჩია ღია, გამჭვირვალე კონკურსის წესით, რომელიც განთავსებული იყოს job/ge-ზე. კონკურსი გამოცხადდა დირექტორის ბრძანებით, რომლითაც განისაზღვრა კონკურსის ვადები, შესარჩევი კომისიები, წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა, საკვალიფიკაციო მოთხოვნები, სამუშაო ადგილი, ანაზღაურების ოდენობა, გადაწყვეტილების მიღების პირობები, რომელიც გულისხმობს კომისიის მიერ კანდიდატების გასაუბრებაზე შესაბამისი კითხვარით შეფასებასა და შერჩევას.

ვიზიტის პროცესში გამოთხოვილი იქნა კონკურსების ჩატარებისა და კადრების შერჩევის მტკიცებულებები (ბრძანებები ვაკანსიის თაობაზე, საჯაროდ გამოცხადების მტკიცებულებები, საკონკურსო კომისიის ოქმები, დანიშვნის ბრძანებები, შრომითი ხელშეკრულებები; გამოსაცდელი პერიოდის შემდეგ განხორციელებული აქტივობების მტკიცებულებები) და დადასტურებულია მათი დაწესებულების მიერ განსაზღვრული წესით განხორციელება და

ავტორზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თანამშრომლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობა. პირად საქმეებში განთავსებულია სამუშაო აღწერილობის გაცნობისა და პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე თანხმობის მტკიცებულებები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნებთან სრულად შესაბამისობა.

ინდიკატორი 3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას

პერსონალისადმი წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები განსაზღვრულია „შპს - „თენექსი"-ს დებულებით. ძირითად საკვალიფიკაციო მოთხოვნად განსაზღვრულია განათლების მინიმალური დონე ან/და სამუშაო გამოცდილება.

ექსპერტთა მიერ გადამოწმდა დაწესებულების პერსონალის პირადი საქმეები და დადასტურებულია მათი კომპანიის მიერ დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობა. პირად საქმეებში განთავსებულია კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები და დადგენილი პირობების თანახმად, საჭიროების შემთხვევაში, სამუშაო გამოცდილების დოკუმენტი.

პერსონალის პირად საქმეებში ასევე განთავსებული იყო მართვის პოლიტიკის დოკუმენტით განსაზღვრული დოკუმენტაცია, მათ შორის, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ცნობა, პირის „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისათვის ან/და იმავე კანონის საფუძველზე პირისთვის სასამართლოს მიერ საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლების ჩამორთმევის შესახებ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნებთან სრულად შესაბამისობა.

ინდიკატორი 4. პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს

ავტორზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპანიის ღირებულებები ითვალისწინებს - „ურთიერთთანამშრომლობითი და გუნდური პრინციპით მუშაობას“. „პერსონალის მართვა-განვითარების“ დოკუმენტით განსაზღვრული ორგანიზაციული კულტურაც ითვალისწინებს გუნდური მუშაობის პრინციპს. კომპანიის სხვადასხვა სამართლებრივ აქტებში გათვალისწინებულია კონკრეტული ამოცანის გადასაჭრელად დირექტორის ბრძანებით სამუშაო ჯგუფების შექმნა. დაწესებულების წარმომადგენელთა აზრით, აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს ურთიერთთანამშრომლობით პრობლემების გადაჭრას და ახალი მიზნების დასახვა-მიღწევას. კომპანიაში, ყოველი კვირის განმავლობაში, მინიმუმ ერთჯერ პერსონალთან ტარდება გაერთიანებული შეხვედრა, სხვადასხვა საკითხების ერთმანეთისთვის გაზიარების, დისკუსიისა და მსჯელობის, გადაწყვეტილებების ერთობლივად მიღება-განხილვის მიზნით. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ძირითადი სამართლებრივი დოკუმენტებიც შემუშავებულია სამუშაო ჯგუფებში, მათ შორის, სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმები, პროგრამები. მტკიცებულებებად წარმოდგენილია სამუშაო შეხვედრების მტკიცებულებები, ელექტრონულ ფოსტაზე მიმოწერის მტკიცებულებები.

დაწესებულების პერსონალის გუნდურობა გამოიკვეთა ექსპერტთა ვიზიტის პროცესში. ექსპერტთა გუნდის წინაშე თენექსი წარსდგა როგორც გუნდი, რომელსაც აქვს კონკრეტული, საკმაოდ ამბიციური მიზნები და აქვს მოტივაცია და მზაობა მიაღწიოს ამ მიზნებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნებთან სრულად შესაბამისობა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- შპს - „თენექსი“- ს პერსონალის მართვა-განვითარებასთან დაკავშირებული აქტების დამტკიცება” შპს ,,თენექსის“ დირექტორის 2024 წლის 04 ივნისის N 48/23 ბრძანება (დანართი N1 - შპს - “თენექსი” პერსონალის მართვა-განვითარება);
- ,,შპს - „თენექსი“-ს დებულების, სამუშაო აღწერილობების დამტკიცებისა და ელექტრონული საქმისწარმოების
- შესახებ“ შპს ,თენექსის“ დირექტორის 2023 წლის 11 ოქტომბრის №B/4 ბრძანება;
- შპს ,,თენექსის“ დირექტორის 2024 წლის 29 იანვრის NB/6-3 ბრძანება ვაკანტურ პოზიციებზე კონკურსის

ავტორზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გამოცხადების თაობაზე;

- შპს - ,,თენექსი'' ვაკანტურ პოზიციებზე დასანიშნ კანდიდატთა შესახებ ინფორმაციის შემსწავლელი კომისიის 2024 წლის 01 თებერვლის N03/24 სხდომის ოქმი;
- "თენექსი"-ს საშტატო ერთეულებზე კანდიდატების დანიშვნის შესახებ" შპს ,,თენექსის" დირექტორის 2024 წლის 02 თებერვლის 34/23 ბრძანება;
- შპს "თენექსი"- ში საგანმანათლებლო საქმიანობისას გამოსაყენებელი ხელშეკრულებების შაბლონების დამტკიცების შესახებ" შპს ,,თენექსის" დირექტორის 2024 წლის 17 მაისის N 43/23 ბრძანება;
- დაწესებულების ღირებულებები;
- პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები;
- სამუშაო ჯგუფების საქმიანობის მტკიცებულებები.
- პერსონალის პირადი საქმეები;
- პერსონალთან ინტერვიუს შედეგი.

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4.2 პერსონალის განვითარება

4.2.1 პსდ-ს მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით;
4. პსდ უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. პსდ-ში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას

დაწესებულებას შემუშავებული აქვს პერსონალის საქმიანობის შეფასების მექანიზმები, რომელიც განსაზღვრულია როგორც ინსტიტუციური განვითარების მეთოდოლოგიით, ასევე პერსონალის მართვა-განვითარების, კვლევის მეთოდოლოგიის დოკუმენტებით. კომპანია პერსონალთან დაკავშირებულ შეფასება-განვითარებას ახდენს სამი სხვადასხვა მხრიდან ინფორმაციის შეგროვება-ანალიზით: სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულებით; HR კვლევის გეგმით

და მეთოდოლოგიით; პერსონალის მართვა-განვითარებით განსაზღვრული თვითშეფასებითა და ანგარიშგებით.

დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის კმაყოფილების კვლევის მეთოდოლოგია და გეგმა რომელიც უნდა განხორციელდეს ყოველი წლის მესამე კვარტალში ემსახურება არა მხოლოდ კმაყოფილების არამედ,

ავტორზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პერსონალის საჭიროებების გამოვლენასაც. დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მხრიდან პერსონალის შეფასებას, რაც ძალიან მნიშვნელოვანია პერსონალის განვითარების საჭიროებების გამოვლენის თვალსაზრისით. გამოკითხვის შედეგად მიღებული შედეგები რეაგირებისთვის გადაეცემა პერსონალის მართვის კოორდინატორს.

პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი ითვალისწინებს, პერსონალის შეფასების პროცედურებთან, შედეგებთან, თვითშეფასების შევსება-წარმოდგენასთან დაკავშირებით, პერსონალის მართვის კოორდინატორის მიერ კვარტალში არანაკლებ ორჯერ პერსონალთან სამუშაო შეხვედრის ჩატარება. აღნიშნული მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებით, რომ პერსონალის შეფასებისა და თვითშეფასების შედეგები, დამტკიცებული პოლიტიკის დოკუმენტის თანახმად, შესაძლოა გახდეს პერსონალის წახალისების ან დისციპლინური წარმოების დაწყების ან შრომითი ხელშეკრულების შეჩერების ან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი. აღნიშნულის თაობაზე დირექტორთან დასაბუთებულ ინიცირებას წარადგენს პერსონალის მართვის კოორდინატორი.

დაწესებულებას მიერ წარმოდგენილი ერთწლიანი სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულია პერსონალის საჭიროებათა კვლევა. შესაბამისად, დოკუმენტურად და პერსონალთა ინტერვიუთი დადასტურებულია მზაობა დაინერგოს არსებული მექანიზმები.

<u>ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნებთან სრულად შესაბამისობა.</u>

ინდიკატორი 2. პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით

პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტით გათვალისწინებულია პერსონალის განვითარების საკითხები. პროფესიული განვითარების მიზნის მიღწევა შესაძლებელია შემდეგი ღონისძიებებით: პერსონალისთვის ტრენინგების/სემინარების/სამუშაო შეხვედრების/მასტერკლასების ჩატარება; მივლინება სხვა საგანმანათლებლო

ავტორზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებაში/ორგანიზაციაში, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ; გაცვლით პროგრამებში ჩართვა; სასემინარო, კვლევით, პრაქტიკულ კონფერენციებში მონაწილეობა; ადგილობრივ და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა; მივლინება პარტნიორ კომპანიებში სიახლეებისა და თანამედროვე მოთხოვნების გაცნობის მიზნით; სხვა ღონისძიებების განხორციელება, პერსონალის ინდივიდუალური საჭიროების მიხედვით. და სხვ. პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული საჭიროებების გამოკვეთის ერთ-ერთი შესაძლებლობას წარმოადგენს მართვის პოლიტიკის დოკუმენტით განსაზღვრული საჭიროებათა კვლევის ჩატარება.

პერსონალის განვითარების აქტივობების დაგეგმვას, განხორციელებას, შემოწმებასა და განვითარებას უზრუნველყოფს პერსონალის მართვის კოორდინატორი ან/და სხვა პირ(ებ)ი, რომელიც განისაზღვრება დირექტორის მიერ. ჩასატარებელი ღონისძიების შესახებ, დირექტორს უნდა წარედგინოს განვითარების კონკრეტული გეგმა - მოკლე აღწერა. იგი უნდა ითვალისწინებდეს - განმავითარებელი აქტივობის დასახელებას/თემატიკას; ჩატარების პერიოდს; მონაწილე პირების ჩამონათვალს; ტრენერის ვინაობასა და მოკლე, პროფესიულ დახასიათებას; მოსალოდნელ შედეგებს, ჩატარებასთან დაკავშირებულ ფინანსურ ხარჯს.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ერთწლიანი სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულია: ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის განვითარება (ამოცანა - 6.3) და პერსონალის, მათ შორის პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის, საჭიროებების დადგენა და პროფესიული განვითარება (ამოცანა - 6.4). აღნიშნული ამოცანის შესასრულებლად 2025 წელს დაგეგმილია კონკრეტული აქტივობები: პერსონალის საჭიროებათა კვლევა, დადგენილი მეთოდოლოგიის საფუძველზე; კომპანიის გარე სივრცეში პროფესიული და პიროვნული განვითარების ღონისძიებების იდენტიფიცირება; პერსონალის ჩართვა პროფესიული და პიროვნული განვითარების გარე აქტივობებში; პერსონალის კმაყოფილების კვლევა განვითარების ღონისძიებებში მონაწილეობის თაობაზე; პერსონალის განვითარების შესახებ ინფორმაციის სოციალურ პლატფორმებზე განთავსება; პერსონალის განვითარების სამომავლო ტენდენციების განსაზღვრა.

პერსონალის მართვის კოორდინატორთან ინტერვიუთი დადასტურებულია, რომ დაწესებულებას აქვს კონკრეტული ხედვა და გეგმები პერსონალის განვითარების მიმართულებით. 2024 წელს ავტორიზაციისათვის მზადების პროცესში

ავტორზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებამ უზრუნველყო ავტორიზაციის სტანდარტებთან დაკავშირებით თანამშრომლების მომზადება, ასევე, დაწესებულების ბიბლიოთეკარი, იდენტიფიცირებული საჭიროებიდან გამომდინარე, გადამზადდა ელექტრონული ბიბლიოთეკის მართვის საკითხებში (OpenBiblio), ჩატარდა ტრენინგი Iადმინისტრაციული პერსონალის T კომპეტენციების გაძლიერების მიზნით

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნებთან სრულად შესაბამისობა.

ინდიკატორი 3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით

დაწესებულების დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია პროგრამის განმახორციელებელი პირების მართვა-განვითარების მექანიზმები. აღნიშნული დოკუმენტი არეგულირებს პროგრამის განმახორციელებელთა რეკრუტირების (კონკურსით და კონკურსის გარეშე), კონკურსის ჩატარების წესსა და პირობებს, გამოსაცდელი ვადის არსებობას, განმახორციელებელი პირების საქმიანობის შეფასებასა და მათი განვითარების საჭიროებების დადგენასა და პროფესიულ განვითარებას. რეგულაციაში აღნიშნულია, რომ განმახორციელებლის მიერ მიერ საქმიანობის დაწყება, მისი პროფესიული განვითარება და კარიერული წინსვლა ხორციელდება პროფესიული განათლების მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის წესისა და პირობების თანახმად, რომელიც განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით. თუმცა ვინაიდან ამ ეტაპზე ჯერ წესი არ არსებობს, გარდამავალ პერიოდში დაწესებულებას საკითხი განსაზღვრული აქვს საკუთარი ხედვის შესაბამისად.

პროგრამის განმახორციელებელი პირის საქმიანობის შეფასება წარმოადგენს საკადრო პოლიტიკის ხარისხის უზრუნველყოფის განუყოფელ ნაწილს, რომელიც კომპანიაში დასაქმებულ ყველა პირს მისცემს შესაძლებლობას, საკუთარი ფუნქციები და მოვალეობები შეაფასო და განავითაროს. კომპანია გეგმავს განმახორციელებელ პირთა საქმიანობის, მიღწევების, კომპეტენციებისა და სხვა პროფესიული უნარ-ჩვევების შეფასებას შემუშავებული შეფასების მეთოდებისა და ინსტრუმენტების, დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების, პერსონალის

ავტორზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განვითარების გეგმისა და მეთოდოლოგიის გამოყენებით. განმახორციელებელი პირების შეფასება ერთი მხრივ, განხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების აღსრულებით, კერძოდ კითხვარების გამოყენებით, სადაც რესპონდენტები არიან პროფესიული სტუდენტები და მსმენელები, ხოლო მეორე მხრივ, პერსონალის განვითარების გეგმითა და მეთოდოლოგიის გამოყენებით ყოველი სასწავლო წლის ბოლოს. ორივე კვლევა ჩატარდება ერთმანეთისგან დამოუკიდებლად. პირველის შემთხვევაში, ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელია ხარისხის მენეჯერი, ხოლო მეორე შემთხვევაში, პერსონალის მართვის კოორდინატორი. საბოლოოდ, ხორციელდება კვლევის შედეგების ურთიერთგაცვლა, შეჯერება და განმავითარებელი აქტივობების დაგეგმვა.

განმახორციელებელი პირების პროფესიული განვითარების ამოცანა და აქტივობები განისაზღვრება ერთწლიან სამოქმედო გეგმაში, ხოლო პერსონალის მართვის კოორდინატორი, სამოქმედო გეგმის საფუძველზე, განსაზღვრავს და ადგენს პროფესიული განვითარების კონკრეტული ღონისძიების მოკლე აღწერილობას, ვადების და დანახარჯების მითითებით, რომელსაც წერილობით წარადგენს დირექტორის წინაშე.

ვიზიტის პროცესში წარმოდგენილი იქნა პროგრამების განმახორციელებლებთან ჩატარებული სამუშაო შეხვედრების მტკიცებულებები (სწავლებისა და შეფასების საკითხები). ასევე, დაწესებულებს მიერ წარმოდგენილ სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულია პროფესიული განათლების მასწავლებელთა საჭიროებათა კვლევა და გამოვლენილი თემების შესაბამისად მათი პროფესიული განვითარების დაგეგმვა და განხორციელება (ამოცანა 6.4).

<u>ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნებთან სრულად შესაბამისობა.</u>

ინდიკატორი 4. პსდ უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

დაწესებულების დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია პერსონალის ადაპტაციის მექანიზმები, რომლის მიხედვით დაწესებულება იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს ახალი თანამშრომლების ინტეგრაცია სამუშაო გარემოსთან. აღნიშნული მიზნის მისაღწევად დაგეგმილია: ახალი პერსონალისთვის კომპანიის არსებული პერსონალის გაცნობა/წარდგენა; კომპანიის მარეგულირებელი აქტების პერსონალისთვის მიწოდება, მუდმივად

ავტორზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხელმისაწვდომობა ცვლილებების შემთხვევაში მისი დროულად მიწოდება; შრომითი/მომსახურების ხელშეკრულებით განსაზღვრული უფლება-მოვალეობების შესახებ ტრენინგი, საჭიროებისამებრ დამატებით განმარტებები; არსებული პერსონალისთვის ახალ დავალებებთან დაკავშირებით სამუშაო შეხვედრ(ებ)ის ჩატარება, ახსნა-განმარტება; კოლექტივის გასვლითი ღონისძიებები, მათ შორის სოციალურ-კულტურულ-სპორტული აქტივობების განხორციელება; კომპანიაში ახალი აქტივობების/პროექტების დაგეგმვა-განხორციელების პროცესში პერსონალისთვის სამუშაო, განმხილველი შეხვედრების ჩატარება, პერიოდულად პერსონალის გამოკითხვა ადაპტაციის მიდგომებთან, პრობლემებთან ან ადაპტაციის ინიციატივებთან დაკავშირებით.

კომპანიაში პერსონალის ადაპტაციის მექანიზმების დანერგვა-განხორციელებაზე პასუხისმგებელია პერსონალის მართვის კოორდინატორი. ამავე დროს, პროცესებში ჩართულია სხვა პერსონალიც. ბრძანებით განსაზღვრულია კონკრეტული მხარდამჭერი აქტივობის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი. ვიზიტის პროცესში, პერსონალთან ინტერვიუს დროს, ექსპერტები დაინტერესდნენ თუ როგორ უზრუნველყო დაწესებულებამ ახალი თანამშრომლების ადაპტაცია და დადასტურებულია მექანიზმის დანერგვის პროცესი (გაცნობითი სახის შეხვედრები, უფლება - მოვალეობების გაცნობა, სამართლებრივი რეგულაციების გაცნობა და ჩართულობა მათი შემუშავების პროცესში, საინფორმაციო შეხვედრა ავტორიზაციის სტანდარტებთან დაკავშირებით, IT ტექნოლოგიებში კომპეტენციის გაძლიერება).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნებთან სრულად შესაბამისობა.

ინდიკატორი 5. პსდ-ში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები

პერსონალის მართვა-განვითარების დოკუმენტით განსაზღვრულია პერსონალის შენარჩუნების, წახალისების მექანიზმები. კომპანიის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები ითვალისწინებს თითოეული პერსონალის მიერ, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, დირექტორის წინაშე წერილობითი ინიცირებების წარდგენას ამავე სამართლებრივი აქტების ცვლილების, განვითარების მიზნით. პერსონალი ვალდებულია, ინიცირების წარდგენის თაობაზე, ინფორმაცია ასახოს ყოველკვარტალურ თვითშეფასებაში (დადგენილ ფორმაში ველის დამატებით ან გრაფაში „შენიშვნა“).

ავტორზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პერსონალი უფლებამოსილია, დირექტორს წერილობით მიმართოს ნებისმიერ/სხვადასხვა საკითხზე ინიცირების შესახებ, რომელზეც ის მიიჩნევს რომ მნიშვნელოვანია კომპანიის ძირითადი საქმიანობის განვითარებისთვის. ასეთის არსებობის შემთხვევაში, პერსონალი ვალდებულია, ინიცირების წარდგენისა და მისი შედეგების თაობაზე, ინფორმაცია ასახოს ყოველ კვარტალურ თვითშეფასებაში ველის დამატებით. პერსონალის თვითშეფასებაში ასახული ინიცირებები, რომელმაც შედეგად განავითარა კომპანიის საქმიანობა, წახალისების საფუძველია. წახალისების შესახებ დირექტორის წინაშე ინიცირებას ახდენს პერსონალის მართვის კოორდინატორი წლიური ანგარიშის წარდგენის შედეგად. თავად პერსონალის მართვის კოორდინატორის წახალისებაზე გადაწყვეტილებას იღებს დირექტორი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არსებული მექანიზმების შეფასებით, დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნებთან სრულად შესაბამისობა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- შპს - „თენექსი“- ს პერსონალის მართვა-განვითარებასთან დაკავშირებული აქტების დამტკიცება” შპს ,,თენექსის“ დირექტორის 2024 წლის 04 ივნისის N 48/23 ბრძანება (დანართი N2 - “პერსონალის კმაყოფილებისა და საჭიროებების კვლევის გეგმა და მეთოდოლოგია 2025 წ. - 2032 წ.”);
- შპს - „თენექსი“-ს „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, მოდულის, ქართული ენის პროგრამის, ქართული ენის მოდულის, მომზადების/გადამზადების პროგრამის, კურსის განმახორციელებელი პირების მართვა-განვითარების“ დამტკიცება“ შპს - „თენექსი“-ს დირექტორის 2024 წლის 10 ივნისის N 65/23 ბრძანება;
- შპს-„თენექსი“-ს პერსონალის ადაპტაციის მექანიზმებისა და კარიერული მხარდაჭერის დამტკიცების შესახებ“ შპს - „თენექსი“-ს დირექტორის 2023 წლის 02 ნოემბრის N B/11 ბრძანება;

ავტორზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- „შპს - „თენექსის“ ინსტიტუციური განვითარების მიზნით სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები შემუშავება, მონიტორინგისა და განვითარების მეთოდოლოგია“ 2024 წლის 04 ივნისის 47/23 ბრძანება;
- დაწესებულების ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების მტკიცებულებები (შეხვედრების მტკიცებულებები, ცნობები)

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

5.1 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

5.1.1 პსდ-ს მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;
3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;
4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;
5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები;
6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;
7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას;
8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;
9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;

ავტორზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;

11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით

დაწესებულება უზრუნველყოფილია შესაბამისი ფართით, რომელიც არის თანამედროვე სტანდარტებით ახალგარემონტებული, აღჭურვილი შესაბამისი ინვენტარით. დაწესებულებას ქირავნობის ხელშეკრულება გაფორმებული აქვს შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტთან. ქირავნობის ხელშეკრულება, რომელიც მოიცავს 966, 65კვ.მ. ფართს, შენობის მე-4 სართულზე, რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში. ფართის სარგებლობის ვადა არის 2024 წლიდან 10 წლის განმავლობაში. გარდა ამისა, ხელშეკრულების შესაბამისად, კომპანიას აქვს უფლება ისარგებლოს შენობა-ნაგებობის გარე, კეთილმოწყობილი პერიმეტრით, სარეკრეაციო ზონით, სტადიონით.

დაწესებულებასა და უნივერსიტეტს შორის გაფორმებული ქირავნობის ხელშეკრულების საგანს არ წარმოადგენს მხოლოდ ფართის ქირავნოვა. შეთანხმების საგანი უფრო ფართოა, კერძოდ, უნივერსიტეტმა, ხელშეკრულების ფარგლებში, თენექსს გადასცა შესააბამისი მატერიალურ - ტექნიკური რესურსით აღჭურვილი ფართი, 10 წლის ვადით. ინფორმაცია დაწესებულებისთვის გადაცემული მატერიალური რესურსის თაობაზე წარმოადგენს ქირავნობის ხელშეკრულების №2 დანართს.

აზომვითი ნახაზითა და ვიზუალური დათვალიერებით დაწესებულებაში დადასტურებულია შემდეგი ფართების არსებობა: ფოიე, თეორიული სწავლების აუდიტორია /აუდიტორიები, კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი სასწავლო ფართები, ადმინისტრაციული სივრცე, სამუშაო სივრცე პროგრამის განმახორციელებელი პირებისათვის, სამუშაო და დასასვენებელი სივრცე პროფესიული სტუდენტებისათვის, მათ შორის პროფესიულ სტუდენტთა

ავტორზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სპორტულ/შემოქმედებითი საქმიანობისათვის, სანიტარიული კვანძები, ბიბლიოთეკა, სივრცე არქივისთვის, პირველადი გადაუდებელი დახმარების ოთახი. შესაბამისად, დადასტურებულია, რომ დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით.

<u>დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნებთან სრულად შესაბამისობა.</u>

ინდიკატორი 2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;

დაწესებულებას შემუშავებული აქვს მატერიალური რესურსის გამოყენების პოლიტიკა, რომლის თანახმად დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის. შენობას აქვს ლიფტი, შესაბამისად, ფიზიკური შეზღუდვის შეთხვევაში პროფესიულ სტუდენტს ექნება შენობაში თავისუფლად გადაადგილების შესაძლებლობა. პროფესიულ სტუდენტს, მსმენელს უფლება აქვს გამოხატოს უკმაყოფილება მატერიალური რესურსის, მასალა-ნედლეულის მიმართ, რისთვისაც დასაბუთებული წერილობითი ინიციატივით უნდა მიმართოს დირექტორს. აღნიშნული საკითხი ექვემდებარება დირექტორის მიერ განსაზღვრული კომპეტენტური პირების მიერ აუცილებელ განხილვას და შესაბამის რეაგირებას, დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული წესითა და ვადებით.

დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულ დოკუმენტში - ,,პროფესიული სტუდენტის, მსმენელისა და შპს - „თენექსის“ თანამშრომლობისას განსაზღვრული მხარეთა უფლება-მოვალეობები, ასევე, პროფესიულ სტუდენტთან გასაფორმებელი სასწავლო ხელშეკრულების შაბლონშიც ცალსახად გაცხადებულია, რომ პროფესიული სტუდენტის უფლებაა ისარგებლოს კომპანიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, ბიბლიოთეკით, სასწავლო რესურსებით საინფორმაციო საშუალებებით, ხოლო კომპანია ვალდებულია პროფესიულ სტუდენტს/მსმენელს მისცეს კომპანიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, ბიბლიოთეკით, სასწავლო რესურსებით, კომპანიაში არსებული სერვისებით, მათ შორის საინფორმაციო საშუალებებით სარგებლობის საშუალება. კომპანიის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული მატერიალური რესურსით, მასალებით/ნედლეულით უზრუნველყოფა და სასწავლო პროცესში შექმნილი პროდუქტის განკარგვის წესის თანახმად,

ავტორზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინფრასტრუქტურული თვალსაზრისით, კომპანიის სარგებლობაში არსებული ფართი უზრუნველყოფილია გათბობა-გაგრილების სისტემით, მოიცავს ახალგარემონტებულ სასწავლო აუდიტორიებს, ადმინისტრაციულ სივრცეებს, დამხმარე სივრცეებს და სხვა, რომელთა გამოყენება სრულად დაკავშირებულია კომპანიის საქმიანობასთან და ხელმისაწვდომია კომპანიის ნებისმიერი პერსონალისთვის, პროფესიული სტუდენტისთვის, მსმენელისთვის და აღნიშნული მიმართულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე კომპანიის მხრიდან პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერას უზრუნველყოფენ პროგრამის ხელმძღვანელი და პროგრამის კოორდინატორი.

იმის გათვალისწინებით რომ დაწესებულებას ჯერ პროფესიული სტუდენტი არ ყავს მექანიზმის პრაქტიკაში დანერგვა ვერ ფასდება და შეფასება შემოიფარგლება მექანიზმების ანალიზით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არსებული მექანიზმების შეფასებით, დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნებთან სრულად შესაბამისობა.

ინდიკატორი 3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა სივრცეში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები

დაწესებულების მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. აღნიშნულ მომსახურებას უზრუნველყოფს ქირავნობის ხელშეკრულების კონტრაქტორი. მას შემუშავებული აქვს შესაბამისი მექანიზმები, რომელიც თან ერთვის ქირავნობის ხელშეკრულებას (დანართი №8). გარდა ამისა, დაწესებულებას შემუშავებული აქვს სანიტარული მდგომარეობის შემოწმების ფორმა. იგეგმება დირექტორის ბრძანებით სამუშაო ჯგუფის შექმნა, რომელიც სისტემატიურად (არანაკლებ კვირაში 2-ჯერ) შეამოწმებს დაწესებულების სანიტარულ - ჰიგიენურ მდგომარეობას და ინფორმაციას ასახავს ფორმაში.

ვიზიტის დროს დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა სივრცეში დაცული იყო სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნებთან სრულად შესაბამისობა.

ავტორზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით

შპს თენექსსა და შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტს შორის გაფორმებული ქირავნობის ხელშეკრულების თანახმად, გათბობა-გაგრილების სისტემის მომსახურების ვალდებულებას, რომელიც ეკისრება გამქირავებელს.

დაწესებულების ვიზუალური დათვალიერებით დადასტურებულია შენობაში გათბობა - გაგრილების სისტემის არსებობა.

<u>დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა.</u>

ინდიკატორი 5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები

დაწესებულებას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს ,,ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის“ დოკუმენტი, რომლის თანახმად კომპანიის მენეჯმენტი იღებს პასუხისმგებლობას, რომ გონივრულობის ფარგლებში მოახდენს სამუშაო სივრცის და საქმიანობის შესაბამისობას შრომის უსაფრთხოების მიმართულებით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სტანდარტებთან. ასევე, დამტკიცებულია ,,შპს ,,თენექსი“ - ს უსაფრთხოების ზომები და მექანიზმები“, რომლის ფარგლებშიც დაწესებულებას შემუშავებული აქვს კონკრეტული მექანიზმები დაწესებულებაში უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, შემდეგ საკითხებთან მიმართებით: უსაფრთხოების უზრუნველყოფის არეალი, უსაფრთხოების მექანიზმები - სახანძრო უსაფრთხოება, უსაფრთხოების მექანიზმები - პირველი გადაუდებელი დახმარება, უსაფრთხოების მექანიზმები - წესრიგის დაცვა, მოქმედების გეგმა ხანძრის დროს, სახანძრო უსაფრთხოების ინსტრუქტაჟი პერსონალისთვის, პროფესიული სტუდენტებისთვის/მსმენელებისთვის და სხვ.

დაწესებულების დებულების მიხედვით დაწესებულებაში შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფა ადმინისტრაციის სტრუქტურული ერთეულის პასუხისმგებლობაა. ამავე დებულებით დაშვებულია ცალკეული მოვალეობების უზრუნველყოფის შესაძლებლობა მომსახურების ხელშეკრულების ფარგლებში. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთან (ნ. ღ) გაფორმებული 2024 წლის 20 მაისის ხელშეკრულება. შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი არის შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების ავტორზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაციის მქონე პირი. დაწესებულებამ წარმოადგინა სპეციალისტის მიერ უკვე განხორციელებული სამუშაოს მტკიცებულებები: რისკების დოკუმენტი, რომლის გადახედვაც დაგეგმილია 2024 წლის 23 ოქტომბრიდან, ასევე: სამოქმედო გეგმა, ჟურნალები: რისკების გაცნობის აღრიცხვის; ალკოჰოლური და ნარკოტიკული თრობის აღრიცხვის ჟურნალი, ჩატარებული გაზომვების აღრიცხვების ჟურნალი, ინსტრუქტაჟების ხელმოწერების ჟურნალი; სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევებისა და არშემდგრაი უბედური შეთხვევების აღრიცხვის ჟურნალი, სწავლებების აღრიცხვის ჟურნალი.

უსაფრთხოების სპეციალისტი ჩართული იყო საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შემუშავების პროცესშიც.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნებთან სრულად შესაბამისობა.

ინდიკატორი 6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები

დაწესებულებას შემუშავებული აქვს მატერიალური რესურსის გამოყენების პოლიტიკა, ინვენტარიზაციისა და მომარაგების მექანიზმები. შპს - „თენექსში“ მატერიალური რესურსის პოლიტიკა განსაზღვრავს ინვენტართან, მასალა-ნედლეულთან დაკავშირებულ ზოგად პრინციპებს, რომელიც უნდა განხორციელდეს კომპანიის ძირითადი საქმიანობის ფარგლებში. კომპანია მატერიალური რესურსით მომარაგებას უზრუნველყოფს ეგრეთ წოდებული „აუთსორსით“ ან/და მოწვეულ სპეციალისტთან მომსახურების ხელშეკრულების ფარგლებში. სასწავლო პროცესის მასალა - ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მიზნით, სასწავლო პროცესის მართვის წესით განსაზღვრულია მასალის, მოთხოვნისა და მიწოდების შესაბამისი წესი და პროცედურა, პასუხისმგებელი პირების მიწოდებით.

დაწესებულების წარმომადგენლებთან, მათ შორის პროგრამის ხელმძღვანელებთან ინტერვიუთი გამოიკვეთა, რომ იმ პროგრამებზე რომლებსაც ახლა იმატებს დაწესებულება მასალა - ნედლეული მინიმალურია, თუმცა დაწესებულებას სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები შემუშავებული აქვს.

ავტორზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასწავლო პროცესში შექმნილი პროდუქტის განკარგვა რეგულირდება დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული წესით და მოიცავს შემდეგ საკითხებს: ინვენტარის, მასალებისა და ნედლეულის შესყიდვა, შენახვა და გამოყენების წესები, სასწავლო პროცესში შექმნილი პროდუქტის განკარგვის წესi; მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, მასალა-ნედლეულის შეფასება და გაუმჯობესება. კომპანიის თითოეული პერსონალის საკუთარი საქმიანობის შესრულების მიზნებიდან გამომდინარე, აგროვებს ინფორმაციას საჭირო ინვენტარის, მასალის შესახებ და პერიოდულად წერილობით აწვდის დირექტორს. დაწესებულებას ასევე, შემუშავებული და დამტკიცებული აქვს პოლიტიკის დოკუმენტი ნარჩენების მართვასთან დაკავშირებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არსებული მექანიზმების შეფასებით, დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნებთან სრულად შესაბამისობა.

ინდიკატორი 7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას

დაწესებულების მიერ შემუშავებულია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები. კომპანიის შიდა შეფასების მექანიზმები, სხვა არაერთ საკითხთან ერთად, ითვალისწინებს კომპანიის მატერიალური რესურსის შეფასება-გაუმჯობესებას „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“ ციკლის მიხედვით. მატერიალური რესურსით, მასალებით/ნედლეულით უზრუნველყოფა და სასწავლო პროცესში შექმნილი პროდუქტის განკარგვის წესიც, რომელიც დამტკიცებულია შპს ,,თენექსი“ -ს დირექტორის 2024 წლის 09 ივლისის № 90/23 ბრძანებით, ასევე ითვალისწინებს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, მასალა-ნედლეულის შეფასებასა და გაუმჯობესებას. კომპანიისთვის მნიშვნელოვანია სამუშაო გარემოსა და პირობების სათანადოდ უზრუნველყოფა, შესაბამისად პერიოდულად დაადგენს ინფრასტრუქტურის, მასალა-ნედლეულის მიმართ პერსონალისა თუ პროფესიული სტუდენტების კმაყოფილებას. სისტემატურად განახორციელებს საკუთარი რესურსების შეფასებასა და უზრუნველყოფს მის განვითარებას/განახლებას/შევსებას. გათვალისწინებულია შეფასების პროცესში სპეციალისტი მოწვევაც.

ავტორზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმოდგენილია ხარისხის უზრუნველყოფის გეგმა, რომლითაც 2025 წლისთვის დაგეგმილია მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფის ნაწილში შეფასების განხორციელება. წარმოდგენილია პროფესიულ სტუდენტთა, თანამშრომელთა გამოკითხვის მიზნებისთვის შემუშავებული კითხვარები, რომლებიც იძლევა მატერიალური რესურსით მათი კმაყოფილების შესწავლის შესაძლებლობას. ხარისხის მენეჯერის წლიურ ანგარიშში ასახული მიგნებები, შედეგები შესაძლოა გახდეს შემდეგი ცვლილებების/აქტივობების საფუძველი, მაგალითად, მატერიალურ-ტექნიკური რესურსების განახლება/დამატება საჭიროებისა და პროგრამების სპეციფიკასთან შესაბამისობის თვალსაზრისით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არსებული მექანიზმების შეფასებით, დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნებთან სრულად შესაბამისობა.

ინდიკატორი 8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის

შენობა–ნაგებობაში გამიჯნულად არის მოწყობილი ახალი გარემონტებული სანიტარული კვანძები, შესაბამისი მინიშნებებით, მუდმივი წყლით, არის უწყვეტი განათება, ვენტილაცია, შშმ პირთათვის გადაადგილებისა და ადაპტირებული სველი წერტილების ხელმისაწვდომობის შესაძლებლობა. სველ წერტილებში განთავსებულია ჰიგიენის დაცვისთვის საჭირო ინვენტარი და საშუალებები.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნებთან სრულად შესაბამისობა.

ავტორზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა

ვიზუალური დათვალიერებით დადასტურებულია, რომ ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა

<u>დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნებთან სრულად შესაბამისობა.</u>

ინდიკატორი 10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას

ვიზუალური დათვალიერებით დადასტურებულია, რომ სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას. შენობაში არ არის ერთმანეთში გამავალი ფართები, ყველა ოთახს აქვს დამოუკიდებელი შესასვლელი და როგორც საგანმანათლებლო ასევე, ადმინისტრაციული საქმიანობისთვის შექმნილია შესაბამისი პირობები.

<u>დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნებთან სრულად შესაბამისობა.</u>

ინდიკატორი 11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად

დაწესებულების ბიბლიოთეკაში განთავსებულია მომხმარებლისთვის პროგრამის შესაბამისი და სათანადო მატერიალური, ელექტრონული სასწავლო რესურსი, თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ბიბლიოთეკის მუშაობის წესები. დაწესებულებას ჰყავს ბიბლიოთეკარი. დაწესებულებას აქვს ელექტრონული საბიბლიოთეკო კატალოგ (Openbiblio) და უზრუნველყო ახალი თანამშრომლის გადამზადება აღნიშნული მიმართულებით. წარმოდგენილია გადამზადების დამადასტურებელი დოკუმენტი.

<u>დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნებთან სრულად შესაბამისობა.</u>

ავტორზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

- შპს თენექსსა და შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტს შორის გაფორმებული ქირავნობის ხელშეკრულება (გადაწყვეტილება საჯარო რეესტრში რეგისტრაციის თაობაზე № 882024823246-03; 12.06.2024;
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (N 05.34.23.195; 12.07.2024);
- ,,მატერიალური რესურსის გამოყენების პოლიტიკა“ შპს ,,თენექსი“ -ს დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის N 74/23 ბრძანება;
- ,,მატერიალური რესურსით, მასალებით/ნედლეულით უზრუნველყოფა და სასწავლო პროცესში შექმნილი პროდუქტის განკარგვის წესი“ შპს ,,თენექსი“ -ს დირექტორის 2024 წლის 09 ივლისის № 90/23 ბრძანება;
- ,,ინვენტარიზაციის მართვის წესი“ შპს ,,თენექსი“ -ს დირექტორის 2024 წლის 17 მაისის №42/23 ბრძანება;
- ,,პროფესიული სტუდენტის, მსმენელისა და შპს - „თენექსის“ თანამშრომლობისას განსაზღვრული მხარეთა უფლება-მოვალეობების ცვლილების დამტკიცება“ შპს ,,თენექსი“ -ს დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის N 66/23 ბრძანება;
- დირექტორის 2024 წლის 9 ივლისის N 90/23 ბრძანებით დამტკიცებული - სანიტარული მდგომარეობის შემოწმების ფორმა (დანართი N 3);
- ,,შპს “თენექსი”- ს “ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის” დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“ შპს ,,თენექსი“ -ს დირექტორის 2024 წლის 16 მაისის N 40/23 ბრძანება;
- ,,შპს ,,თენექსი“ - ს უსაფრთხოების ზომები და მექანიზმები“ დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“ 2024 წლის 20 მაისის №44/ 23 ბრძანება
- შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთან გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულება და მისი პირადი საქმე (კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი)
- შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის მიერ განხორციელებული საქმიანობის მტკიცებულებები;
- “ნარჩენების მართვის გეგმა” შესახებ“ შპს ,,თენექსი“ -ს დირექტორის 2024 წლის 05 ივნისის №53/23/ ბრძანება;

ავტორზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- „შპს - „თენექსი“-ს “ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების“ დამტკიცება“ შპს „თენექსი“-ს დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის N 72/23 ბრძანება;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმა;
- „შპს-„თენექსი“-ს საბიბლიოთეკო საქმის“დამტკიცების შესახებ“ 2023 წლის 14 ნოემბრის N B/17 ბრძანება;
- სამკითხველო დარბაზის, საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად დამუშავებული სასწავლო რესურსების, ელექტრონული მართვის მოქმედი სისტემისა და კატალოგის შემოწმების შედეგი;
- შენობა-ნაგებობის შიდა აზომვითი ნახაზი;
- დაწესებულების ვიზუალური დათვალიერების შედეგი;

5.1.2 პსდ-ში დაცულია პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოება

1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;
2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;
4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები

დაწესებულებასა და შპს ბათუმის ნავიგაციის უნივერსიტეტს შორის გაფორმებული ქირავნობის ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ქირავნობის პაკეტი, რომლის ფარგლებში გათვალისწინებულია გამქირავებლის მიერ გაქირავებულ ფართში უსაფრთხოების უზრუნველყოფა და ასევე, უსაფრთხოებასთან დაკავშირებული შესაბამისი დოკუმენტაციის მიწოდება, რაც უზრუნველყოფილია ქირავნობის ხელშეკრულების დანართის სახით. კერძოდ:

- ქირავნობის ხელშეკრულების №6 დანართის სახით წარმოდგენილია ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლოს ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ 2023 წლის 22 მარტს გაცემული №001937723 დასკვნა, შენობის მდგრადობის თაობაზე.
- ქირავნობის ხელშეკრულების №5 დანართის სახით წარმოდგენილია შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 2024 წლის 22 აპრილის №MIA 8 24 01210788 კორესპონდენციით წარმოდგენილი სახანძრო შპს "ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი"-ს სახანძრო უსაფრთხოების თაობაზე დადებითი დასკვნა;

ექსპერტებმა დაათვალიერეს დაწესებულება. თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საევაკუაციო გეგმები მინიშნებები, ფართში განთავსებული ცეცხლმაქრის ინვენტარი.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს უსაფრთხოების მექანიზმები. დასაქმებულებთან გაფორმებული და პროფესიულ სტუდენტებთან გასაფორმებელი სასწავლო ხელშეკრულებების შაბლონის თანახმად, კომპანია იღებს ვალდებულებას უსაფრთხო სასწავლო და სამუშაო გარემოს შექმნასთან დაკავშირებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნასთან სრულად შესაბამისობა.

ინდიკატორი 2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები

დაწესებულებასა და შპს ბათუმის ნავიგაციის უნივერსიტეტს შორის გაფორმებული ქირავნობის ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ქირავნობის პაკეტი, რომლის ფარგლებში გამქირავებელი იღებს ვალდებულებას კანონმდებლობით

ავტორზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დადგენილი სტანდარტებით დამქირავებელს გაუწიოს პირველადი დახმარება. დაწესებულების პირველ სართულზე განთავსებულია პირველადი სამედიცინო დახმარების პუნქტი. გარდა ამისა პირველადი დახმარების საშუალებები დაწესებულებას აქვს ადგილზეც და ასევე, დაწესებულების მიერ დამტიცებულია – „უსაფრთხოების ზომები და მექანიზმები “, რომლითაც განსაზღვრულია დაწესებულების ტერიტორიაზე პირველადი დახმარების მიღების შესაძლებლობა.

ვიზიტისას შედგა ინტერვიუ გამქირავებელთან და მის მიერაც დადასტურებულია მზაობა ქირავნობის ხელშეკრულების ფარგლებში უზრუნველყოს აღებული ვალდებულება პირველად გადაუდებელ დახმარებასტან დაკავშირებით.

<u>დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნებთან სრულად შესაბამისობა.</u>

ინდიკატორი 3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი

დაწესებულებას შემუშავებული და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. მტკიცებულებად წარმოდგენილია შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 2024 წლის 21 ივნისის №MIA 924 018 49466 კორესპონდენცია, რომლითაც დასტურდება, რომ დაწესებულების დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის №B/34 ბრძანებით დამტკიცებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შეთანხმებულია საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან.

<u>დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნებთან სრულად შესაბამისობა.</u>

ინდიკატორი 4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

დაწესებულებასა და შპს ბათუმის ნავიგაციის უნივერსიტეტს შორის გაფორმებული ქირავნობის ხელშეკრულების №4 დანართის სახით წარმოდგენილია - დაცვის სამსახურისა და საკონტროლო - გამშვები რეჟიმის დებულებები, რომელთა გათვალისწინებითაც გამქირავებელი უზრუნველყოფს შპს თენექსის შენობა - ნაგებობის მთლიანი დაცვის სისტემის

ავტორზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გამართულად მუშაობას, დამქირავებლის მოთხოვნის შემთხვევაში ფართის ტერიტორიაზე არსებული ჩანაწერების მიწოდებას პერსონალური მონაცემების დაცვით. ასევე, 24/7 დაცვის თანამშრომლების მომსახურებას გამქირავებლის მიერ განსაზღვრული წესით.

ექსპერტებმა დაათვალიერეს დაწესებულება. პერიმეტრზე და სართულზე დამონტაჟებულია ვიდეოსათვალთვალო კამერები. შენობა–ნაგებობასა და მასში არსებულ მდგომარეობას იცავს და აკონტროლებს დაცვა, როგორც ეს გაწერილია ქირავნობის კონტრაქტორის ვალდებულებაში.

ვიზიტისას შედგა ინტერვიუ გამქირავებელთან და მის მიერაც დადასტურებულია მზაობა ქირავნობის ხელშეკრულების ფარგლებში უზრუნველყოს აღებული ვალდებულებები.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნებთან სრულად შესაბამისობა.

მტკიცებულებები:

- შპს თენექსსა და შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტს შორის გაფორმებული ქირავნობის ხელშეკრულებები;
- ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლოს ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ 2023 წლის 22 მარტს გაცემული №001937723 დასკვნა, შენობის მდგრადობის თაობაზე;
- საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 2024 წლის 22 აპრილის №MIA 8 24 01210788 კორესპონდენციით წარმოდგენილი სახანძრო უსაფრთხოების თაობაზე დადებითი დასკვნა;
- შპს "თენექსი"- ს "უსაფრთხოების ზომები და მექანიზმები" დოკუმენტის დამტკიცების შესახებ" შპს ,,თენექსი" -ს დირექტორის 2024 წლის 20 მაისის N 44/23 ბრძანება;
- შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 2024 წლის 21 ივნისის №MIA 924 018 49466 კორესპონდენცია შპს ,,თენექსის" საგანგებო სიტუაციების მართვის გემის შეთანხმების თაობაზე;
- დაწესებულების ვიზუალური დათვალიერების შედეგი;
- ინტერვიუს შედეგი;

ავტორზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

5.2 საინფორმაციო რესურსები

5.2.1 პსდ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს;
2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას;
4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას;
5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება;
6. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

ავტორზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს

კომპანიაში არსებული ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს. კერძოდ, IT ინფრასტრუქტურა გამოყენებულია ადმინისტრაციული პროცესებისა და სასწავლო პროცესის წარმართვისთვის.

დაწესებულების IT ინფრასტრუქტურის ფლობა დადასტურებულია დაწესებულების ვიზუალური დათვალიერებით, შპს თენექსსა და შპს ,,პეას", ასევე შპს თენექსსა და შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტს შორის გაფორმებული ქირავნობის ხელშეკრულებებით. ქირავნობის ხელშეკრულების №3 დანართით წარმოდგენილია შპს ,,სქაიტელთან" - გაფორმებული 2023 წლის 26 ივნისის მომსახურების ხელშეკრულება, რომლის ფარგლებშიც გამქირავებლის მიერ უზრუნველყოფილია შპს თენექსისთვის ინტერნეტ მომსახურება. ადგილზე ვიზიტით დადასტურებულია დაწესებულებაში ინტერნეტის არსებობა, მათ შორის, უზრუნველყოფილია უსადენო ინტერნეტ დაფარვა.

<u>დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნებთან სრულად შესაბამისობა.</u>

ინდიკატორი 2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას

დაწესებულების ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკა განსაზღვრავს ინფორმაციული უსაფრთხოების ზოგად მიმართულებებსა და მიზნებს. საჭიროების შემთხვევაში, დაწესებულება უზრუნველყოფს დამატებითი და დეტალური რეგულაციების განსაზღვრასა და დამტკიცებას. ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის დაცვა ვრცელდება

შემდეგ სფეროებზე: დაწესებულების ინფორმაციული ტექნოლოგიების/სისტემების ინფრასტრუქტურა; დაწესებულებაში არსებული ძირითადი მონაცემები და ინფორმაცია; პირები, რომლებიც იყენებენ ინფორმაციულ

ავტორზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სისტემებს ან ახორციელებენ მის ადმინისტრირებას; პირები, რომლებიც ახორციელებენ ძირითადი მონაცემებისა და ინფორმაციის მართვას. პოლიტიკა განსაზღვრავს: დაწესებულების დაცულობას ინფორმაციის კონფიდენციალურობის, მთლიანობისა და ხელმისაწვდომობის

თვალსაზრისით; პასუხისმგებლობებს ინფორმაციულ უსაფრთხოებაზე.

დაწესებულება აცნობიერებს ინფორმაციული უსაფრთხოების აუცილებლობას და ინფორმაციული უსაფრთხოების მიზნით მხარს უჭერს შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებას. ეფექტური IT რისკების მართვის სისტემის შესაქმნელად დაწესებულება ორიენტირებულია ინფორმაციული უსაფრთხოების რისკების მართვისადმი სისტემური მიდგომის ჩამოყალიბებაზე. დაწესებულებაში რისკების მართვის მუდმივი სრულყოფის ციკლი დაეფუძნება მოდელს – „დაგეგმვა–აღსრულება–შემოწმება– ქმედება “.

დაწესებულებასა და შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტს შორის გაფორმებული ქირავნობის ხელშეკრულების თანახმად, შპს თენექსში IT მომსახურება უზრუნველყოფილია გამქირავებლის მიერ. ხელშეკრულების თანახმად, გამქირავებელი უზრუნველყოფს ტექნიკური საშუალებების ქსელურად გამართულად მუშაობას, გამქირავებელს გამოყოფილი ჰყავს შესაბამისი კვალიფიციური სპეციალისტი რომელიც საჭიროებისამებრ ნებისმიერ სამუშაო დღის განმავლობაში დამქირავებელს გაუწევს IT მომსახურებას.

ვიზიტისას შედგა ინტერვიუ გამქირავებელთან და მის მიერაც დადასტურებულია მზაობა ქირავნობის ხელშეკრულების ფარგლებში უზრუნველყოს აღებული ვალდებულებები.

<u>დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნებთან სრულად შესაბამისობა.</u>

ინდიკატორი 3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას

დაწესებულება თვითშეფასებით წარმოადგინა 2024 წლის 12 ივნისის №67/23 ბრძანებით დამტკიცებული პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმი, რომელიც შემუშავდა ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის შესაბამისად. იმის გათვალისწინებით, რომ დაწესებულებამ 2024 წლის 19 ივნისის მომსახურების ხელშეკრულებით აიყვანა პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე პასუხისმგებელი პირი, მის მიერ გადაიხედა არსებული დოკუმენტი და დაწესებულებამ

ავტორზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვიზიტის დროს წარმოადგინა დირექტორის 2024 წლის 15 ივლისის N 93/23 ბრძანებით დამტკიცებული შპს - „თენექსის“ პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხებთან დაკავშირებული დოკუმენტები: „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ დებულება“; „მონაცემთა დამუშავების შესახებ თანამშრომელთა თანხმობის წერილი“; „მონაცემთა დამუშავების შესახებ საგანმანათლებლო პროგრამის, მოდულის კურსის, ტრენინგის, სემინარის, მომზადების/გადამზადების პროგრამის განმახორციელებლის თანხმობის წერილი“; „მონაცემთა დამუშავების შესახებ პროფესიული სტუდენტი/მსმენელის თანხმობის წერილი“; თანხმობა პერსონალურ მონაცემთა დამუშავების შესახებ“, რომელიც შემუშავებულია კომპანიის მიღმა ნებისმიერი დაინტერესებულ პირთათვის. ექსპერტთა მიერ შესწავლილი იქნა წარმოდგენილი დოკუმენტაცია და დადასტურებულია მათ საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობა.

აღსანისნავია, რომ ვიზიტის მომენტში დაწესებულებას უკვე ყველა თანამშრომლისგან ჰქონდა მოპოვებული წერილობითი თანხმობა პერსონალირი მონაცემების დაცის თაობაზე და თანხმობის წერილები განთავსებული იყო პესონალისა და განმახორციელებლების პირად საქმეებში.

<u>ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნებთან სრულად შესაბამისობა.</u>

ინდიკატორი 4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას

დაწესებულება სისტემატიურად განახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის მონიტორინგს, რაც გულისხმობს IT ინფრასტრუქტურის ტექნიკურ შეფასებას და შეუსაბამობების აღმოფხვრას, ისე პროგრამულ უზრუნველყოფას.

დაწესებულების მიერ შემუშავებულია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები. კომპანიის შიდა შეფასების მექანიზმები, სხვა არაერთ საკითხთან ერთად, ითვალისწინებს კომპანიის IT მომსახურების შეფასება-გაუმჯობესებას „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“ ციკლის შესაბამისად.

წარმოდგენილია ხარისხის უზრუნველყოფის გეგმა და პროფესიულ სტუდენტთა, თანამშრომელთა გამოკითხვის მიზნებისთვის შემუშავებული კითხვარები, რომლებიც იძლევა IT მომსახურებით, ინტერნეტზე წვდომით მათი

ავტორზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კმაყოფილების შესწავლის შესაძლებლობას. ხარისხის მენეჯერის წლიურ ანგარიშში ასახული მიგნებები, შედეგები შესაძლოა გახდეს შემდეგი ცვლილებების/აქტივობების საფუძველი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მექანიზმის შეფასებით დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნებთან სრულად შესაბამისობა.

ინდიკატორი 5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება

დაწესებულების პერსონალის და პროფესიული სტუდენტებისთვის გამოყოფილია როგორც კომპიუტერები და პერიფერიული მოწყობილობები, ასევე გათვალისწინებულია მუდმივი მომსახურება, რომლებიც უზრუნველყოფს სწავლის პროცესის და ადმინისტრაციული საქმიანობის გამართულობას.

დაწესებულების მიერ შემუშავებული სხვადასხვა რეგულაციების ფარგლებში, მათ შორის: კომპანიის შინაგანაწესი; პროფესიული სტუდენტის, მსმენელისა და შპს - „თენექსის“ თანამშრომლობისას განსაზღვრული მხარეთა უფლება-მოვალეობები, კომპანიას აღებული აქვს ვალდებულება უზრუნველყოს პერსონალი და პროფესიული სტუდენტები/მსმენელები ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურითა და შესაბამისი მომსახურებით.

ადმინისტრაციულ პერსონალთან და პროგრამის ხელმძღვანელებთან ინტერვიუთი დადასტურებულია, რომ პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება და აქვთ მზაობა ანალოგიურად ხელმისაწვდომი იყოს ის პროფესიული სტუდენტებისთვის (დაწესებულებას ორი პროგრამის ფარგლებში პროფესიული სტუდენტებისთის განსაზრვრული აქვს ჯამსი 200 კომპიუტერი)

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნებთან სრულად შესაბამისობა.

ინდიკატორი 6. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით

ავტორზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებაში პერსონალთან და სასწავლო პროცესში ჩართულ პირებთან (პროფესიული სტუდენტი, მსმენელი) კომუნიკაციის შესაძლო არხებია: ელექტრონული საქმისწარმოება, ვებ გვერდი, სოციალური ქსელი (Facebook გვერდი), ელექტრონული ფოსტა, სატელეფონო კომუნიკაცია.

დაწესებულებას პერსონალისთვის შექმნილი აქვს დაწესებულების დომეინით ამოქმედებული ელ. ფოსტები და გეგმავს ანალოგიურად ელ. ფოსტები შეიქმნას პროფესიული სტუდენტებისთვის. შპს - „თენექსი"-ს „პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა მხარდაჭერის მექანიზმი"-თ გათვალისწინებულია სტუდენტებთან კომუნიკაცია კორპორატიული ელ. ფოსტების გამოყენებით. დაწესებულება ასევე გეგმავს პროფესიულ სტუდენტთა ელექტრონული პირადი კაბინეტის დანერგვას, რომლითაც მარტივად იქნება უზრუნველყოფილი მათი ინფორმირება. არსებული რეგულაციების მიხედვით

არსებული მექანიზმებისა და პერსონალის ელ. ფოსტების გადამოწმებით დადასტურებულია დაწესებულებაში ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო სისტემის დანერგვის კულტურა.

<u>დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნებთან სრულად შესაბამისობა.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

- შპს თენექსსა და შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტს შორის გაფორმებული ქირავნობის ხელშეკრულებები;
- ქირავნობის ხელშეკრულების დანართი - №3 დანართით წარმოდგენილია შპს ,,სქაიტელთან" - გაფორმებული 2023 წლის 26 ივნისის მომსახურების ხელშეკრულება,
- შპს თენექსსა შპს პეას შორის გაფორმებული 2024 წლის 18 ივლისის ქირავნობის ხელშეკრულება;
- დაწესებულების ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკა;
- შპს - „თენექსის" პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხებთან დაკავშირებული დოკუმენტების დამტკიცების შესახებ" შპს ,,თენექსი" -ს დირექტორის 2024 წლის 15 ივლისის N 93/23 ბრძანება;
- პერსონალური მონაცემების დაცვაზე პასუხისმგებელ პირთან გაფორმებული 2024 წლის 19 ივნისის მომსახურების ხელშეკრულება;

ავტორზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- IT ინფრასტრუქტურისა და ინტერნეტმომსახურების შემოწმების შედეგი; უკაბელო ინტერნეტის ადგილზe შემოწმების შედეგი;
- დაწესებულების დომეინით პერსონალისთვის ამოქმედებული ელ-ფოსტის მისამართების შემოწმების შედეგი;
,,პროფესიული სტუდენტის, მსმენელისა და შპს - „თენექსის“ თანამშრომლობისას განსაზღვრული მხარეთა უფლება-მოვალეობები“ დირექტორის 2024 წლის 11 ივნისის N 66/23 ბრძანება;
- კომპანიის შინაგანაწესი (N 50/23; 04.06.2024)
- შპს - „თენექსი“-ს „პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა მხარდაჭერის მექანიზმი“ 2024 წლის 10 ივნისის N 59/23 ბრძანება;
- დაწესებულების დომეინით პერსონალისთვის ამოქმედებული ელ-ფოსტის მისამართების შემოწმების შედეგი;
- ,,შპს - „თენექსი“-ს “ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების“ დამტკიცება“ შპს „თენექსი“-ს დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის N 72/23 ბრძანება;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმა;
- პასუხისმგებელ პირებთან ინტერვიუს შედეგი;

5.2.2 პსდ-ში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას;
4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 1. პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი

შპს ,,თენექსი''-ს დირექტორის 2024 წლის 13 ივნისის N 69/23 ბრძანებით დამტკიცებულია საქმისწარმოების წესი, რომლის მიზანია მიზანია კომპანიაში დოკუმენტბრუნვის მოწესრიგება, შემოსული და გასული კორესპონდენციის, შიდა დოკუმენტაციის მომზადების, გაფორმების, გადამისამართების, აღრიცხვის, გამოყენებისა და შენახვის წესის დანერგვა. კომპანიაში საქმისწარმოება ხორციელდება მატერიალურად და ელექტრონულად - საქმისწარმოების ავტომატიზირებული სისტემის (შემდგომში - „სისტემა" eDocument) საშუალებით.

საქმისწარმოების წესის ანალიზით დადასტურებულია მისი კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობა. საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელია კორესპონდენციის კოორდინატორი.

ვიზიტის დროს გადამოწმდა ძირითადი ადმინისტრაციული და თანამშრომელთა დანიშვნა- გათავისუფლებების ბრძანებების, შემოსული განცხადებებისა და სამსახურებრივი ბარათების, ხელშეკრულებების რეგისტრაცია, პერსონალისა და პროგრამების განმახორციელებელთა პირადი საქმეები და დადასტურებული საქმისწარმოების წესის დაცვა.

<u>დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნებთან სრულად შესაბამისობა.</u>

ინდიკატორი 2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის

დაწესებულებაში დანერგილია დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა „სისტემა" eDocument. ექსპერტთა მიერ გადამოწმდა ელექტრონულ საქმისწარმოებაში დოკუმენტთა ატვირთვის ვადები და დადასტურებულია მათი საქმისწარმოების წესთან შესაბამისობა.

უნდა აღინიშნოს ვიზიტს დროს გამოთხოვილი დოკუმენტაციის დროული მოწოდება. კორესპონდენციის კოორდინატორთან ინტერვიუთი დადასტურებულია მისი შესაბამისი კომპეტენცია.

<u>დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნებთან სრულად შესაბამისობა.</u>

ავტორზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას

ამ ეტაპზე დაწესებულება არ არის ჩართული სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში და ჩაერთვება ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში.

შპს "თენექსი"-ს დირექტორის მიერ დამტკიცებულია პროფესიული სტუდენტის, მსმენელის, კურსდამთავრებულის რეესტრის წესი, რომლის თანახმად, სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ინფორმაციის შეტანაზე პასუხისმგებელ პირად განსაზღვრულია პროგრამის კოორდინატორი.

<u>დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნებთან სრულად შესაბამისობა.</u>

ინდიკატორი 4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან

დაწესებულებას ჯერ აქვს მოპოვებული საგანმანათლებლო საქმიანობის უფლება, თუმცა ინტერვიუთი დადასტურებულია მზაობა, რომ დროულად მიაწვდიან ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და ითანამშრომლებენ მათთან. აღნიშნული ინდიკატორის მტკიცებულებად დაწესებულებამ წარმოადგინა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში გაგზავნილი შპს თენექსის 2024 წლის 25 ივნისის N10/26 კორესპონდენცია, რომლითაც გასწორდა ტექნიკურად არასწორად გაგზავნილი დოკუმენტაცია.

<u>დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნებთან სრულად შესაბამისობა.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ,,შპს - „თენექსი"- ს ,,საქმისწარმოების წესი"-ს დამტკიცება" შპს ,,თენექსი"-ს დირექტორის 2024 წლის 13 ივნისის N 69/23 ბრძანება;

ავტორზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- შპს "თენექსი"-ს "პროფესიული სტუდენტის, მსმენელის, კურსდამთავრებულის რეესტრის დამტკიცების შესახებ" შპს -„თენექსის" დირექტორის 2023 წლის 19 დეკემბრის N B/24 ბრძანების
- საქმისწარმოების, მათ შორის ელექტრონული საქმისწარმოების შემოწმების შედეგი;
- საქმისმწარმოებლისა და პროგრამის კოორდინატორის სამუშაო აღწერილობა;
- შპს თენექსის 2024 წლის 25 ივნისის N10/26 კორესპონდენცია,
- პასუხისმგებელპირებტან ინტერვიუს შედეგი.

5.2.3 პსდ მიზანმიმართულად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს;
2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
3. პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ;
5. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად;
6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

ავტორზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს

დაწესებულების ოფიციალური ვებ. გვერდის მისამართია - https://10x.edu.ge. წარმოდგენილია: ,,შპს დეომენები.ჯი"-ს 2024 წლის 05 ივლისის #01/0724 კორესპონდენცია, რომლის თანახმად, 2023 წლის 13 ოქტომბერს დარეგისტრირდა დაწესებულების დომენი - 10X.edu.ge და დომენური სახელის რეგისტრაციის ხელშეკრულება №F/4.

დაწესებულების ვებგვერდი არის ძალიან საინტერესო კონტენტის და ის უშუალოდ ორიენტირებულია მომხმარებელზე. ვებ. გვერდი მარკეტინგულად სწორად მუშაობს და ამავე დროს მასზე განთავსებულია ავტორიზაციის სტანდარტების ფარგლებში გათვალისწინებული სავალდებულო ინფორმაციები.

დაწესებულება იყენებს სოციალური ქსელს დაინტერესებულ პირებთან კომუნიკაციისთვის. სოციალური ქსელების საშუალებით ასაკობრივი ინტერესების გათვალისწინებით იდება შესაბამისი ინფორმაცია. ვებ გვერდისა და სოციალური ქსელის მართვაზე პასუხისმგებელია საზოგადოებასთან ურთიერთობის კოორდინატორი. მისი მოვალეობაა - ვებგვერდისა და სოციალური პლატფორმების კონტენტის მომზადება, მართვა, განახლება, კომპანიის საზოგადოებაში წარმოჩენის მიზნით აქტივობების გაშუქების დაგეგმვა- განხორციელება. მასთან კომუნიკაციით დადასტურებულია რომ არის თავისი საქმის მცოდნე, კვალიფიციური კადრი და კარგად აქვს გააზრებული ვებ გვერდისა და სოციალური ქსელის მნიშვნელობა დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციის პროცესში. აქვს საინტერესო ხედვები ვებ გვერდის შინაარსთან დაკავშირებით და სწორედ აღნიშნულის გათვალისწინებით წარმართავს თავის საქმიანობას. დაწესებულების ვებგვერდით გათვალისწინებულია საკითხავი ველი (ბლოგი) და მასზე პერიოდულად თავსდება საინტერესო ინფორმაციები თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების თაობაზე.

დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნებთან სრულად შესაბამისობა.

ავტორზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას

დაწესებულების მისიით არ არის გათვალისწინებული საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი. ინგლისურენოვანი ვებ გვერდიც არ აქვთ.

<u>დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნებთან სრულად შესაბამისობა.</u>

ინდიკატორი 3. პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას

დაწესებულების ვებ გვერდზე განთავსებულია ყველა მნიშვნელოვანი ინფორმაცია: ვებ-გვერდზე განთავსებული დაწესებულების მისია, ინფორმაცია სამომავლო საქმიანობის, კომპანიის სტრუქტურის, დაგეგმილი პროგრამების სახელწოდებების, პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურების, პროგრამის მოსალოდნელი სწავლის შედეგებისა და მისანიჭებელი კვალიფიკაციის სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნების თაობაზე (განთავსებულია ძირითადი მარეგულირებელი დოკუმენტები) დაწესებულებას ვებ გვერდზე განთავსებული აქვს ინფორმაცია არაფორმალური სასწავლო კურსების თაობაზეც.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობის მექანიზმები. გათვალისწინებულია, რომ ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში განთავსებული ინფორმაცია დაწესებულების აქტივობების, მიღწევების, პარტნიორობის და სხვა სახის ინფორმაცია უნდა იყოს უტყუარი. დაწესებულებაში მოქმედებს ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკა, რომელიც ასევე უზრუნველყოფს სანდო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობას. ვებგვერდზე ინფორმაციის განთავსებაზე პასუხისმგებელია საზოგადოებასთან ურთიერთობის კოორდინატორი, რომელსაც ინფორმაციას ასევე აწვდიან შესაბამისი პასუხისმგებელი პირები.

არსებული რეგულაციისა და ვებგვერდის შესწავლით დადასტურებულია, რომ კომპანია უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას

<u>დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნებთან სრულად შესაბამისობა.</u>

ავტორზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების თაობაზე ვებ გვერდზე ინფორმაცია განთავსებულია ანონსის სახით - ,,მალე".

საზოგადოებასთან ურთიერთობის კოორდინატორის განმარტებით ავტორიზაციის შემდეგ დაიდება კატალოგი.

<u>დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნებთან სრულად შესაბამისობა.</u>

ინდიკატორი 5. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად

დაწესებულების რეგულაციებით გათვალისწინებულია ვებ გვერდზე კატალოგის განთავსება, რომელიც განახლდება ყოველწლიურად და ასევე, საჭიროებისამებრ, პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად.

<u>დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნებთან სრულად შესაბამისობა.</u>

ინდიკატორი 6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად

დაწესებულების მიერ შემუშავებულია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები. კომპანიის შიდა შეფასების მექანიზმები, სხვა არაერთ საკითხთან ერთად, ითვალისწინებს საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესის შეფასება-გაუმჯობესებას „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე" ციკლის შესაბამისად. საზოგადოებასთან ურთიერთობის მექანიზმებითაც გათვალისწინებულია **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების გამოყენება და მიღებული უკუკავშირის საფუძველზე საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესება.**

წარმოდგენილია ხარისხის უზრუნველყოფის გეგმა და პროფესიულ სტუდენტთა, თანამშრომელთა გამოკითხვის მიზნებისთვის შემუშავებული კითხვარები, რომლებიც იძლევა ვებ გვერდით, მათთან კომუნიკაციით მათი

ავტორზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კმაყოფილების შესწავლის შესაძლებლობას. ხარისხის მენეჯერის წლიურ ანგარიშში ასახული მიგნებები, შედეგები შესაძლოა გახდეს შემდეგი ცვლილებების/აქტივობების საფუძველი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- „შპს დეომენები.ჯი“-ს 2024 წლის 05 ივლისის №01/0724 კორესპონდენცია და დომენური სახელის რეგისტრაციის ხელშეკრულება F/4.
- შპს თენექსსა და შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტს შორის გაფორმებული ქირავნობის ხელშეკრულებები;
- ქირავნობის ხელშეკრულების დანართი - №3 დანართით წარმოდგენილია შპს „სქაიტელთან“ - გაფორმებული 2023 წლის 26 ივნისის მომსახურების ხელშეკრულება;
- შ.პ.ს „თენექსი“ს „საზოგადოებასთან ურთიერთობის მექანიზმები“ შპს თენექსის დირექტორის 2023 წლის 14 ნოემბრის № B/17 ბრძანება
- „შპს - „თენექსი“-ს “ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების“ დამტკიცება“ შპს „თენექსი“-ს დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის N 72/23 ბრძანება;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმა;
- ვებ გვერდის ანალიზის შედეგი;
- პასუხისმგებელ პირთან ინტერვიუს შედეგი.

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5.3 ფინანსური რესურსები

5.3.1 დაწესებულება ფინანსურად მდგრადია

1. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება;
2. საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას;
4. დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება

დაწესებულების მიერ წარმოდგენილია დამტკიცებული დოკუმენტები; ,,შპს ,,თენექსი" -ს ბიუჯეტის ფორმირების პოლიტიკა" და ,,ბიუჯეტის/ფინანსური ანგარიშგების ფორმა" და კომპანიის საპროგნოზო ბიუჯეტი. ადმინისტრაციის სტრუქტურულ ერთეულში გათვალსწინებულია ფინანსისტის პოზიცია, რომლის მოვალეობებია: სააღრიცხვო პოლიტიკისა და პროცედურების განსაზღვრა, საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვა-ანგარიშგება, საგადასახადო უწყებასთან ურთიერთობა, ფინანსური რისკების გათვლა და ანალიზი; ორგანიზაციის ბიუჯეტის პროექტის მომზადება; პროგრამის ბიუჯეტის პროექტის მომზადება შესაბამისი პირებისაგან ინფორმაციის გამოთხოვის საფუძველზე.

დაწესებულება ახალი დაფუძნებულია, პასუხისმგებელი პირის განმარტებით რთული დასადგენია პირველი გამოცხადებისას რამდენი იქნება ჩარიცხულ პირთა რაოდენობა, რის მიხედვითაც ანგარიშდება შემოსავლები და მათი გახარჯვის ნაწილი. კომპანიის ერთწლიან საპროგნოზო ბიუჯეტში, რომელიც მოიცავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების ამოცანების შესრულებას, პირველ წელს არასაკმარისი შემოსავლების შემთხვევაში, გათვალისწინებულია დამფუძნებლის/დირექტორის მიერ კაპიტალში შენატანის განხორციელება.

ავტორზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპანიას ასევე აქვს ხედვა არაფორმალური განათლების მიმართულებით საქმიანობასთან დაკავშირებითაც, რაც საჭიროების შემთხვევაში ხელს შეუწყობს დაწესებულების ფინანსურ მდგრადობას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ინდიკატორი 2. საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით

მოწოდებული განმარტების თანახმად, საწყის ეტაპზე კომპანია ფუნქციონირებს დამფუძნებლის/დირექტორის მიერ კაპიტალში შენატანით. ერთწლიან საპროგნოზო ბიუჯეტში შემოსავლებად გათვალისწინებულია პროფესიული სტუდენტების ვაუჩერული და თანადაფინანსება. ასევე, იგეგმება არაფორმალური განათლების მიმართულებით კურსები. შესაბამისად, საოპერაციო ხარჯები მოცემულ ეტაპზე უზრუნველყოფილია და სამომავლოდაც უზრუნველყოფილი იქნება ფინანსური რესურსით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას

დაწესებულებას შემუშავებული აქვს ,,ბიუჯეტის/ფინანსური ანგარიშგების ფორმა". ადმინისტრაციის სტრუქტურულ ერთეულში გათვალისწინებულია ფინანსისტის პოზიცია, რომლის მოვალეობებია: ორგანიზაციის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშების მომზადება, შემოსავლებისა და გასავალის კონტროლი, ორგანიზაციის ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგებების პროცესის მართვა კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. შესაბამისად, ის საქმიანობას განახორციელებს სამუშაო აღწერილობის შესაბამისად.

დაწესებულების დებულებით განსაზღვრულია პერიოდულად, არანაკლებ სამ წელიწადში ერთხელ, გარე აუდიტის ჩატარებას კომპანიის ფინანსურ-მატერიალური მდგომარეობის შეფასების მიზნით. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს მდგომარეობის შეფასებას და მნიშვნელოვანი, კომპეტენტური რეკომენდაციების მიღებას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ავტორზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 4. დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე

დაწესებულების დებულებით განსაზღვრულია პერიოდულად, არანაკლებ სამ წელიწადში ერთხელ, გარე აუდიტის ჩატარებას კომპანიის ფინანსურ-მატერიალური მდგომარეობის შეფასების მიზნით. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს მდგომარეობის შეფასებას და მნიშვნელოვანი, კომპეტენტური რეკომენდაციების მიღებას, რომელსაც დაწესებულება გაითვალისწინებს შემდგომი საქმიანობისას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ,,შპს ,,თენექსი" -ს ბიუჯეტის ფორმირების პოლიტიკა" შპს ,,თენექსი" -ს დირექტორის 2024 წლის 2024 წლის 20 ივნისის №81/23 ბრძანება;
- ,,,შპს ,,თენექსი" -ს ბიუჯეტის/ფინანსური ანგარიშგება" შპს თენექსის დირექტორის 2024 წლის 2024 წლის 20 ივნისი №82/23 ბრძანება;
- დაწესებულების საპროგნოზო ბიუჯეტი;
- პასუხისმგებელ პირთან ინტერვიუს შედეგი

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი IV. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ - გრაფიკული დიზაინი

I.ზოგადი ინფორმაცია

ცხრილი ივსება ცალ-ცალკე თითოეული პროგრამისა და ასევე, პროგრამის განხორციელების ადგილის და ენის მიხედვით. (ინდივიდუალურ პროგრამებად განიხილება განხორციელების ადგილისა და სწავლების ენის მიხედვით განსხვავებული პროგრამები. მაქსიმუმ 15 პროგრამა)

პროგრამის სახელწოდება	**გრაფიკული დიზაინი**
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია გრაფიკულ დიზაინში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0211
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	შპს თენექსის დირექტორის 2024 წლის 20 ივნისის N 84/23 ბრძანება
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. ბათუმი, თამარ მეფის გამზირი N 38
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	

ავტორზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	200 (იმიტირებულ სამუშაო გარემოში)
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით *(არსებობის შემთხვევაში)*	
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	88
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	118

ავტორზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

ავტორზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის - ,,გრაფიკულ დიზაინი“ ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

ავტორზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას

დაწესებულების გადაწყვეტილება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „გრაფიკული დიზაინის“ განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას, რასაც ადასტურებს მიზანშეწონილობის არგუმენტირების დოკუმენტი. დაწესებულება დაეყრდნო შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ ჩატარებულ თვისობრივი და რაოდენობრივი კვლევის შედეგებს. ასევე, დასაქმების სააგენტოების (www. hr.gov.ge; www.jobs.ge; www.cv24.ge; www.ipove.ge) ვებგვერდებზე განთავსებული ვაკანსიების მონაცემებს, რომელთა ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ გრაფიკული დიზაინერის პროფესია ერთ-ერთი მზარდად მოთხოვნადი პროფესიაა საქართველოს შრომის ბაზარზე. გრაფიკული დიზაინერის პროფესია იძლევა თვითდასაქმების შესაძლებლობასაც, მათ შორის,

ავტორზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საერთაშორისო ბაზარზე. ისეთ ცნობილ საერთაშორისო „ფრილანს“ დასაქმების პლატფორმებზე, როგორიცაა “upwork” და „freelancer.com“, აქტიურად არის მოთხოვნა გრაფიკულ დიზაინერებზე. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ განხორციელებული კვლევის თანახმად, გრაფიკული დიზაინი ერთ-ერთი მოთხოვნადი პროფესიაა საქართველოში. აღსანიშნავია, რომ პროფესიული ჯგუფებიდან გრაფიკული და მულტიმედიის დიზაინერებზე მოთხოვნა ერთ-ერთ მაღალ მოთხოვნად განისაზღვრება. 2022 წლის შრომის ბაზრის კვლევის შედეგადაც გამოიკვეთა პოპულარული სასწავლო მიმართულებები და ადვილად დასაქმებადი პროფესიები, რომელთაგან ერთ-ერთი გრაფიკული დიზაინია.

გადაწყვეტილება პროგრამის განხორციელების შესახებ ასევე შეესაბამება, დაწესებულების მისიასა და სტრატეგიული განვითარების გეგმას. დაწესებულების მისია ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული, მრავალფეროვანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას, რითაც დაწესებულება ხელს შეუწყობს პროფესიული სტუდენტის უწყვეტ პროფესიულ განათლებას და წვლილს შეიტანს ქვეყნის სოციალურ - ეკონომიკურ განვითარებაში. მითუმეტეს, რომ რეგიონში არ არის სხვა სასწავლო დაწესებულება გრაფიკული დიზაინის სწავლების მიმართულებით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება ხორციელდება პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „გრაფიკული დიზაინის“ შერჩევისას ორგანიზაცია ითვალისწინებს მის თავსებადობას თენექსის მისიასთან, ეროვნულ და რეგიონულ პრიორიტეტებს, შრომის ბაზრის და დამსაქმებელთა მოთხოვნებს, თენექსის მიერ შემუშავებულ სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმას. ორგანიზაციის მისია და სტრატეგიული გეგმა სრულად ითვალისწინებს რეგიონის განვითარებას, ორგანიზაციის მიზნებია განახორციელოს ხელოვნების, მარკეტინგის და ინფორმაციული ტექნოლოგიების სწავლის სფეროს პროგრამები. რომლის საჭიროება დადგინდა ფართო აუდიტორიასთან კომუნიკაციით და შრომის ბაზარზე მოთხოვნილი კადრების პროცენტული მაჩვენებლებით.

ავტორზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულების მიერ პროგრამის დამატების მიზანშეწონილობა ნათლად და არგუმენტირებულად არის დასაბუთებული, შეესაბამება დაწესებულების მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას, შესაბამისად,

მოცემული ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ინდიკატორი 2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას

„გრაფიკული დიზაინის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით, რომელიც ითვალისწინებს სრულ ზოგად განათლებას. თენექსის მარეგულირებელი აქტებით დადგენილია პროგრამაზე დაშვების დამატებითი პირობები (შპს -„თენექსის“ დირექტორის 2023 წლის 20 დეკემბრის NB/25 ბრძანების დანართი N3 „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი“- ცვლილებებით). თენექსის პრიორიტეტია პროგრამა განხორციელდეს მაღალი ხარისხით, შესაბამისად პროგრამაზე დაშვების დამატებით პირობად გათვალისწინებულია ტესტირება. ტესტირების მიზანია დაადგინოს პირის კომპეტენცია და მზაობა პროგრამის სწავლის შედეგების დაძლევასთან დაკავშირებით. სწავლის ხანგრძლივობაა 16 თვე (61 სასწავლო კვირა).

აღნიშნულიდან გამომდინარე, **პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები სრულ შესაბამისობაშია საგანმანათლებლო სტანდარტთან.**

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ინდიკატორი 3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით

ავტორზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შპს თენექსის დირექტორის მიერ დამტკიცებულია პროცესის მარეგულირებელი ბრძანება (დირექტორის 2024 წლის 12 ივნისის ბრძანების დანართი N1 პერსონალის, პროფესიული სტუდენტის, მსმენელის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია), რომელიც ადგენს პროფესიულ პროგრამაზე პროფესიული სტუდენტების რაოდენობის განსაზღვრის პრინციპებს. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია ითვალისწინებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩასარიცხი პროფესიული სტუდენტებისთვის A, B და C (საჭიროების შემთხვევაში) სასწავლო გარემოების არსებობას, შესაბამისი ინფრასტრუქტურისა და რესურსების, მათ შორის ადამიანური, გათვალისწინებით. აღნიშნული მეთოდოლოგიის საფუძველზე დაწესებულებამ განსაზღვრა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა 200 (8 ჯგუფი, თითო ჯგუფში 25 პროფესიული სტუდენტი).

გრაფიკული დიზაინის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილია სასწავლო გარემოები და აღჭურვილია სტანდარტის შესაბამისი ინვენტარით. სათანადო აღჭურვილობის სასწავლო ფართის აუდიტორიათა ოდენობა, ასევე კომპიუტერული (ციფრული) ტექნიკა, ადამიანური რესურსი იძლევა სხვადსხვა ცვლებში სწავლის შესაძლებლობას და დაწესებულებას შეუძლია ერთდროულად 200 პროფესიული სტუდენტის სწავლების განხორციელება

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

ინდიკატორი 4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

დაწესებულების დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული საგანმანათლებლო პროგრამა დანართის სახით მოიცავს სასწავლო რესურსებისა და აღჭურვილობის ჩამონათვალს, რომელიც სრულ თანხვედრაშია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით გათვალისწინებულ სარეკომენდაციო საგანმანათლებლო რესურსთან. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ საგანმანათლებლო რესურსი, როგორც ზოგადი მოდულებისათვის, ასევე პროფესიული მოდულებისათვის უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის ხელმძღვანელთან და მოდულების განმახორციელებელ

ავტორზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პირებთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით (რადგან დარგი მუდმივად განვითარებადია და საგანმანათლებლო სფეროში უახლესი სასწავლო რესურსები ჩნდება) აპირებენ პერიოდულად განაახლონ სასწავლო ელექტრონული რესურსები (ბმულები), შექმნან საკუთარი ადაპტირებული საგანმანათლებლო რესურსების ბანკი, მოახდინონ უცხოენოვანი სასწავლო რესურსების თარგმნა.

ავტორიზაციის ექსპერტებმა ვიზიტის ფარგლებში დოკუმენტაციის შემოწმების და ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე დაადგინეს, რომ <u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

ინდიკატორი 5 .საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „გრაფიკული დიზაინი“ არჩევით მოდულებს არ ითვალისწინებს

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

ინდიკატორი 6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „გრაფიკული დიზაინი“ დამტკიცებულია რეგულაციებით განსაზღვრული უფლებამოსილი პირის - შპს თენექსის დირექტორის 2024 წლის 20 ივნისის N 84/23 ბრძანებით.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

ინდიკატორი 7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი

ავტორზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება „გრაფიკული დიზაინი“ რომელიც ზუსტად იმეორებს პროფესიული საგანამანათლებლო სტანდარტის სახელწოდებას, შეესაბამება პროგრამის შინაარს/პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის მისაღწევ შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი. პროგრამით გათვალისწინებული ყველა სწავლის შედეგი მოიცავს სფეროში დასაქმებული პირის ფუნქციებს, მოვალეობებსა და კომპეტენციებს.

<u>შესაბამისად, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

ინდიკატორი 8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „გრაფიკული დიზაინი“ შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. დამტკიცებულ პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამის მიზანი, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები. ინფორმაცია სტრუქტურის და მოდულების, სწავლის შედეგების, სწავლებისა და სწავლის მეთოდების, კვალიფიკაციის მინიჭების პირობების შესახებ; ინფორმაცია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) სტუდენტების სწავლების შესახებ. პროგრამას თან ახლავს სასწავლო გეგმა, მოდულები, ინფორმაცია მატერიალური და ადამიანური რესურსების შესახებ. პროგრამა მოიცავს საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისთვის განსაზღვრულ მოდულებს, სულ 88 კრედიტის მოცულობით - ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის და 118 კრედიტს - არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებიც სათანადოდ არის ადაპტირებული პროგრამის განმახორციელებელი პირების ჩართულობით, რაც დადასტურდა დოკუმენტების გადამოწმებით და კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და პროგრამის განმახორციელებელ პირებთან ინტერვიუების საფუძველზე.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

ავტორზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დაწესებულების მისია, ხედვა, ღირებულებები;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთება;
- პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტი;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების ბრძანება;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება;
- დირექტორის 2024 წლის 4 ივნისის ბრძანების დანართი N2;
- ბრძანება № B/3; 2023 წლის 10 ოქტომბერი - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შექმნის თაობაზე;
- დირექტორის 2024 წლის 5 ივნისის ბრძანების დანართი N1 „ხარისხის უზრუნველყოფის გეგმა“;
- შპს -„თენექსის“ დირექტორის 2023 წლის 20 დეკემბრის NB/25 ბრძანების დანართი N3 - „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი“ (ცვლილებებით
- დირექტორის 2024 წლის 10 ივნისის ბრძანების დანართი N1 - სასწავლო „პროცესის მართვა“;
- დირექტორის 2023 წლის 14 ნოემბრის NB/17 ბრძანების დანართი N1 „საბიბლიოთეკო საქმე“;
- დირექტორის 2024 წლის 12 ივნისის ბრძანების დანართი N1 პერსონალის, პროფესიული სტუდენტის, მსმენელის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრება.

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1.პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

2.პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

3.პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

4.საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

5.საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

6.სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ ვიზიტის დროს გადამოწმდა დაწესებულების მატერიალური რესურსი. თენექსის ინფრასტრუქტურა მოწყობილია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად. ,,გრაფიკული დიზაინის" პროგრამისთვის აუდიტორიები განკუთვნილია ერთდროულად 200 პროფესიული სტუდენტის საჭიროებაზე. კომპიუტერებით და საპრეზენტაციო საშუალებებით აღჭურვილია აუდიტორიები - 8 B გარემო (მათ შორის, 4 გარემო საერთოა Front-end დეველოპმენტის პროგრამასთან) , 2 A გარემო და ერთი სააქტო დარბაზი (საჭიროების შემთხვევაში გათვალისწინებულია თეორიული მეცადინეობისთვის). დაცულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით გათვალისწინებული კომპიუტერის პარამეტრებისადმი წაყენებული მოთხოვნები, რაც უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „გრაფიკული დიზაინის" განხორციელებას თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად. დაწესებულების მატერუალური რესურსი სრულად უზრუნველყოფილია შპს თენექსსა და შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივესიტეტს შპს თენექსსა და შპს პეას შორის გაფორმებული ქირავნობის ხელშეკრულებებით (10 წლის ვადით).

სასწავლო პროცესი სრულად ხორციელდება რეალურ სამუშაო ადგილთან მიახლოებულ იმიტირებულ გარემოში, ამიტომ პრაქტიკის ობიექტის საჭიროება არ არსებობს. პროფესიული სტუდენტები პროფესიას სწავლობენ ზუსტად ისე, როგორ დავალებასაც მიიღებენ დასაქმების ადგილზე. ამის შესაძლებლობას გარემოს გარდა იძლევა მაღალი კომპეტენციის დარგის სპეციალისტების გამოცდილება და სწავლების პროცესის დაგეგმვის მიდგომები.

განმახორციელებლებისთვის, პროფესიული სტუდენტებისთვის და სხვა პერსონალისთვის ხელმისაწვდომია ელექტრონული ბიბლიოთეკის ბაზები, საკანონმდებლო ბაზა (www.matsne.gov.ge). ასევე, შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული პერსონალი, სტუდენტების მხარდაჭერის და პიროვნული განვითარების სერვისები, ჯგუფში სტუდენტების რაოდენობაა 25, საკმარისი ადამიანური რესურსი, განმახორციელებელი პირების გონივრული დატვირთვა,

ავტორზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ორ ცვლაში სასწავლო პროცესის განხორციელების შესაძლებლობა - უზრუნველყოფს პროგრამების მაღალი ხარისხით განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ინდიკატორი 2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა „გრაფიკულ დიზაინს“ ახორციელებს 12 პროფესიული განათლების მასწავლებელი. დარგობრივი მოდულების თეორიულ და პრაქტიკულ თემატიკას ასწავლიან პრაქტიკოსი, დარგის შესაბამისი კვალიფიკაციის პირები და პროგრამის ხელმძღვანელი. სასწავლო კვირის დატვირთვა (საკონტაქტო) პროფესიული სტუდენტებისთვის არის 30 საათი, კვირაში 5 დღე, დღეში 6 საათი, საჭიროების შესაბამისად - შაბათი დღეც. ზოგადი და დარგობრივი მოდულები ხორციელდება პარალელურ რეჟიმში. პროგრამის განხორციელების თავისებურებების გათვალისწინებით - შესაძლებელია ერთი პროგრამის ფარგლებში რამდენიმე ჯგუფმა პარალელურ რეჟიმში გაიაროს სხვადასხვა დარგობრივი მოდული. პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 16 თვეს, 61 სასწავლო კვირას. პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების შემდგომ, განმახორციელებლებთან ერთად ჩამოყალიბდება სასწავლო კალენდარული გეგმა, მოდულების განხორციელების დღე და დღიური საათობრივი დატვირთვა სასწავლო გეგმის შესაბამისად. პედაგოგების კვირეული დატვირთვა არ სცდება შრომის კოდექსით გათვალისწინებულ ზღვრულ დატვირთვას. მასწავლებელთა რაოდენობა მათი დატვირთვისა და განსახორციელებელი მოდულების რაოდენობის მიხედვით საკმარისია. კერძოდ, პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლების დატვირთვა არ ეწინააღმდეგება „საქართველოს შრომის კოდექსს“ და არ აღემატება კვირაში 40 საათს.

ექსპერტთა შეფასებით პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას და ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ავტორზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია

ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ შესწავლილი იქნა პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეები, რომლის შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლები შეესაბამებიან დაკავებულ თანამდებობას და აკმაყოფილებენ მათ მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს. კერძოდ, პირადი საქმეების შესწავლით დასტურდება, რომ მათი კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისათვის სწავლის შედეგების შესაბამისი კომპეტენციების გამომუშავებას. მათთან გაფორმებულია ხელშეკრულებები, რომლის შინაარსი მოიცავს შრომის კანონმდებლობით მოთხოვნილ არსებით პირობებს და მასში გაწერილია ის მოდულები, რომლებსაც ახორციელებს მასწავლებელი. დაწესებულება პირველად გეგმავს გრძელვადიანი საკვალიფიკაციო პროფესიული პროგრამის განხორციელებას და განმახორციელებელ პირთა ნაწილს ესაჭიროება პროფესიულ პროგრამებზე სწავლა-სწავლებისა და შეფასების მეთოდების შესახებ ტრენინგებით უზრუნველყოფა, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დაგეგმილია და უახლოეს პერიოდში განახორციელებენ. ამასთან, წარმოდგენილია საწყის ეტაპზე პროგრამის განმახორციელებლებთან უკვე ჩატარებული შიდა შეხვედრების/კონსულტაციების მტკიცებულებები სწავლებასა და შეფასებასთან დაკავშირებით.

<u>ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

ინდიკატორი 4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი

გრაფიკული დიზაინის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომლის კვალიფიკაციაც დასტურდება დიპლომით და დარგში პრაქტიკული საქმიანობის მრავალწლიანი გამოცდილებით. მისი ფუნქციები და სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები განისაზღვრება

ავტორზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მასთან გაფორმებული ხელშეკრულებით და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის სამუშაო აღწერილობებითა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებით. ექსპერტებთან გასაუბრებისას პროგრამის ხელმძღვანელმა წარმოადგინა საკუთარი ნამუშევრების პორტფოლიო გრაფიკული დიზაინის სფეროში, რომლითაც უფრო გამოიკვეთა მისი კვალიფიკაცია და პროფესიონალიზმი. აგრეთვე, ექსპერტების გასაუბრებით პროგრამის ხელმძღვანელთან დადასტურდა მისი ჩართულობა პროგრამის შემუშავების პროცესში. პროგრამის ხელმძღვანელი იცნობს პროფესიული განათლების მიზნებს, პროფესიულ სტუდენტთა შეფასებასა და მხარდაჭერის მექანიზმებს, არის დარგის აქტიური სპეციალისტი, რომელსაც გააზრებული აქვს საკუთარი ფუნქცია-მოვალეობები და როლი, სასწავლო პროცესისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ეფექტურად განხორციელებისათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ინდიკატორი 5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში

ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა კოლეჯის ბიბლიოთეკის დათვალიერება. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი ბიბლიოთეკაში გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე. დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი წარმოდგენილია ბიბლიოთეკაში როგორც ნაბეჭდი, ასევე ელექტრონული სახით და დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით, მათ შორის, განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის მიერ შემუშავებული რესურსები.

ექსპერტთა შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის დაწესებულების ბიბლიოთეკაში და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

ინდიკატორი 6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად

ავტორზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მექანიზმი, რომელიც ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულ მიზნებს, მოდულებს, სწავლის შედეგებსა და კვალიფიკაციის გაცემისთვის საჭირო საკითხებს. ისგ შემუშავდება შესაბამისი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, რომელიც დასტურდება წერილობით.

პროფესიული სტუდენტისთვის ისგ-ს შემუშავებისას მთავარი პრინციპი, პროფესიული სტუდენტის ინტერესების გათვალისწინებაა. ისგ-ს შემუშავების საჭიროების შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტი წერილობით მიმართავს კომპანიის ადმინისტრაციას. ისგ ფორმირდება პროგრამის ხელმძღვანელის კოორდინირებით, პროგრამის კოორდინატორის ჩართულობით პროფესიულ სტუდენტთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან თანამშრომლობის შედეგად და ფორმდება შესაბამისი შეთანხმება, რომელიც მხარეების მიერ ხელმოწერით დასტურდება. ისგ ფორმირებისას, საჭიროების შემთხვევაში, მონაწილეობს პროფესიული განათლების მასწავლებლ(ებ)ის/დარგის სპეციალისტ(ებ)ი. პირის ინდივიდუალური საჭიროებების შემთხვევებში, ისგ-ს შემუშავებაში მონაწილეობს სსსმ/შშმ პირის სპეციალისტი. ყოველი კონკრეტული შემთხვევის არსებობისას, ასეთი პირი მოიწვევა ინდივიდუალურად. სსსმ/შშმ პირის სასწავლო პროცესში ჩართვა, სწავლებისა და შეფასების პროცესის ადმინისტრირება წარმოებს, სპეციალისტისა და შესაბამისი კომპეტენციის/უფლებამოსილების მქონე პირთა ჩართულობით.

დაწესებულებისას სასწავლო პროცესის მართვის წესით გათვალისწინებულია სსსმ პირთათვის შესაძლებლობის მიცემა, რომ მათ ჰქონდეთ წვდომა აქვთ პროგრამითა ან საჭიროების შემთხვევაში ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან და საჭიროების შემთხვევაში მოხდეს მათი ადაპტირება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ინდიკატორი 7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა

ავტორზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

„გრაფიკული დიზაინის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის დაწესებულებას შემუშავებული აქვს საპროგნოზო ბიუჯეტი, რომელიც შეიცავს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ სავარაუდო შემოსავლებისა და ხარჯების კალკულაციას. საპროგნოზო ბიუჯეტი ითვალისწინებს რენტაბელობის ზღვარს და წარმოდგენილია 15 პროფესიული სტუდენტის ოდენობით. შემოსავლები დათვლილია 25 პროფესიული სტუდენტით დაკომპლექტებულ ჯგუფზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით, აკადემიის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია „გრაფიკული დიზაინის“ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- „გრაფიკული დიზაინის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტი;
- „გრაფიკული დიზაინის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების ბრძანება;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება;
- დირექტორის 2023 წლის 2 ნოემბრის N11 ბრძანების დანართი N1 „პერსონალის ადაპტაციის მექანიზმები“;
- დირექტორის 2024 წლის 4 ივნისის ბრძანების დანართი N1 1 შპს - “თენექსი” პერსონალის მართვა-განვითარება;
- ბრძანება N B/17 2023 წლის 14 ნოემბერი შპს - „თენექსი“-ს „საბიბლიოთეკო საქმის“ დამტკიცების შესახებ;
- დირექტორის 2024 წლის 11 ივნისის ბრძანების დანართი N1 1 პროფესიული სტუდენტის, მსმენელისა და შპს - „თენექსის“ თანამშრომლობისას განსაზღვრული მხარეთა უფლება-მოვალეობები;
- შპს -„თენექსის“ დირექტორის 2023 წლის 20 დეკემბრის N B/25 ბრძანების დანართი N1 „ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება“;
- შიდა შეხვედრების/კონსულტაციების მტკიცებულებები სწავლებასა და შეფასებასთან დაკავშირებით;
- პროფესიული განათლების მასწავლებელთა და პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე;
- „გრაფიკული დიზაინის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი;
- დაწესებულების პერსონალის, მასწავლებლების/პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმეები;

ავტორზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრება;
- პროფესიული პროგრამის განმახორციელებლებთან/პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრება;
- შპს თენექსსა და შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტს შორის გაფორმებული ქირავნობის ხელშეკრულებები;
- შპს თენექსსა და შპს პეას შორის გაფორმებული 2024 წლის 18 ივლისის ქირავნობის ხელშეკრულება;
- ვიზუალური დათვალიერება;

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ

დაწესებულებას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, რომელიც ითვალისწინებს შიდა შეფასების მექანიზმებს სასწავლო პროცესის, პროფესიული სტუდენტის/მსმენელთა მომსახურების, მათი საჭიროების კვლევას, კომპანიის ადამიანური და მატერიალური რესურსის შეფასება-გაუმჯობესებას „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“ ციკლის მიხედვით. დაწესებულების სტრუქტურით განსაზღვრულია ხარისხის მართვის დეპარტამენტი რომელიც პასუხისმგებელია ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნების გათვალისწინებით შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებზე, მათ შორის გასცემს რეკომენდაციებს პროგრამების განვითარებასთან დაკავშირებით.

დაწესებულება გეგმავს პროგრამების შემუშავებას, განხორციელებას, ატარებს კმაყოფილების კვლევას, გამოკვეთს ხარვეზებს, მიღებული შედეგების მიხედვით გეგმავს და ავითარებს პროგრამას (ციკლი - PDCA). ხარისხიანი სწავლა-სწავლებისა და სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველსაყოფად დაწესებულებას: სასწავლო პროცესში ჩართული ჰყავს კვალიფიციური, განმახორციელებელი პერსონალი -პროფესიული განათლების მასწავლებელი, მოწვეული მასწავლებელი, რომელთანაც ატარებს პერიოდულ სამუშაო შეხვედრებს და უზრუნველყოფს/ხელს უწყობს მათ პროფესიული, პიროვნული განვითარების აქტივობებში ჩართვას; სასწავლო პროცესისთვის აქვს შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური და

ავტორზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასწავლო რესურსი, რომელიც ხელმისაწვდომია კომპანიის პერსონალისთვის და ყველა პროფესიული სტუდენტისთვის/მსმენელისთვის.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი პასუხობს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, ან/და ორიენტირებულია ტრანსფერული უნარების გამომუშავებაზე ან/და თანამედროვე მსოფლიოში არსებული ტენდენციების შესახებ ინფორმაციის გავრცელებაზე.

ვიზიტის პროცესში შედგა დაწესებულების წარმომადგენლებთან, ხარისხის მენეჯერთან და მათი ინტერვიუთი დასტურდება მზაობა განახორციელონ და განავითარონ პროგრამა, მათ შორის შრომის ბაზრის მოთხოვნათა გათვალისწინებით და დაინტერესებულ მხარეთა (პროფესიული სტუდენტი, პროგრამის განმახორციელებელი, დამსაქმებელი და სხვ) ჩართულობით.

<u>ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

ინდიკატორი 2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად

დაწესებულებას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, რომელიც ითვალისწინებს პროგრამის შეფასებას და პროგრამის შეფასების შედეგების საფუძველზე საჭიროების შემთხვევაში მასში ცვლილებების შეტანას. წარმოდგენილია პროფესიულ სტუდენტთა, პროგრამის განმახორციელებელთა, დამსაქმებელთა გამოკითხვის მიზნებისთვის შემუშავებული პროგრამის შეფასების კითხვარები, რომლის ფარგლებში მიღებული შედეგები გამოყენებული იქნება პროგრამის განვითარებისთვის.

დაწესებულების მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა-შემუშავება, დამტკიცების, ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესის თანახმად, გათვალისწინებულია ხარისხის მენეჯერის

ავტორზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წერილობითი ინიცირების საფუძველზე, პროგრამის ცვლილების საკითხი. ამისათვის ხარისხის მენეჯერი წარადგენს პროგრამის ცვლილების დასაბუთებას.

პროგრამაში ცვლილების მიზნით, დაწესებულების დირექტორის ბრძანებით იქმნება სამუშაო ჯგუფი, რომელშიც შედის პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი, დამატებით შესაძლოა მოწვეული გარე ექსპერტი ან/და დამსაქმებლის წარმომადგენელი. სამუშაო ჯგუფი შეიმუშავებს და დირექტორის წინაშე წარადგენს პროგრამაში შესატანი ცვლილებების დასაბუთებულ პროექტს. ცვლილებების პროექტის დასაბუთება შესაძლო ეფუძნებოდეს კომპანიაში ხარისხის მექანიზმების განხორციელების შედეგად გამოკვეთილ ხარვეზებს, ან/და შრომის ბაზრის განახლებულ მოთხოვნ(ებ)ს, ან/და დამსაქმებელთა გაფორმებულ ხელშეკრულებას/მემორანდუმს, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს და სხვა. პროგრამის ცვლილებასთან დაკავშირებით გამოიცემა დირექტორის ბრძანება.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა-შემუშავება, დამტკიცების, ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა;
- კვლევის კითხვარები;
- ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, ხარისხის მენეჯერთან ინტერვიუს შედეგი

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

ინდიკატორი 1 1.პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად

„გრაფიკული დიზაინის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას დანართის სახით აქვს სასწავლო გეგმა, რომელშიც განსაზღვრულია: მოდულზე დაშვების წინაპირობა, გარემო, კრედიტი, სარეგისტრაციო N, მოდულის დასახელება, სასწავლო კვირა, საკონტაქტო, დამოუკიდებელი მეცადინეობა, შეფასება, განმეორებითი შეფასების კვირა. ასევე გათვალისწინებულია სასწავლო გეგმა არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის.

დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მართვის დოკუმენტის ითვალისწინებს სასწავლო პროცესის წარმართვას პროგრამის სასწავლო გეგმის საფუძველზე შემუშავებული სასწავლო გრაფიკის შესაბამისად.

ავტორზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის კოორდინატორის სამუშაო აღწერილობით გათვალისწინებულია სასწავლო კალენდრის და სასწავლო განრიგის პროექტის მომზადება. მასთან ინტერვიუთიც დადასტურებულია, რომ ის იცნობს საკუთარ მოვალეობებს და აქვს მზაობა მათ შესაბამისად წარმართოს საკუთარი საქმიანობა.

პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების შემდეგ დაწესებულებაში აღნიშნული პროგრამა განხორციელდება სასწავლო გეგმი შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ინდიკატორი 2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით ვლინდება, რომ მათ აქვთ მზაობა სასწავლო პროცესის დაგეგმვისას გაითვალისწინონ პროფესიულ სტუდენტთა ინტერესები. სასწავლო გეგმით განსაზღვრულია პროგრამის ხანგრძლივობა და მისაღწევი შედეგები, ანუ იმ მიღწევების (უნარ-ჩვევებისა და ცოდნის) ჩამონათვალი, რომელსაც უნდა ფლობდეს პროფესიული სტუდენტი პროგრამის დამთავრებისას. თუმცა, თუ ფორს-მაჟორული სიტუაცია დადგება ან სხვა მნიშვნელოვანი მიზეზით ვერ მოხერხდება სასწავლო გეგმის დაცვა, ისინი მოქნილად, პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით მოახდენენ რეაგირებს მსგავს გარემოებებზე, როგორც ჯგუფებისთვის, ისე ინდივიდუალურ გამოწვევებზე. კერძოდ, ეს შეიძლება გამოიხატოს სასწავლო გეგმის ცვლილებაში, სასწავლო პროცესის გადაგეგმვაში, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაში ან საჭიროების შემთხვევაში ჩატარდეს დამატებითი მეცადინეობები/კონსულტაციები. აღნიშნული გათვალისწინებულია სასწავლო პროცესის მართვის დოკუმენტითაც.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ინდიკატორი 3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას

„გრაფიკული დიზაინის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ყველა მოდულის განსახორციელებლად აკადემიის A და B სასწავლო გარემო აღჭურვილია შესაბამისი თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური რესურსით.

ავტორზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების კომპეტენცია. პროგრამის ხელმძღვანელი და პროფესიული განათლების მასწავლებელთა უმრავლესობა დარგის მოქმედი სპეციალისტები არიან და ფლობენ დარგში შესაბამის ტექნოლოგიებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ სასწავლო გარემოს ვიზუალური დათვალიერების, პროგრამის ხელმძღვანელის და პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეების შესწავლის და მათთან გასაუბრების შედეგად, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ინდიკატორი 4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები

დაწესებულების მარეგულირებელი აქტებით განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტების ინდივიდუალური საჭიროებების მხარდაჭერა. პროფესიულ სტუდენტთა საჭიროება, პროცესების შეფასება და შედეგზე ორიენტირებული საქმიანობის განხორციელების წესი და პირობები რეგულირდება შესაბამისი აქტებით, ამასთან განსაზღვრულია სერვისების და პროცესების შეფასების და რეაგირების მექანიზმები. პროფესიული სტუდენტის საქმიანობის პროცესში ჩართულია ადმინისტრაციული პერსონალი, რომლის ფუნქციებსაც წარმოადგენს პროფესიულ სტუდენტზე და ხარისხის კულტურაზე დაფუძნებული საქმიანობის წარმართვა.

ავტორიზაციის ექსპერტები ვიზიტის ფარგლებში გავესაუბრეთ ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, რომლებმაც დაადასტურეს ზემოაღნიშნული.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ინდიკატორი 5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით

„გრაფიკული დიზაინის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელდება მხოლოდ თენექსის ბაზაზე, რომელსაც აქვს შესაბამისი ინფრასტრუქტურა და უზრუნველყოფილია სათანადო ადამიანური რესურსით.

ავტორზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

ინდიკატორი 6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

დაწესებულებას აქვს შენობის მდგრადობის, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების დასკვნები, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, აღჭურვილია ხანძარსაწინააღმდეგო სისტემით, დაცულია კერძო პირების მიერ, დამონტაჟებულია გარე და შიდა პერიმეტრის ვიდეო კამერები. ,,გრაფიკული დიზაინის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა სპეციფიკურ უსაფრთხოების წესებს არ საჭიროებს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული სტუდენტის, მსმენელისა და შპს „თენექსის" თანამშრომლობისას განსაზღვრული მხარეთა უფლება-მოვალეობები;
- სასწავლო პროცესის მართვის დოკუმენტი'
- პროფესიულ სტუდენტთა/ მსმენელთა მხარდაჭერის მექანიზმი;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა;
- აკადემიის ადმინისტრაციასთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრება;
- ვიზუალური დათვალიერება.

ავტორზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური

დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის შეფასების წესი, რომელის შესაბამისად შეფასების სისტემა ეყრდნობა შემდეგ პრინციპებს: ა) ვალიდურობა, რომელიც გულისხმობს შემფასებლის მიერ სწავლის შედეგის შეფასებისთვის რელევანტურ ინსტრუმენტს და ყველა კრიტერიუმის მიხედვით შეფასებას; ბ) სანდოობა - შესაბამისი

ავტორზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მტკიცებულებებით გამყარებული შეფასების სისტემა; გ) გამჭვირვალობა - შეფასების პროცესი, როდესაც დადასტურების პირობები, მოთხოვნები და შეფასების შესახებ სხვა საჭირო ინფორმაცია, წინასწარ არის ცნობილი ყველა შესაფასებელი და დაინტერესებული პირისთვის; დ) სამართლიანობა - სამართლიანია შეფასების სისტემა, იმ შემთხვევაში თუ შეფასების პროცესი საშუალებას აძლევს შესაფასებელ პირს დაადასტუროს მიღწეული სწავლის შედეგები, შეფასების დროს ყველა შესაფასებელი პირი თანაბარ პირობებში იმყოფება ყოველგვარი დისკრიმინაციული მიდგომის გარეშე; ე) ობიექტურობა - შეფასების სისტემა, როდესაც ყველა შესაფასებელი პირი ერთნაირი შესრულების (შედეგების) პირობებში ერთნაირად არის შეფასებული. რეგულაციით გათვალისწინებულია შეფასების გასაჩივრების წესი და პროცედურა.

პროფესიული სტუდენტის შეფასებისას გათვალისწინებულია შუალედური შეფასებისა და საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების საკითხები.

ავტორიზაციის ექსპერტები გავეცანით დოკუმენტაციას და გავესაუბრეთ დაწესებულების წარმომადგენელს, რომელმაც დაადასტურა პროცესების წარმართვის მზაობა. შესაბამისად, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ინდიკატორი 2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს

დაწესებულებას შემუშავებული აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის წესი რომელსაც გეგმავს და ახორციელებს ხარისხის მენეჯერი. ვერიფიკაციის პროცესის ეფექტურად განხორციელებისთვის ხარისხის მენეჯერი უზრუნველყოფს წინასწარი გეგმისა და შეფასების განრიგის შემუშავებას, პროცესში გამოსაყენებელი ფორმების განსაზღვრას, ჩართული, პასუხისმგებელი პირების იდენტიფიცირებას, ვერიფიკაციის ჯგუფის შექმნას შეფასების ობიექტების შერჩევის პრინციპსა და რისკების სისტემას, ვერიფიკაციის პროცესის აღწერილობას. ვერიფიკაციის პროცესის შედეგები აისახება წერილობითი დასკვნაში, რომელიც მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: ვერიფიკაციის ჩატარების საფუძველი-გეგმის, დირექტორის ბრძანებისა და განრიგის მითითებით, პროცესის ჩატარების პერიოდი, ჩართული პირები, ვერიფიკაციის პროცესის აღწერა შეფასებული ობიექტების მითითებით, გამოვლენილი დადებითი და უარყოფითი მხარეები, სამოქმედო აქტივობების შესრულების შესახებ განსაზღვრული რეკომენდაციები, საჭიროებისამებრ დამატებით სხვა ინფორმაცია. ვერიფიკაციის პროცესში

ავტორზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ჩართული და პასუხისმგებელი პირები არიან - ხარისხის მართვის მენეჯერი, დარგის/სფეროს სპეციალისტი; პროგრამის კოორდინატორი; ვერიფიკაციის პროცესის ჯგუფში შესაძლოა განისაზღვროს საჭიროებისამებრ სხვა მოწვეული პირი მისი კომპეტენციისა და პროფესიონალიზმის გამოყენების მიზნით. ვერიფიკაციის შედეგები გამოყენებული უნდა იქნას სასწავლო პროცესის/პროგრამების გაუმჯობესების მიზნით; ვერიფიკაციის შედეგები შესაძლებელია გამოყენებული იქნას პროფესიული სტუდენტის შემდგომი განვითარებისათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ინდიკატორი 3. .პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით

დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის შეფასების წესი, რომელიც ითვალისწინებს მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების აღრიცხვას და შენახვას. წესის თანახმად, პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია უზრუნველყოს მტკიცებულებების წარმოება, დროებითი შენახვა და პროგრამის კოორდინატორისთვის გადაცემა. პროგრამის კოორდინატორის მიერ პორტფოლიოში განთავსდება კონკრეტული პროფესიული სტუდენტის მიერ შესაფასებლად შესრულებული ნამუშევარი, რაც საბოლოოდ მოწმობს ამ პროფესიული სტუდენტის მიერ ამავე მოდულის წარმატებით თუ წარუმატებლად გავლას. შეფასების მიმართულებები მიუთითებს თუ რა სახის და რამდენი მტკიცებულებაა მოთხოვნილი პროფესიული სტუდენტის პორტფოლიოში, რომელიც განთავსებულია კომპანიაში. მტკიცებულებები ჯგუფდება სამ ძირითად სახეობად. ესენია: ა) გამოკითხვა - ზეპირი ან/და წერილობითი მტკიცებულება; ბ) პრაქტიკული დავალება დაკვირვებით; გ) პრაქტიკული დავალება - პროდუქტი. მტკიცებულებები ინახება პროგრამის კოორდინატორთან მათი ფორმირებიდან სამი წლის ვადით.

ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ავტორზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 4. .პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის

დაწესებულების მიერ შემუშავებულ პროფესიული სტუდენტის შეფასების წესში განსაზღვრულია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. მოდულის სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას შემფასებელი შესაფასებელ პირს აძლევს რეკომენდაციებს, გამოკითხვისა და პრაქტიკული დავალების ჩაბარების შედეგად მიუთითებს სწორ მიმართულებაზე, რომელიც ორიენტირებულია სწავლის შედეგების წარმატებით დაძლევასა და განვითარებაზე, ამით შემფასებელი იყენებს განმავითარებელ მიდგომას, რომელიც ურთიერთთანამშრომლობის ეფექტური ფორმაა. შემფასებელი ვალდებულია პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოიყენოს მათი შემდგომი განვითარებისათვის. განმავითარებელი ფუნქცია აქვს შუალედურ შეფასებასაც, რომლის შედეგებიც გამოყენებული იქნება როგორც პროგრამის, ასევე პროფესიული სტუდენტის განვითარებისთვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული სტუდენტის შეფასების წესი;
- შეფასების სისტემის ვერიფიკაცია;
- დაწესებულების ადმინისტრაციასთან გასაუბრება.

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი IV. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ - *Front-end დეველოპმენტი*

III. ზოგადი ინფორმაცია

ცხრილი ივსება ცალ-ცალკე თითოეული პროგრამისა და ასევე, პროგრამის განხორციელების ადგილის და ენის მიხედვით. (ინდივიდუალურ პროგრამებად განიხილება განხორციელების ადგილისა და სწავლების ენის მიხედვით განსხვავებული პროგრამები. მაქსიმუმ 15 პროგრამა)

პროგრამის სახელწოდება	Front-end **დეველოპმენტი**
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია Front-end დეველოპმენტში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	შპს თენექსის დირექტორის 2024წლის 20 ივნისის N 83/23 ბრძანება
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. ბათუმი, თამარ მეფის გამზირი N 38
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში

ავტორზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	300 (იმიტირებულ სამუშაო გარემოში)
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით *(არსებობის შემთხვევაში)*	
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	60
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90

ავტორზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

IV. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

ავტორზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის - „ Front-end დეველოპმენტი“ ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;

ავტორზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

კომპონენტი 1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას

დაწესებულების გადაწყვეტილება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „Front-end დეველოპმენტი“ განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას, რასაც ადასტურებს მიზანშეწონილობის არგუმენტირების ცხრილი. დაწესებულება დაეყრდნო შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ ჩატარებულ თვისობრივი და რაოდენობრივი კვლევის შედეგებს, ასევე დასაქმების სააგენტოების (www. hr.gov.ge; www.jobs.ge; www.cv24.ge; www.ipove.ge) ვებგვერდებზე განთავსებული ვაკანსიების მონაცემებს. გადაწყვეტილება პროგრამის განხორციელების შესახებ ასევე შეესაბამება, დაწესებულების მისიასა და სტრატეგიული განვითარების გეგმას. დაწესებულების მისია ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული, მრავალფეროვანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას, რითაც დაწესებულება ხელს შეუწყობს პროფესიული სტუდენტის უწყვეტ პროფესიულ განათლებას და წვლილს შეიტანს ქვეყნის სოციალურ - ეკონომიკურ განვითარებაში.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება ხორციელდება პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე.

ავტორზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „Front-end დეველოპმენტის“ შერჩევისას დაწესებულება ითვალისწინებს მის თავსებადობას თენექსის მისიასთან, ეროვნულ და რეგიონულ პრიორიტეტებს, შრომის ბაზრის და დამსაქმებელთა მოთხოვნებს, თენექსის მიერ შემუშავებულ სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმას. პროგრამა შეესაბამება,ორგანიზაციის მიზანს - განახორციელოს ხელოვნების, მარკეტინგის და ინფორმაციული ტექნოლოგიების სწავლის სფეროს პროგრამები, რომლის საჭიროება დადგინდა ფართო აუდიტორიასთან კომუნიკაციით და შრომის ბაზარზე მოთხოვნილი კადრების პროცენტული მაჩვენებლებით.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულების მიერ პროგრამის დამატების მიზანშეწონილობა ნათლად და არგუმენტირებულად არის დასაბუთებული, შეესაბამება დაწესებულების მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას, შესაბამისად,

<u>მოცემული ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

კომპონენტი 2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას

„Front-end დეველოპმენტის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით, რომელიც ითვალისწინებს სრულ ზოგად განათლებას. თენექსის მარეგულირებელი აქტებით დადგენილია პროგრამაზე დაშვების დამატებითი პირობები (შპს -„თენექსის“ დირექტორის 2023 წლის 20 დეკემბრის NB/25 ბრძანების დანართი N3 „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი“). თენექსის პრიორიტეტია პროგრამა განხორციელდეს მაღალი ხარისხით, შესაბამისად პროგრამაზე დაშვების დამატებით პირობად გათვალისწინებულია ტესტირება. ტესტირების მიზანია დაადგინოს პირის კომპეტენცია და მზაობა პროგრამის სწავლის შედეგების დაძლევასთან დაკავშირებით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს 13 პროფესიულ მოდულს ჯამური 60 კრედიტის მოცულობით. არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის ქართული ენის A2, B1 მოდულს 30 კრედიტის მოცულობით. Front-end

ავტორზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დეველოპმენტში საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად საჭიროა ჯამურად 60 კრედიტის დაგროვება. ხოლო არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის 90 კრედიტის დაგროვება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, **პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები სრულ შესაბამისობაშია საგანმანათლებლო სტანდარტთან.**

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ინდიკატორი 3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით

თენექსის დირექტორის მიერ დამტკიცებულია პროცესის მარეგულირებელი ბრძანება (დირექტორის 2024 წლის 12 ივნისის ბრძანების დანართი N1 პერსონალის, პროფესიული სტუდენტის, მსმენელის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია), რომელიც ადგენს პროფესიულ პროგრამაზე სტუდენტების რაოდენობის განსაზღვრის პრინციპებს. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია ითვალისწინებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩასარიცხი პროფესიული სტუდენტებისთვის A, B და C (საჭიროების შემთხვევაში) სასწავლო გარემოების არსებობას შესაბამისი ინფრასტრუქტურისა და რესურსების (მათ შორის, ადამიანური) გათვალისწინებით. აღნიშნული მეთოდოლოგიის საფუძველზე დაწესებულებამ განსაზღვრა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა 300 (მაქსიმუმ 12 ჯგუფი, თითო ჯგუფში 25 პროფესიული სტუდენტი).

„Front-end დეველოპმენტის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილია სასწავლო გარემოები და აღჭურვილია სტანდარტის შესაბამისი ინვენტარით. სათანადო აღჭურვილობის სასწავლო ფართის აუდიტორიები, ასევე კომპიუტერული (ციფრული) ტექნიკა, პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა იძლევა სხვადასხვა ცვლებში სწავლის შესაძლებლობას და დაწესებულებას შეუძლია ერთდროულად 300 პროფესიული სტუდენტის სწავლების განხორციელება

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ავტორზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

დაწესებულების დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამა დანართის სახით მოიცავს სასწავლო რესურსებისა და აღჭურვილობის ჩამონათვალს, რომელიც სრულ თანხვედრაშია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით გათვალისწინებულ საგანმანათლებლო რესურსთან. „Front-end დეველოპმენტის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული საგანმანათლებლო რესურსი, როგორც ზოგადი მოდულებისათვის, ასევე პროფესიული მოდულებისათვის უზრუნველყოფს სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის ხელმძღვანელთან და მოდულების განმახორციელებელ პროფესიულ მასწავლებლებთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით (რადგან დარგი მუდმივად განვითარებადია და საგანმანათლებლო სფეროში უახლესი სასწავლო რესურსები ჩნდება) აპირებენ პერიოდულად განაახლონ სასწავლო ელექტრონული რესურსები (ბმულები), შექმნან საკუთარი ადაპტირებული საგანმანათლებლო რესურსების ბანკი, მოახდინონ უცხოენოვანი სასწავლო რესურსების თარგმნა.

ავტორიზაციის ექსპერტებმა ვიზიტის ფარგლებში დოკუმენტაციის შემოწმების და ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე დაადგინეს, რომ **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „„Front-end დეველოპმენტი“ არჩევით მოდულებს არ ითვალისწინებს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ინდიკატორი 6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „„Front-end დეველოპმენტი“ დამტკიცებულია პროგრამის დამტკიცებაზე უფლებამოსილი პირის - შპს თენექსის დირექტორის 2024 წლის 20 ივნისის N 83/23 ბრძანებით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ავტორზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება „„Front-end დეველოპმენტი“ რომელიც ზუსტად იმეორებს პროფესიული საგანამანათლებლო სტანდარტის სახელწოდებას, შეესაბამება პროგრამის შინაარს/პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის მისაღწევ შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი. პროგრამით გათვალისწინებული ყველა სწავლის შედეგი მოიცავს სფეროში დასაქმებული პირის ფუნქციებს, მოვალეობებსა და კომპეტენციებს.

<u>შესაბამისად, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

ინდიკატორი 8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „„Front-end დეველოპმენტი“ შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, დამტკიცებულ პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამის მიზანი, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები. ინფორმაცია სტრუქტურის და მოდულების, სწავლის შედეგების, სწავლებისა და სწავლის მეთოდების, კვალიფიკაციის მინიჭების პირობების შესახებ; ინფორმაცია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) სტუდენტების სწავლების შესახებ. პროგრამას თან ახლავს სასწავლო გეგმა, მოდულები, მატერიალური და ადამიანური რესურსების შესახებ ინფორმაცია. პროგრამა მოიცავს საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისთვის განსაზღვრულ მოდულებს, სულ 60 კრედიტის მოცულობით ქართულენოვანი სტუდენტებისთვის და 90 კრედიტს არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის, რომლებიც სათანადოდ არის ადაპტირებული პროგრამის განმახორციელებელი პირების ჩართულობით, რაც დადასტურდა დოკუმენტების გადამოწმებით და კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და პროგრამის განმახორციელებელ პირებთან ინტერვიუების საფუძველზე.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

ავტორზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დაწესებულების მისია, ხედვა, ღირებულებები;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთება;
- პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- „Front-end დეველოპმენტის“ პროფესიული საგანამანათელბლო პროგრამის პაკეტი;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების ბრძანება;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება;
- დირექტორის 2024 წლის 5 ივნისის ბრძანების დანართი N1 „ხარისხის უზრუნველყოფის გეგმა“;
- შპს -„თენექსის“ დირექტორის 2023 წლის 20 დეკემბრის NB/25 ბრძანების დანართი N3 „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი“;
- დირექტორის 2024 წლის 10 ივნისის ბრძანების დანართი N1 1 სასწავლო „პროცესის მართვა“;
- დირექტორის 2023 წლის 14 ნოემბრის NB/17 ბრძანების დანართი N1 „საბიბლიოთეკო საქმე“;
- დირექტორის 2024 წლის 12 ივნისის ბრძანების დანართი N1 პერსონალის, პროფესიული სტუდენტის, მსმენელის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრება.

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

ავტორზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ ვიზიტის დროს გადამოწმდა დაწესებულების მატერიალური რესურსი. თენექსის ინფრასტრუქტურა მოწყობილია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად. პროგრამისთვის აუდიტორიები განკუთვნილია ერთდროულად 300 პროფესიული სტუდენტის საჭიროებაზე. კომპიუტერებით და საპრეზენტაციო საშუალებებით აღჭურვილია აუდიტორიები - 8 B გარემო (მათ შორის, 4 გარემო საერთოა ,,გრაფიკული დიზაინის" პროგრამასთან) , 2 A გარემო და ერთი სააქტო დარბაზი (საჭიროების შემთხვევაში გათვალისწინებულია თეორიული მეცადინეობისთვის). დაცულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით გათვალისწინებული კომპიუტერის პარამეტრებისადმი წაყენებული მოთხოვნები, რაც უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,, Front-end დეველოპმენტი" განხორციელებას თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად. დაწესებულების მატერუალური რესურსი სრულად უზრუნველყოფილია შპს თენექსსა და შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივესიტეტს შპს თენექსსა და შპს პეას შორის გაფორმებული ქირავნობის ხელშეკრულებებით (10 წლის ვადით).

სასწავლო პროცესი სრულად ხორციელდება რეალურ სამუშაო ადგილთან მიახლოებულ იმიტირებულ გარემოში, ამიტომ პრაქტიკის ობიექტის საჭიროება არ არსებობს. პროფესიული სტუდენტები პროფესიას სწავლობენ ზუსტად ისე, როგორ დავალებასაც მიიღებენ დასაქმების ადგილზე. ამის შესაძლებლობას გარემოს გარდა იძლევა მაღალი კომპეტენციის დარგის სპეციალისტების გამოცდილება და სწავლების პროცესის დაგეგმვის მიდგომები.

განმახორციელებლებისთვის, პროფესიული სტუდენტებისთვის და სხვა პერსონალისთვის ხელმისაწვდომია ელექტრონული ბიბლიოთეკის ბაზები, საკანონმდებლო ბაზა (www.matsne.gov.ge). ასევე, შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული პერსონალი, სტუდენტების მხარდაჭერის და პიროვნული განვითარების სერვისები, ჯგუფში სტუდენტების რაოდენობაა 25, საკმარისი ადამიანური რესურსი, განმახორციელებელი პირების გონივრული დატვირთვა, ორ ცვლაში სასწავლო პროცესის განხორციელების შესაძლებლობა - უზრუნველყოფს პროგრამების მაღალი ხარისხით განხორციელებას.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

ავტორზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა „„Front-end დეველოპმენტს“ ახორციელებს 14 პროფესიული მასწავლებელი. დარგობრივი მოდულების თეორიულ და პრაქტიკულ თემატიკას ასწავლიან პრაქტიკოსი, დარგის შესაბამისი კვალიფიკაციის პირები და პროგრამის ხელმძღვანელი. სასწავლო კვირის დატვირთვა სტუდენტებისთვის არის 30 საათი, კვირაში 5 დღე, დღეში 6 საათი. საჭიროების შესაბამისად შაბათი დღეც. . ზოგადი და დარგობრივი მოდულები ხორციელდება პარალელურ რეჟიმში. პროგრამის განხორციელების თავისებურებების გათვალისწინებით - შესაძლებელია ერთი პროგრამის ფარგლებში რამდენიმე ჯგუფმა პარალელურ რეჟიმში გაიაროს სხვადასხვა დარგობრივი მოდული. პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების შემდგომ, განმახორციელებლებთან ერთად ჩამოყალიბდება სასწავლო კალენდარული გეგმა, მოდულების განხორციელების დღე და დღიური საათობრივი დატვირთვა სასწავლო გეგმის შესაბამისად. მასწავლებელთა კვირეული დატვირთვა არ სცდება შრომის კოდექსით გათვალისწინებულ ზღვრულ დატვირთვას. მასწავლებელთა რაოდენობა მათი დატვირთვისა და განსახორციელებელი მოდულების რაოდენობის მიხედვით საკმარისია. კერძოდ, პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლების დატვირთვა არ ეწინააღმდეგება „საქართველოს შრომის კოდექსს“ და არ აღემატება კვირაში 40 საათს.

ექსპერტთა შეფასებით პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას და ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ინდიკატორი 3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია

ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ შესწავლილი იქნა პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეები, რომლის შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლები შეესაბამებიან დაკავებულ თანამდებობას და აკმაყოფილებენ მათ მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს. კერძოდ, პირადი საქმეების შესწავლით დასტურდება, რომ მათი კვალიფიკაცია და სამუშაო

ავტორზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გამოცდილება უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისათვის სწავლის შედეგების შესაბამისი კომპეტენციების გამომუშავებას. მათთან გაფორმებულია ხელშეკრულებები, რომლის შინაარსი მოიცავს შრომის კანონმდებლობით მოთხოვნილ არსებით პირობებს და მასში გაწერილია ის მოდულები, რომლებსაც ახორციელებს მასწავლებელი. დაწესებულება პირველად გეგმავს გრძელვადიანი საკვალიფიკაციო პროფესიული პროგრამის განხორციელებას და განმახორციელებელ პირთა ნაწილს ესაჭიროება პროფესიულ პროგრამებზე სწავლა-სწავლებისა და შეფასების მეთოდების შესახებ ტრენინგებით უზრუნველყოფა, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დაგეგმილია და უახლოეს პერიოდში განახორციელებენ. ამასთან, წარმოდგენილია საწყის ეტაპზე პროგრამის განმახორციელებლებთან უკვე ჩატარებული შიდა შეხვედრების/კონსულტაციების მტკიცებულებები სწავლებასა და შეფასებასთან დაკავშირებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ინდიკატორი 4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი

„Front-end დეველოპმენტის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომლის კვალიფიკაციაც დასტურდება დარგში პრაქტიკული საქმიანობის მრავალწლიანი გამოცდილებით. მისი ფუნქციები და სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები განისაზღვრება მასთან გაფორმებული ხელშეკრულებით და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის სამუშაო აღწერილობებითა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებით. ექსპერტების გასაუბრებით პროგრამის ხელმძღვანელთან დადასტურდა მისი ჩართულობა პროგრამის შემუშავების პროცესში. პროგრამის ხელმძღვანელი იცნობს პროფესიული განათლების მიზნებს, პროფესიულ სტუდენტთა შეფასებასა და მხარდაჭერის მექანიზმებს, არის დარგის აქტიური სპეციალისტი, რომელსაც გააზრებული აქვს საკუთარი ფუნქცია-მოვალეობები და როლი, სასწავლო პროცესისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ეფექტურად განხორციელებისათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ავტორზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში

ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა კოლეჯის ბიბლიოთეკის დათვალიერება. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი ბიბლიოთეკაში გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე. დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი წარმოდგენილია ბიბლიოთეკაში როგორც ნაბეჭდი, ასევე ელექტრონული სახით და დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით, მათ შორის, განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის მიერ შემუშავებული რესურსები.

<u>ექსპერტთა შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის აკადემიის ბიბლიოთეკაში და გამოიყენება სასწავლო პროცესში.</u>

ინდიკატორი 6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად

დაწესებულებას შემუშავებული აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მექანიზმი, რომელიც ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულ მიზნებს, მოდულებს, სწავლის შედეგებსა და კვალიფიკაციის გაცემისთვის საჭირო საკითხებს. ისგ შემუშავდება შესაბამისი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, რომელიც დასტურდება წერილობით.

პროფესიული სტუდენტისთვის ისგ-ს შემუშავებისას მთავარი პრინციპი, პროფესიული სტუდენტის ინტერესების გათვალისწინებაა. ისგ-ს შემუშავების საჭიროების შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტი წერილობით მიმართავს კომპანიის ადმინისტრაციას. ისგ ფორმირდება პროგრამის ხელმძღვანელის კოორდინირებით, პროგრამის კოორდინატორის ჩართულობით პროფესიულ სტუდენტთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან თანამშრომლობის შედეგად და ფორმდება შესაბამისი შეთანხმება, რომელიც მხარეების მიერ ხელმოწერით დასტურდება. ისგ ფორმირებისას, საჭიროების შემთხვევაში, მონაწილეობს პროფესიული განათლების მასწავლებლ(ებ)ის/დარგის სპეციალისტ(ებ)ი. პირის ინდივიდუალური

ავტორზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საჭიროებების შემთხვევებში, ისგ-ს შემუშავებაში მონაწილეობს სსსმ/შშმ პირის სპეციალისტი. ყოველი კონკრეტული შემთხვევის არსებობისას, ასეთი პირი მოიწვევა ინდივიდუალურად. სსსმ/შშმ პირის სასწავლო პროცესში ჩართვა, სწავლებისა და შეფასების პროცესის ადმინისტრირება წარმოებს, სპეციალისტისა და შესაბამისი კომპეტენციის/უფლებამოსილების მქონე პირთა ჩართულობით.

დაწესებულებისას სასწავლო პროცესის მართვის წესით გათვალისწინებულია სსსმ პირთათვის შესაძლებლობის მიცემა, რომ მათ ჰქონდეთ წვდომა აქვთ პროგრამითა ან საჭიროების შემთხვევაში ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან და საჭიროების შემთხვევაში მოხდეს მათი ადაპტირება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა

„„Front-end დეველოპმენტის““ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის დაწესებულებას შემუშავებული აქვს საპროგნოზო ბიუჯეტი, რომელიც შეიცავს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ სავარაუდო შემოსავლებისა და ხარჯების კალკულაციას. საპროგნოზო ბიუჯეტი ითვალისწინებს რენტაბელობის ზღვარს და წარმოდგენილია 12 პროფესიული სტუდენტის ოდენობით. შემოსავლები დათვლილია 25 პროფესიული სტუდენტით დაკომპლექტებულ ჯგუფზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით, აკადემიის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია „გრაფიკული დიზაინის“ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- „Front-end დეველოპმენტის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტი;
- „Front-end დეველოპმენტის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების ბრძანება;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება;
- დირექტორის 2023 წლის 2 ნოემბრის N11 ბრძანების დანართი N1 „პერსონალის ადაპტაციის მექანიზმები“;
- დირექტორის 2024 წლის 4 ივნისის ბრძანების დანართი N1 1 შპს - “თენექსი” პერსონალის მართვა-განვითარება;

ავტორზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ბრძანება N B/17 2023 წლის 14 ნოემბერი შპს - „თენექსი“-ს „საბიბლიოთეკო საქმის“ დამტკიცების შესახებ;
- დირექტორის 2024 წლის 11 ივნისის ბრძანების დანართი N1 1 პროფესიული სტუდენტის, მსმენელისა და შპს - „თენექსის“ თანამშრომლობისას განსაზღვრული მხარეთა უფლება-მოვალეობები;
- შპს -„თენექსის“ დირექტორის 2023 წლის 20 დეკემბრის N B/25 ბრძანების დანართი N1 „ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება“;
- თენექსის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება;
- დაწესებულების პერსონალის, მასწავლებლების/პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმეები;
- „Front-end დეველოპმენტის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი;
- შიდა შეხვედრების/კონსულტაციების მტკიცებულებები სწავლებასა და შეფასებასთან დაკავშირებით;
- განმახორციელებელთა პირადი საქმეები;
- ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრება;
- პროფესიული პროგრამის განმახორციელებლებთან/პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრება;
- შპს თენექსსა და შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტს შორის გაფორმებული ქირავნობის ხელშეკრულებები;
- შპს თენექსსა და შპს პეას შორის გაფორმებული 2024 წლის 18 ივლისის ქირავნობის ხელშეკრულება;
- ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, რომელიც ითვალისწინებს შიდა შეფასების მექანიზმებს სასწავლო პროცესის, პროფესიული სტუდენტის/მსმენელთა მომსახურების, მათი საჭიროების კვლევას, კომპანიის ადამიანური და მატერიალური რესურსის შეფასება-გაუმჯობესებას „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“ ციკლის მიხედვით. დაწესებულების სტრუქტურით განსაზღვრულია ხარისხის მართვის დეპარტამენტი რომელიც პასუხისმგებელია ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნების გათვალისწინებით შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებზე, მათ შორის გასცემს რეკომენდაციებს პროგრამების განვითარებასთან დაკავშირებით.

დაწესებულება გეგმავს პროგრამების შემუშავებას, განხორციელებას, ატარებს კმაყოფილების კვლევას, გამოკვეთს ხარვეზებს, მიღებული შედეგების მიხედვით გეგმავს და ავითარებს პროგრამას (ციკლი - PDCA). ხარისხიანი სწავლა-სწავლებისა და სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველსაყოფად დაწესებულებას: სასწავლო პროცესში ჩართული

ავტორზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ჰყავს კვალიფიციური, განმახორციელებელი პერსონალი -პროფესიული განათლების მასწავლებელი, მოწვეული მასწავლებელი, რომელთანაც ატარებს პერიოდულ სამუშაო შეხვედრებს და უზრუნველყოფს/ხელს უწყობს მათ პროფესიული, პიროვნული განვითარების აქტივობებში ჩართვას; სასწავლო პროცესისთვის აქვს შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური და სასწავლო რესურსი, რომელიც ხელმისაწვდომია კომპანიის პერსონალისთვის და ყველა პროფესიული სტუდენტისთვის/მსმენელისთვის.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი პასუხობს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, ან/და ორიენტირებულია ტრანსფერული უნარების გამომუშავებაზე ან/და თანამედროვე მსოფლიოში არსებული ტენდენციების შესახებ ინფორმაციის გავრცელებაზე.

ვიზიტის პროცესში შედგა დაწესებულების წარმომადგენლებთან, ხარისხის მენეჯერთან და მათი ინტერვიუთი დასტურდება მზაობა განახორციელონ და განავითარონ პროგრამა, მათ შორის შრომის ბაზრის მოთხოვნათა გათვალისწინებით და დაინტერესებულ მხარეთა (პროფესიული სტუდენტი, პროგრამის განმახორციელებელი, დამსაქმებელი და სხვ) ჩართულობით.

<u>ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

ინდიკატორი 2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად

დაწესებულებას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, რომელიც ითვალისწინებს პროგრამის შეფასებას და პროგრამის შეფასების შედეგების საფუძველზე საჭიროების შემთხვევაში მასში ცვლილებების შეტანას. წარმოდგენილია პროფესიულ სტუდენტთა, პროგრამის განმახორციელებელთა, დამსაქმებელთა გამოკითხვის მიზნებისთვის შემუშავებული პროგრამის შეფასების კითხვარები, რომლის ფარგლებში მიღებული შედეგები გამოყენებული იქნება პროგრამის განვითარებისთვის.

ავტორზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა-შემუშავება, დამტკიცების, ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესის თანახმად, გათვალისწინებულია ხარისხის მენეჯერის წერილობითი ინიცირების საფუძველზე, პროგრამის ცვლილების საკითხი. ამისათვის ხარისხის მენეჯერი წარადგენს პროგრამის ცვლილების დასაბუთებას.

პროგრამაში ცვლილების მიზნით, დაწესებულების დირექტორის ბრძანებით იქმნება სამუშაო ჯგუფი, რომელშიც შედის პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი, დამატებით შესაძლოა მოწვეული გარე ექსპერტი ან/და დამსაქმებლის წარმომადგენელი. სამუშაო ჯგუფი შეიმუშავებს და დირექტორის წინაშე წარადგენს პროგრამაში შესატანი ცვლილებების დასაბუთებულ პროექტს. ცვლილებების პროექტის დასაბუთება შესაძლო ეფუძნებოდეს კომპანიაში ხარისხის მექანიზმების განხორციელების შედეგად გამოკვეთილ ხარვეზებს, ან/და შრომის ბაზრის განახლებულ მოთხოვნ(ებ)ს, ან/და დამსაქმებელთა გაფორმებულ ხელშეკრულებას/მემორანდუმს, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს და სხვა. პროგრამის ცვლილებასთან დაკავშირებით გამოიცემა დირექტორის ბრძანება.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა-შემუშავება, დამტკიცების, ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა;
- კვლევის კითხვარები;
- ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, ხარისხის მენეჯერთან ინტერვიუს შედეგი

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

ინდიკატორი 1. .პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად

„გრაფიკული დიზაინის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას დანართის სახით აქვს სასწავლო გეგმა, რომელშიც განსაზღვრულია: მოდულზე დაშვების წინაპირობა, გარემო, კრედიტი, სარეგისტრაციო N, მოდულის დასახელება, სასწავლო კვირა, საკონტაქტო, დამოუკიდებელი მეცადინეობა, შეფასება, განმეორებითი შეფასების კვირა. ასევე გათვალისწინებულია სასწავლო გეგმა არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის.

ავტორზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მართვის დოკუმენტის ითვალისწინებს სასწავლო პროცესის წარმართვას პროგრამის სასწავლო გეგმის საფუძველზე შემუშავებული სასწავლო გრაფიკის შესაბამისად. პროგრამის კოორდინატორის სამუშაო აღწერილობით გათვალისწინებულია სასწავლო კალენდრის და სასწავლო განრიგის პროექტის მომზადება. მასთან ინტერვიუთიც დადასტურებულია, რომ ის იცნობს საკუთარ მოვალეობებს და აქვს მზაობა მათ შესაბამისად წარმართოს საკუთარი საქმიანობა.

პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების შემდეგ დაწესებულებაში აღნიშნული პროგრამა განხორციელდება სასწავლო გეგმი შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ინდიკატორი 2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით ვლინდება, რომ მათ აქვთ მზაობა სასწავლო პროცესის დაგეგმვისას გაითვალისწინონ პროფესიულ სტუდენტთა ინტერესები. სასწავლო გეგმით განსაზღვრულია პროგრამის ხანგრძლივობა და მისაღწევი შედეგები, ანუ იმ მიღწევების (უნარ-ჩვევებისა და ცოდნის) ჩამონათვალი, რომელსაც უნდა ფლობდეს პროფესიული სტუდენტი პროგრამის დამთავრებისას. თუმცა, თუ ფორს-მაჟორული სიტუაცია დადგება ან სხვა მნიშვნელოვანი მიზეზით ვერ მოხერხდება სასწავლო გეგმის დაცვა, ისინი მოქნილად, პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით მოახდენენ რეაგირებს მსგავს გარემოებებზე, როგორც ჯგუფებისთვის, ისე ინდივიდუალურ გამოწვევებზე. კერძოდ, ეს შეიძლება გამოიხატოს სასწავლო გეგმის ცვლილებაში, სასწავლო პროცესის გადაგეგმვაში, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაში ან საჭიროების შემთხვევაში ჩატარდეს დამატებითი მეცადინეობები/კონსულტაციები. აღნიშნული გათვალისწინებულია სასწავლო პროცესის მართვის დოკუმენტითაც.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ინდიკატორი 3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას

ავტორზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

„Front-end დეველოპმენტი“ - ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ყველა მოდულის განსახორციელებლად აკადემიის A და B სასწავლო გარემო აღჭურვილია შესაბამისი თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური რესურსით. პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების კომპეტენცია. პროგრამის ხელმძღვანელი და პროფესიული განათლების მასწავლებელთა უმრავლესობა დარგის მოქმედი სპეციალისტები არიან და ფლობენ დარგში შესაბამის ტექნოლოგიებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ სასწავლო გარემოს ვიზუალური დათვალიერების, პროგრამის ხელმძღვანელის და პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეების შესწავლის და მათთან გასაუბრების შედეგად, <u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

ინდიკატორი 4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები

დაწესებულების მარეგულირებელი აქტებით განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტების ინდივიდუალური საჭიროებების მხარდაჭერა. პროფესიულ სტუდენტთა საჭიროება, პროცესების შეფასება და შედეგზე ორიენტირებული საქმიანობის განხორციელების წესი და პირობები რეგულირდება შესაბამისი აქტებით, ამასთან განსაზღვრულია სერვისების და პროცესების შეფასების და რეაგირების მექანიზმები. პროფესიული სტუდენტის საქმიანობის პროცესში ჩართულია ადმინისტრაციული პერსონალი, რომლის ფუნქციებსაც წარმოადგენს პროფესიულ სტუდენტზე და ხარისხის კულტურაზე დაფუძნებული საქმიანობის წარმართვა.

ავტორიზაციის ექსპერტები ვიზიტის ფარგლებში გავესაუბრეთ ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, რომლებმაც დაადასტურეს ზემოაღნიშნული.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

ავტორზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით

„Front-end დეველოპმენტი“ - ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელდება მხოლოდ თენექსის ბაზაზე, რომელსაც აქვს შესაბამისი ინფრასტრუქტურა და უზრუნველყოფილია სათანადო ადამიანური რესურსით.

<u>ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.</u>

ინდიკატორი 6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით

დაწესებულებას აქვს შენობის მდგრადობის, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების დასკვნები, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, აღჭურვილია ხანძარსაწინააღმდეგო სისტემით, დაცულია კერძო პირების მიერ, დამონტაჟებულია გარე და შიდა პერიმეტრის ვიდეო კამერები. „Front-end დეველოპმენტი“ - სპროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა სპეციფიკურ უსაფრთხოების წესებს არ საჭიროებს.

<u>ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.</u>

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული სტუდენტის, მსმენელისა და შპს „თენექსის“ თანამშრომლობისას განსაზღვრული მხარეთა უფლება-მოვალეობები;
- სასწავლო პროცესის მართვის დოკუმენტი’
- პროფესიულ სტუდენტთა/ მსმენელთა მხარდაჭერის მექანიზმი;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა;
- აკადემიის ადმინისტრაციასთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრება;

ავტორზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

3 პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

4 პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

ავტორზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური

დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის შეფასების წესი, რომელის შესაბამისად შეფასების სისტემა ეყრდნობა შემდეგ პრინციპებს: ა) ვალიდურობა, რომელიც გულისხმობს შემფასებლის მიერ სწავლის შედეგის შეფასებისთვის რელევანტურ ინსტრუმენტს და ყველა კრიტერიუმის მიხედვით შეფასებას; ბ) სანდოობა - შესაბამისი მტკიცებულებებით გამყარებული შეფასების სისტემა; გ) გამჭვირვალობა - შეფასების პროცესი, როდესაც დადასტურების პირობები, მოთხოვნები და შეფასების შესახებ სხვა საჭირო ინფორმაცია, წინასწარ არის ცნობილი ყველა შესაფასებელი და დაინტერესებული პირისთვის; დ) სამართლიანობა - სამართლიანია შეფასების სისტემა, იმ შემთხვევაში თუ შეფასების პროცესი საშუალებას აძლევს შესაფასებელ პირს დაადასტუროს მიღწეული სწავლის შედეგები, შეფასების დროს ყველა შესაფასებელი პირი თანაბარ პირობებში იმყოფება ყოველგვარი დისკრიმინაციული მიდგომის გარეშე; ე) ობიექტურობა - შეფასების სისტემა, როდესაც ყველა შესაფასებელი პირი ერთნაირი შესრულების (შედეგების) პირობებში ერთნაირად არის შეფასებული. რეგულაციით გათვალისწინებულია შეფასების გასაჩივრების წესი და პროცედურა.

პროფესიული სტუდენტის შეფასებისას გათვალისწინებულია შუალედური შეფასებისა და საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების საკითხები.

ავტორიზაციის ექსპერტები გავეცანით დოკუმენტაციას და გავესაუბრეთ დაწესებულების წარმომადგენელს, რომელმაც დაადასტურა პროცესების წარმართვის მზაობა. შესაბამისად, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ავტორზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს

დაწესებულებას შემუშავებული აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის წესი რომელსაც გეგმავს და ახორციელებს ხარისხის მენეჯერი. ვერიფიკაციის პროცესის ეფექტურად განხორციელებისთვის ხარისხის მენეჯერი უზრუნველყოფს წინასწარი გეგმისა და შეფასების განრიგის შემუშავებას, პროცესში გამოსაყენებელი ფორმების განსაზღვრას, ჩართული, პასუხისმგებელი პირების იდენტიფიცირებას, ვერიფიკაციის ჯგუფის შექმნას შეფასების ობიექტების შერჩევის პრინციპსა და რისკების სისტემას, ვერიფიკაციის პროცესის აღწერილობას. ვერიფიკაციის პროცესის შედეგები აისახება წერილობითი დასკვნაში, რომელიც მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: ვერიფიკაციის ჩატარების საფუძველი-გეგმის, დირექტორის ბრძანებისა და განრიგის მითითებით, პროცესის ჩატარების პერიოდი, ჩართული პირები, ვერიფიკაციის პროცესის აღწერა შეფასებული ობიექტების მითითებით, გამოვლენილი დადებითი და უარყოფითი მხარეები, სამოქმედო აქტივობების შესრულების შესახებ განსაზღვრული რეკომენდაციები, საჭიროებისამებრ დამატებით სხვა ინფორმაცია. ვერიფიკაციის პროცესში ჩართული და პასუხისმგებელი პირები არიან - ხარისხის მართვის მენეჯერი, დარგის/სფეროს სპეციალისტი; პროგრამის კოორდინატორი; ვერიფიკაციის პროცესის ჯგუფში შესაძლოა განისაზღვროს საჭიროებისამებრ სხვა მოწვეული პირი მისი კომპეტენციისა და პროფესიონალიზმის გამოყენების მიზნით. ვერიფიკაციის შედეგები გამოყენებული უნდა იქნას სასწავლო პროცესის/პროგრამების გაუმჯობესების მიზნით; ვერიფიკაციის შედეგები შესაძლებელია გამოყენებული იქნას პროფესიული სტუდენტის შემდგომი განვითარებისათვის.

<u>ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

ინდიკატორი 3. .პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით

დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის შეფასების წესი, რომელიც ითვალისწინებს მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების აღრიცხვას და შენახვას. წესის თანახმად, პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია უზრუნველყოს მტკიცებულებების წარმოება, დროებითი შენახვა და პროგრამის

ავტორზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოორდინატორისთვის გადაცემა. პროგრამის კოორდინატორის მიერ პორტფოლიოში განთავსდება კონკრეტული პროფესიული სტუდენტის მიერ შესაფასებლად შესრულებული ნამუშევარი, რაც საბოლოოდ მოწმობს ამ პროფესიული სტუდენტის მიერ ამავე მოდულის წარმატებით თუ წარუმატებლად გავლას. შეფასების მიმართულებები მიუთითებს თუ რა სახის და რამდენი მტკიცებულებაა მოთხოვნილი პროფესიული სტუდენტის პორტფოლიოში, რომელიც განთავსებულია კომპანიაში. მტკიცებულებები ჯგუფდება სამ ძირითად სახეობად. ესენია: ა) გამოკითხვა - ზეპირი ან/და წერილობითი მტკიცებულება; ბ) პრაქტიკული დავალება დაკვირვებით; გ) პრაქტიკული დავალება - პროდუქტი. მტკიცებულებები ინახება პროგრამის კოორდინატორთან მათი ფორმირებიდან სამი წლის ვადით.

ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ინდიკატორი 4. .პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის

დაწესებულების მიერ შემუშავებულ პროფესიული სტუდენტის შეფასების წესში განსაზღვრულია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. მოდულის სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას შემფასებელი შესაფასებელ პირს აძლევს რეკომენდაციებს, გამოკითხვისა და პრაქტიკული დავალების ჩაბარების შედეგად მიუთითებს სწორ მიმართულებაზე, რომელიც ორიენტირებულია სწავლის შედეგების წარმატებით დაძლევასა და განვითარებაზე, ამით შემფასებელი იყენებს განმავითარებელ მიდგომას, რომელიც ურთიერთთანამშრომლობის ეფექტური ფორმაა. შემფასებელი ვალდებულია პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოიყენოს მათი შემდგომი განვითარებისათვის. განმავითარებელი ფუნქცია აქვს შუალედურ შეფასებასაც, რომლის შედეგებიც გამოყენებული იქნება როგორც პროგრამის, ასევე პროფესიული სტუდენტის განვითარებისთვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული სტუდენტის შეფასების წესი;
- შეფასების სისტემის ვერიფიკაცია;
- დაწესებულების ადმინისტრაციასთან გასაუბრება.

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი VI. დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

08. 08. 2024

ავტორზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: